დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2022 წლის 20 - 26 ივნისი
N26 1438
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## ახლა კი დროა, სალომე, რომა...




თქვენ ხომ არ დაგავიწყდათ, საქართველო ვინ დალუპა?

პაატა, რომელმაც ილჰამად ვერ ივარგა!



2-3



### მაია ნიკოლეიშვილი:



თუ ოდესმე ევროკავშირის წევრობაზე დადგა საუბარი, სამაჩაბლო და აფხაზეთი უნდა ვალიაროთ!

5

„ლიბერალური ევროპა მართლა გაგიჟდა!“




8

### ელიზბარ ჯაველიძე:

ელენე ხოშტარიას საქართველოს მტრობა და სიძულვილი მამის - გოგი ხოშტარიასაგან მემკვიდრეობით გადაეცა!

### გოგა ხაინდრავა:

11

საქართველოში ნებისმიერი არეულობა იქნება კელი დეგნანისა და კარლ ჰარცელის კისერზე!




## ფლეთჩერები და ელჩერები

4

### სპარტაკ ქობულია



ჯუმბერ პატიაშვილმა მამუკა ასლანიკაშვილის დაკრძალვის დღეს პარტიული აქტივის კრება დანიშნა, რათა კოლეგებს უკანასკნელ გზაზე ვერ გაეცილებინათ!

12




უშიშროების სამინისტროდან 2003 წლის 27 ივნისს გამოგზავნილი სკანდალური წერილი №6/8-800,



20

რომელიც „იგორ გიორგაძის საქმეს“ თავდაყირა აყენებს!

## მამუკა ასლანიკაშვილის თვით-მკვლელობა და პატიაშვილის ტრაგიკული თამაშები

### იური მეჩითოვი:



სერგო ფარაჯანოვის ფოტო

«გაფრენა მთაწმი-ნდაზე»

თბილისის სიმბოლოდ მიმაჩნია!

28




მცხეთის სალობიე 55 წლისაა!

25

### დიმიტრი ალავიძე:

ჩვენი პირველი ლვეზელი ვასილ მჟავანაძემ დააგემოვნა!

### ზაურ ბედია:



მირეკავდნენ ჯოხარი და ზვიადი, მათ დავალებებს ვასრულებდი...

22

რა დავალებები იყო, ეს მე ვიცი!

# ახლა კი დროა,

***პატივცემულო მკითხველო, წინამდებარე წერილის სათაური, იმედია, გეცნოთ! ეს გახლავთ ერთგვარი პერიფრაზი დიდი ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალური პოემიდან „ბედი ქართლისა“, სადაც ერეკლე მეფეს საქართველოს ბედსა და უბედობაზე არა საქართველოდან გაქცეული ემიგრანტების შთამომავალი სალომე ზურაბიშვილი ესაუბრებოდა და ეპოლემიკებოდა, არამედ დიდი პატრიოტი და მამულიშვილი, მეფის კანცლერი სოლომონ ლიონიძე, რომელიც ერეკლე მეორის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის მეფის სოლომონ მეორის სამსახურში ჩადგა და დარჩენილი სიცოცხლე საქართველოზე ფიქრსა და გარჯას შეალია.***

**„ვის დროშას ვემსახურო? ვინ შევიყვარო? ვისთვის მოვკვდე?“** — მდუღარე ცრემლებით დასტიროდა 1798 წლის იანვარში ერეკლე მეფის ცხედარს **კანცლერი სოლომონ** და ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ **224 წლის შემდეგ** უბედურ საქართველოს ეყოლებოდა **პრეზიდენტი სალომე,** რომელიც გადაახტებოდა ყველას და ყველაფერს და უსინდისოდ იტყოდა — **მე საქართველოს ვერც ივანიშვილს გადავაყოლებ, ვერც — სააკაშვილს და ვერც — გვარამიასო!** ეს დაახლოებით იმას ჰგავს, ზვიად გამსახურდიას, თენგიზ სიგუასა და ჯაბა იოსელიანს ერთად გადაუხადო სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი, ანდა კეთილშობილ ქალთა სასწავლებელს მიაშენო რამდენიმე ოთახი, სადაც ქალბატონი როენას „სათნოების სახლის“ ტანკენარი ქალბატონები დაიდებენ ბინას.

**ნიკოლოზ ბარათაშვილი ბნელი ეპოქის შვილი, მაგრამ ქრისტეს ნათელით გაბრწყინებული გონების პატრონი იყო. „ბედი ქართლისას“ როცა წერდა, მან ყველაზე უფრო კარგად იცოდა, რომ პირსისხლიან და გარყვნილ რუსთხელმწიფე ნიკოლოზ პირველზე უკეთესი ვერაფრით იქნებოდნენ ის ამერიკელი სენატორები თუ ევროპელი ბოშიები, რომლებიც 1992 წლიდან მოყოლებული საქართველოს თავის ჭკუაზე მართავენ, პრეზიდენტებსა და პრემიერ-მინისტრებს აქეთ-იქით ერეკებიან და გაყალბებულ არჩევნებს გვიკანონებენ.** მართლაც, საკითხავია, ვინ უფრო დიდი ვნება და უბედურება მოუტანა საქართველოს — **ნიკოლოზ პირველმა,** რომელმაც გადაგვარებული ქართველების დახმარებით **მაიკო ორბელიანი** გააბახა თუ **სენატორმა რიშმა, მაკ-კეინმა, დეპუტატმა კუილიუსმა, ფოტიგამ, კრამონ-გარმონმა თუ ორმა პრეზიდენტმა ბუშმა,** რომელთაგან ერთმა საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობას დაუკრა კვერი და ქვეყანა დაღუპა, ხოლო მეორემ ორთაჭალაში, „ჭრელი აბანოს“ წინ, თავისი უკანალის ცანცარით, ფაქტობრივად, გააქეზა და გაამყარა სააკაშვილის გარყვნილი და კვაზიფაშისტური რეჟიმი და მოახლოვა 2008 წლის აგვისტოს ტრაგედია.

**უკანასკნელმა ამბებმა, როცა 308 ევროდეპუტატმა საქართველოს ევროპულ მომავალს ყელი გამოჭრა, ფაქტობრივად, დაგვარწმუნა, რომ ერეკლე მეფე არაფერში შემცდარა.** სახელოვანი გვირგვინოსანი კარგად ხვდებოდა, რომ სამეფო სასახლეში თუ ვინმე ევროპელი მიიღო, ყველა მოღალატე და ავანტიურისტი აღმოჩნდა. მაგალითად, **იაკობ რეინეგსი,** რომელიც ექიმობას იბრალებდა, ქართლ-კახეთის სამეფო კარიდან რომ გააძევეს, რუსეთის იმპერიის დროშით ხელდამშვენებული შემოგვიძვრა, ვითარცა პავლე პოტიომკინის ფავორიტი და დიპლომატი, ხოლო **გენერალი ტოტლებენი,** რომელმაც სახელოვანი ერეკლე მეფე აწყურის ციხესთან მიატოვა, ყოველი დროისა და ეპოქის მოღალატის განზოგადოებული სახე და იმისი საუკეთესო დასტურია, **თუ რა ტიპის ევროპელ მხედართუფროსებსა და დიპლომატებს იზიდავდა საქართველო თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში.**

**როგორც ვხედავთ, ვითარება არც ორასი თუ ორას ორმოცდაათი წლის შემდეგ შეცვლილა და მაშინდელი იაკობ რეინეგსები და ტოტლებენები დღეს ევროპარლამენტარ კუილიუსის, ფოტიგას, კრამონ-გარმონისა თუ ველგვარი კითხვის ნიშნები და გაურკვევლობის საბურველი მოხსნა, როცა სიკვდილამდე სამი წლით ადრე, 1842 წელს, მორიგი პოლიტიკური დეკლარაცია, ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“ დაწერა.** 24 წლის პოეტმა საქართველოს უკანასკნელ დიდ მეფეს პოლიტიკური არჩევანი მოუწონა და ერეკლე მეფისადმი თავისი და-

## ქართველი ერის სულში ჩაფურთხებაში ევროპა რუსეთსა და თურქეთს ტოლს არ უდებს!

**გოშიევსკას სულებში ჩასახლდნენ.**

ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც 1832 წლის შეთქმულებას ყოველი ნერვით თანაუგრძნობდა და რომელსაც რუსული საოკუპაციო რეჟიმის მარწუხები სულს უხუთავდა, „ბედი ქართლისაში“ გვეუბნება, რომ საქართველომ სპარსეთისა და თურქეთის ჯავრი რუსეთის საფარქვეშ უნდა ამოიყაროს! სხვაგვარად გადაგვთელავენ, შეგვჭამენ და სიკვდილს სანატრელს გაგვიხდიან...

აი, ეს არის პოემის გენერალური ხაზი და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკური დეკლარაციის კვინტესენცია, რასაც ბევრი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. **თუმცა, ბარათაშვილმა თავის პოლიტიკურ მანიფესტს ყოველგვარი კითხვის ნიშნები და გაურკვევლობის საბურველი მოხსნა...**

მოკიდებულება ერთ წინადადებაში ჩაატია — **„სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი, მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!“**

სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ საქართველოს გადაჯეგასა და ქართველი ერის სულში ჩაფურთხებაში ევროპა **რუსეთსა და თურქეთს** ტოლს არ უდებს! **თუ ეს ასე არ არის, მაშ, რას ნიშნავს ევროპული ინსტიტუტების ყბადაღებული კვლევები და პომპეზური დასკვნები იმის შესახებ, რომ, თურმე, საქართველო დემოკრატიის, რეფორმების, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, ბიზნესის თავისუფლებისა და კიდევ ღმერთმა უწყის, რამდენი ათასი ჯანდაბისა და დოზანის ინდექსით უკრაინასაც ბევრად უსწრებს და მოლდოვასაც, მაგრამ, რაკი მაკრონმა გვითხრა — შორს ხართო! — ეს უკვე საკმარისზე მეტი არგუმენტია იმისთვის, რომ საქართველო გაიწიროს და ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი არ მიიღოს!**

ერთხელ და სამუდამოდ ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს ეს ყველაფერი ჩვენთვის და **ედუარდ შევარდნაძის ვაჟმა პაატა შევარდნაძემაც ჭკუა უნდა ისწავლოს,** რომელიც ტუალეტის მჯღაბნელ **ზურაბ ქარუმიძის** „მელია ტულეფიასა“ და უბორნიის პოეტ **პაატა შამუგიას** გარყვნილი ლექსების გაზეპირებაშია ეჭვმიტანილი!

ბატონო პაატა, შევარდნაძის შვილს ევროპელი ცრუქაქუნების ამბავი კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ და დალალები რად გაიშალეთ ან სახე-პირს რად იხოკავთ — **არიქა, ამ ხელისუფლებამ დაგვღუპაო?!**

**თქვენ ხომ არ დაგავიწყდათ, საქართველო ვინ დაღუპა? გაგახსენოთ, აფხაზეთი ვინ ჩააბარა, ზვიად გამსახურდია და ჟიული შარტავა ვინ მოკლა, ქართველ მეანაბრეებს ფული ვინ გამოაჭამა და ხაზარაძეები და მისთანა**

## პაატა, რომელმაც ილჰამად ვერ ივარგა!





**თქვენ რომ ილჰამ ალიევივით გევარგათ, შევარდნაძე იმის ჩიტი არ იყო, ხელისუფლება უფშვიტინე სააკაშვილისთვის გადაებარებინა!**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**რომ არ მოსულიყო ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში,** დღეს ქვეყანა აღარ გვექნებოდა, რადგან იქნებოდა ომში ჩართული — **აქ მოაწყობდნენ მეორე მარიუპოლს.**

„რეზონანსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



ბიძინა ივანიშვილმა ყველაზე დიდი საქმე, რაც ქვეყანას გაუკეთა, ეს იყო მისი პოლიტიკაში შემოსვლა **და ქვეყნისთვის იმ ბოროტების მოცილება, ქვეყნის იმ მტრების მოცილება,** რომელიც ნაციონალური მოძრაობის სახით იყო წარმოდგენილი.

„რეზონანსი“

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოლოგი*



ევროპარლამენტში მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც **სააკაშვილის** საზღვარგარეთ გადაყვანა და **გვარამიას** გათავისუფლება მოითხოვეს, თბილისში პრაიდის არჩატარება დაგმეს, სასამართლოსთან დაკავშირებით შემაშფოთებელი აღქმები კიდევ ერთხელ გაგვიზიარეს და, რაც მთავარია, **ბიძინა ივანიშვილისთვის** სანქციების დაწესება მოითხოვეს. დღესავით ნათელია, რა დგას ამ ყველაფრის უკან — **დიდი ძალისხმევის, შანტაჟისა და ზეწოლის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება არ ჩაერთო ომში და ამისათვის უნდა დაისაჯოს!**

„პირველი არხი“

**ბიძინა გიორგობიანი**
*ყოფილი პოლიტდევნილი*



ევროკავშირის გადაწყვეტილება გათვლილია **შიდა პოლიტიკურ შოკზე,** რაც არ უნდა დაუშვას საქართველომ და მისმა არჩეულმა ხელისუფლებამ. ომში ჩართული, **კორუმპირებული უკრაინის** და „ესენგეს“ წევრი, **არანაკლებ კორუმპირებული მოლდოვისათვის** თანხმობა და EU**-დან შორს მდებარე საქართველოსთვის** უარი, ძალიან წააგავს 2008 წელს მაპის უარს, რასაც შედეგად **საქართველოს დანაწევრება მოჰყვა.**

„იმედინიუსი“

# სალომე, რომა...

### თუქსუსები ქვეყანას თავზე ვინ დაასვა?

თქვენ რომ ილჭამ ალიევივით გევარგათ, შევარდნაძე იმის ჩიტი არ იყო, ხელისუფლება უფშვიტინე სააკოვისთვის გადაებარებინა! მაგრამ თქვენ მამას — ედუარდ შევარდნაძეს ვერ გამოადექით. თუ რამ შეგიშალათ ხელი და რატომ, ამ თემაზე ამჯერად არ ვისაუბრებთ, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ,

**თუ ქვეყნის დეოლიგარქიზაციაზე მიდგება საქმე, მაშინ ეს პროცესი სწორედ თქვენი ოჯახიდან უნდა დაიწყოს, რადგან საქართველოში ყველა მსხვილი და შემოსავლიანი ბიზნესი სწორედ თქვენი და თქვენი კლანის საკუთრებაა.**

საქართველოს, რომელსაც ევროპამ უღალატა და თხასავით გაყიდა, **სჭირდება არა რუსეთთან მეორე ფრონტი, სისხლი და ნგრევა,** რაშიც საცოდავი უკრაინა გახვიეს, არამედ **მშვიდობა და ეკონომიკური აღმავლობა.** საქართველომ საკუთარ თავს რუსეთთან ომი უნდა აუკრძალოს, **რადგან ფრთოსანი რაკეტებითა და თერმობირთვული იარაღით**



**სალომე ზურაბიშვილო, ნუ დაემსგავსები პირცხვირშერცხვენილ სალომე სამადაშვილს!**

**აღჭურვილ თანამედროვე „ოქროს ურდოსთან“ სისხლიან ჯახში, როგორც წესი, ჩვენ ყოველთვის მარტო ვრჩებით.** ასე იყო 1921 წლის თებერვალში, როცა **სალომე ზურაბიშვილის წინაპრებმა** აქედან მოცოცხეს და ქვეყანა გავეშებულ წითელარმიელებს შეატოვეს; ასე მოხდა **ზვიად გამსახურდიას დროს, რომელსაც**

**სალომე ზურაბიშვილი და მისი კაგებეშნიკი ქმარი ჯანრი კაშია ულირსი მეთოდებით ებრძოდნენ;** ასე მოხდა **უფშვიტინე სააკაშვილის დროს,** რომელიც გააქეზეს და მერე გორის ტრასაზე დააგდეს სამარცხვინოდ ნათრევი და ჩასვრილი და

**ასეა დღესაც, როცა ევროპამ**

**ჩვენთვის კანდიდატობის წევრობის არმოცემით, ფაქტობრივად, რუსეთს თვალი ჩაუპაჭუნა და ნიშანი მისცა – საქართველო**




**ჩვენგან გეოგრაფიულად ძალიან შორს არის და ვისთანაც ახლოა, იმისი იყოსო!**

ორ გველეშაპს — **რუსეთსა და თურქეთს შორის მოქცეული საქართველოს ევროპა თავად უბიძგებს, გააკეთოს ის მძიმე, მაგრამ პრაგმატული არჩევანი, რომელსაც პოემა „ბედი ქართლისაში“ მეფე ერეკლე რვალზე უფრო უმტკიცესი არგუმენტით ასაბუთებს — „ახლა კი დროა, სოლომონ რომა, მშვიდობა ნახოს საქართველომა!“**

ქალბატონო სალომე, სამეგრელოს მთავარმა, მრისხანე და შეუპოვარმა **ლევან დადიანმა** მოღალატე ცოლს **თამუნია შერვაშიძეს** ცხვირი მოაჭრა და გაბახებული ქალი აფხაზთა მთავარს შინ მიუგდო!

საქართველოს ჰყავს მეორე **პირცხვირშერცხვენილი ქალი — სალომე სამადაშვილი,** რომელიც ქვეყნის ღალატის გზას დიდი ხანია, ადგას და ევროპული სტრუქტურები საქართველოს ლანძღვა-გინებით აავსო.

სალომე ზურაბიშვილო, ნუ დაემსგავსები სამშობლოს მოღალატე პირცხვირშერცხვენილ **სალომე სამადაშვილს!**

**ახლა სამშობლოს ღალატის კი არა, საქართველოს შენებისა და ეკონომიკური აღმავლობის დროა!**

## ხომ არ დაგავიწყდათ, საქართველო ვინ დალუპა?



***ჭკუა უნდა ისწავლოს ედუარდ შევარდნაძის ვაჟმა პაატა შევარდნაძემაც, რომელიც ტუალეტის მჯდაბნელ ზურაბ ქარუმიძის „მელია ტულეფიასა“ და უბორნიის პოეტ პაატა შამუგიას გარყვნილი ლექსების გაზეპირებაშია ექვმიტანილი!***



***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**არნო ხიდირბეგიშვილი**
*„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი*



მერკელმა საქართველოს უარი უთხრა ნატოზე, ხოლო მაკრონმა — ევროკავშირზე. ქართველებს ეშმაკისათვის სულის მიყიდვას სთავაზობენ. ევროპა საქართველოს ნეობოლშევიზმისაკენ უბიძგებს! **საქართველოს რუსეთთან დაახლოების პროცესი ნაკარნახევია არა პოლიტიკური კონიუნქტურით, არამედ ორი ქვეყნის ეროვნული ინტერესებით.** გეოპოლიტიკის გაუქმება ჯერ ვერავინ შეძლო. **დეოლიგარქიზაციიდან ერთი ნაბიჯია კოლექტივიზაციასა და ექსპროპრიაციამდე...** საინტერესოა, სად მიიყვანს ევროკავშირის ასეთი პოლიტიკა საქართველოს? **იქნებ უკან „სმოლნში“?**

**დიმიტრი ხუნდაძე**
*პარლამენტარი*



**რომელია ევროპული სტანდარტი** — სიტყვის ამგვარი თავისუფლება, **როცა ბინძური ენა ყველაფერს კადრულობს?** თუ მაინცდამაინც ისეთი ევროპელობა უნდა დავივალო, რომ ღირსება დავთმო?! **მინდა ღირსეული ევროპელობა და არა ევროპელობა მის გარეშე!**

„ახალი თაობა“

**მამუკა მდინარაძე**
*„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი*



შემიძლია, მოგილოცოთ **ევროკომისიის მხრიდან ევროპული პერსპექტივის აღიარება,** აქვე, გულწრფელად უნდა ვთქვათ, **რომ სამწუხაროა კანდიდატის სტატუსის მინიჭების გარკვეული პერიოდით გადავადება.**

„იმედინიუსი“

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



შეიძლება, ვიყოთ **იმედგაცრუებული,** მე უფრო იმ კატეგორიას ვეკუთვნი, რომელიც **გაბრაზებულია** — რაც მოგვივიდა, დღეს არის გაფრთხილება, **„რაც მოგივა დავითაო, მხოლოდ შენი თავითაო“.**

„ინტერპრესნიუსი“

ო, დრონი! ო, ზნეობანი!

# ფლეთჩერები და ელჩერები

***სააკაშვილის მმართველობის დროს საქართველოში ფლეთჩერები გვყავდა, დღეს კი ელჩერები გვყავს.***
***საქმე ის არის, რომ ზუგდიდის მე-4 საჯარო სკოლაში ინგლისურის მასწავლებლად გამწესებული თომას ფლეთჩერი, რომელიც ფართო საზოგადოებამ იმით გაიცნო, რომ პირში მოზრდილი ხელოვნური ფალოსი ჰქონდა ჩადებული, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დეკლარირებული პროდასავლური კურსის ერთ-ერთი უმთავრესი განსახიერება გახლდათ.***
***ის კი არა, მეპირფალოსე ფლეთჩერი ნაცრეჟიმის მიერ დეკლარირებული პროდასავლური კურსის ერთადერთ სიმბოლოდაც შეგვიძლია, გამოვაცხადოთ!***




კარგად მოგეხსენებათ, რომ ყველაფერი, რასაც სააკაშვილის რეჟიმი 9 წლის განმავლობაში სჩადიოდა, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა მის მიერვე დეკლარირებულ პროდასავლურ კურსს. დიახ, **სააკაშვილის დროინდელ პოლიციას, პროკურატურას, სასამართლოსა და პარლამენტს, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის პარტიულ დანამატებად თუ ქვედანაყოფებად იყვნენ ქცეული, ჭეშმარიტ ევროპულ ფასეულობებთან და ნამდვილ პროდასავლურობასთან საერთო არაფერი ჰქონდათ**! პროდასავლურ კურსთან და ევროპული დემოკრატიის სტანდარტებთან აბსოლუტურად შეუსაბამო იყო მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლების დარბევა, მედიისა და ბიზნესის ტერორი, ტოტალური ფარული თვალთვალი და მიყურადება, პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნა და დაპატიმრება, რასაც სააკაშვილი და მისი ბანდა სჩადიოდნენ! **აღარაფერს ვამბობთ ციხეებში დამკვიდრებულ სისტემურ წამებასა და პატიმრების გაუპატიურებაზე, რაც არამხოლოდ დასავლურ სტანდარტებში, არამედ, ზოგადად, ადამიანურობაში არ ჯდება!**

ასე რომ, ანტიდასავლური ნაცრეჟიმის ერთადერთ დასავლურ ქმედებად საქართველოში ინგლისურის მასწავლებლების ჩამოყვანა შეიძლება, ჩავთვალოთ, რადგან მათ ქართველი მოზარდებისათვის დედამიწის ზურგზე ყველაზე ფართოდ გავრცელებული დასავლური ენა — ინგლისური უნდა ესწავლებინათ! **მეორე საკითხია, როგორ შეასრულეს თავიანთი ფუნქცია სააკაშვილის მიერ საქართველოში ჩამოყვანილმა ინგლისურის მასწავლებლებმა და რამდენად დააახლოვეს ქართველი მოსწავლეები დასავლურ სამყაროსთან, მაგრამ ერთმა მათგანმა — თომას ფლეთჩერმა ნამდვილად შეძლო, ქართველი ხალხისათვის თავი დაემახსოვრებინა.** აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საქმეში საკუთარი წვლილი **„ასავალ-დასავალმაც“** შეიტანა, რადგან ზუგდიდის სკოლაში მომუშავე ფლეთჩერის ფოტოები, რომლებშიც იგი ხელოვნურ ფალოსს ხან ხელში ათამაშებდა და ხან პირით ეთამაშებოდა, პირველად სწორედ ჩვენ გამოვაქვეყნეთ.

**მაშინ ამან დიდი სკანდალი და ხმაური გამოიწვია. ზუგდიდის მე-4 საჯარო სკოლის მოწაფეთა მშობლები აჯანყდნენ — ასეთ გარყვნილ და გაფუჭებულ პედაგოგს ჩვენს შვილებთან კლასში როგორ უშვებენო და საქმე იქამდეც მივიდა, რომ განათლების იმჟამინდელ მინისტრს დიმიტრი შაშკინს ვითარების დასაშოშმინებლად ზუგდიდში საგანგებოდ მოუხდა ჩასვლა.**

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, **მეპირფალოსე ფლეთჩერი** სკოლიდან მალე გაუშვეს და საქართველოდანაც მალევე გაემგზავრა, მაგრამ სამუდამოდ დარჩა აქ, **ვითარცა ერთადერთი და მკაფიო სიმბოლო** სააკაშვილის რეჟიმის მიერ დეკლარირებული პროდასავლური ორიენტაციისა!

და აი, **ფლეთჩერების** შემდეგ საქართველოში **ელჩერების** ეპოქა დადგა!

**ელჩერები** საქართველოში მომუშავე ის **ელჩები** არიან, რომლებიც ვენის კონვენციით მკაცრად განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ვერ ეტევიან და ცდილობენ, მეფისნაცვლისა თუ გენერალ-გუბერნატორის ფუნქციები შეითავსონ!

კერძოდ, **ელჩერები** უხეშად ყოფენ ცხვირს საქართველოს შიდა პოლიტიკურ საქმეებში და როგორც ქართველ ხალხს, ისე მის მიერ არჩეულ ხელისუფლებას კარნახობენ — **ასე კი არა, ისე მოიქეცითო! ამის უფლება გაქვთ და იმის უფლება არა გაქვთო! ეს ციხეში არ ჩასვათ და ის ციხიდან გამოუშვითო! ეს პროკურორი და მოსამართლე კი არა, ის პროკურორი და მოსამართლე დანიშნეთო! იმას დაელაპარაკეთ და ამას ხმა არ გასცეთო!**

ერთი სიტყვით, საქართველოში **ელჩერები** აკეთებენ ყველაფერს, რაც მათი საქმე არ არის, მაგრამ არ აკეთებენ იმას, რაც მათი საქმე და პირდაპირი მოვალეობაა! მაგალითად, **საქართველოში მომუშავე ელჩერები** არაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ევროპარლამენტარებმა საქართველოსთან დაკავშირებული რეზოლუციები არა ნაცების, ლომჯარიასა და გიგაურის მიერ მიწოდებულ ცრუ ინფორმაციებზე, არამედ რეალურ ფაქტებსა და ობიექტურ მოცემულობებზე დაყრდნობით მიიღონ!

**საქართველოში აკრედიტებულ ელჩერებს** პირდაპირ ევალებათ, რომ თავიანთი ქვეყნის ხელისუფლებებს საქართველოში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით რეალური, ობიექტური ინფორმაცია მიაწოდონ და უთხრან, რომ ყველაფერი სულაც არ არის ისე, როგორც ამას ევროსტრუქტურების ტალანებში ლანდებივით მობორიალე ნაცსექტანტები უყვებიან ევროპელ პოლიტიკოსებს!

თუმცა, **საქართველოში აკრედიტებული ელჩერები** ამას არ აკეთებენ!

ის კი არა, **საქართველოში აკრედიტებული ელჩერები** ძალიან ხშირად ისე მეტყველებენ და იქცევიან, რომელიმე **სალომე სამადაშვილისაგან** ან რომელიმე **რომან გოცირიძისაგან,** რომელიმე **ნინო ლომჯარიასაგან** ან რომელიმე **გიორგი მშვენიერაძისაგან** ვერ გაარჩევ!

მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ **საქართველოში აკრედიტებული ელჩერები** ხშირ შემთხვევაში მიუკერძოებელ დიპლომატებად კი არა, ნაცსექტისა და მასთან გათანაბრებული არასამთავრობო ორგანიზაციების მოკავშირეებად, მათ ლობისტებად და აპეკუნებად გვევლინებიან!

**ამიტომაც არის, რომ** საქართველოს მოსახლეობაში სულ უფრო იზრდება სკეპტიციზმი და უნდობლობა ევროპისა და, ზოგადად, კოლექტიური დასავლეთის მიმართ!

**ამიტომაც არის, რომ საქართველოს მოსახლეობას სულ უფრო აღარ სჯერა იმ ევროპის, რომელიც საბჭოთა კავშირის თანამედროვე მინი-მოდელის — „ესენგეს“ წევრს, ყველა პარამეტრით საქართველოზე დაბლა მდგომ მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს ანიჭებს, საქართველოს კი იმავე სტატუსზე უარს ეუბნება!**

ეს, ბევრ სხვა რამესთან და ვინმესთან ერთად, საქართველოში **ევროკავშირის ელჩერის კარლ ჰარცელისა** და **ამერიკის შეერთებული შტატების ელჩერის კელი დეგნანის** ბრალიც არის!

დიახ, სწორედ **ჰარცელი და დეგნანი** არიან **უპირველესი ელჩერები იმ ელჩერთა შორის,** რომლებიც ქართველი ხალხის დიდ ნაწილს ევროპისა და ამერიკისადმი რწმენას აკარგვინებენ და ამით პირდაპირ ასხამენ წყალს რუსეთის წისქვილზე!



ევროკავშირის ელჩი საქართველოში
**კარლ ჰარცელი**



აშშ-ის ელჩი საქართველოში
**კელი დეგნანი**

**კარლ ჰარცელი და კელი დეგნანი არიან უპირველესი ელჩერები იმ ელჩერთა შორის, რომლებიც ქართველი ხალხის დიდ ნაწილს ევროპისა და ამერიკისადმი რწმენას აკარგვინებენ!**

**თუ მეპირფალოსე თომას ფლეთჩერი სააკაშვილის ანტიდასავლური რეჟიმის მიერ დეკლარირებული პროდასავლური კურსის სიმბოლო იყო, დეგნანი, ჰარცელი და სხვა ელჩერები საქართველოში დასავლური ფასეულობების დეგრადაციის სიმბოლოებს წარმოადგენენ!**

ქართველ ხალხს არც ფლეთჩერების და არც ელჩერების ევროპა არ სჭირდება!

**ქართველ ხალხს სჭირდება ნამდვილ სამართლიანობასა და ნამდვილ დემოკრატიაზე დაფუძნებული ევროპა, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, აღარ არსებობს!**

*ჯაბა ხუბუა*

*— არ მოგვცეს და ნუ მოგვცეს კანდიდატის სტატუსი! დიდს არაფერს ვკარგავთ ამით! თუმცა, ვაღიაროთ — მაკრონი ყველაზე პატიოსნად და დიპლომატიურად მოიქცა, როცა თქვა — საქართველოს გეოპოლიტიკური მიზეზით ვერ მივცემთ კანდიდატობასო. შეურაცხყოფა მაინც არ მოგვაყენა ისე, როგორც ჩვენმა პრეზიდენტმა და იმ 308 უპასუხისმგებლო ევროპარლამენტარმა, რომლებმაც პირში მოგვახალეს — ღირსები არ ხართ, კარგად ვერ ჩააწყვეთ და სათანადოდ ვერ „იპადხალიმეთო“,* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი დამოუკიდებელმა ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმა ევროპისგან მიღებული გეგმური ჰიტლაყის შემდეგ:***

— კომუნისტური იდეოლოგიისგან რომ დაისვენებ და „პრიბალტები“ გაგიხდებიან უფროსად, ნახევარი ცხოვრება კომუნიზმში რომ მიგათრევენ, მეორე ნახევარი კი — ნატოში რუსეთთან „მებრძოლი“ კოლექტიური ევროპა რუსული გაზის საფასურით იმავე რუსეთს რომ ამდიდრებს, ეს უკვე იმის ნიშანია, რომ **ლიბერალური ევროპა მართლა გაგიჟდა!**

საზოგადოება, პრაქტიკულად, საინფორმაციო ვაკუუმშია. რატომ მიკეტავ ინფორმაციის წყაროს? რატომ მასმენინებ მხოლოდ იმას, რაც შენ გინდა?! ეს არის დემოკრატია?! მომასმენინე ყველა ინფორმაცია და მე გადავწყვეტ, რომელი დავიჯერო და რომელი — არა. რაღას ვუწუნებდით მაშინ საბჭოთა სისტემას, რომელიც ადრე „ამერიკის ხმას“ ახშობდა? ჩვენს ტელეარხებს რომ ვუყურებ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ზელენსკი ხვალ მოსკოვში გამარჯვების დროშასააფრიალებს!

**— და მაინც, როგორია რეალობა?**

— დღეს უკრაინამ, პრაქტიკულად, 140 ათასი კვადრატული კილომეტრი დაკარგა, ანუ ორი საქართველოსხელა ტერიტორია. ეს არის ის მწარე რეალობა, რასაც ქართული ტელეარხები მალავენ! **ეს არის ანგლოსაქსების დაწყებული დიდი თამაში. ამერიკამ და ბრიტანეთმა რუსეთის წინააღმდეგ ინსტრუმენტად გამოიყენა უკრაინა და, ამავდროულად, ირიბად დაარტყა, დააჩოქა ევროპა.** დღეს უკვე მათივე საინფორმაციოებიც ვეღარ მალავენ ამას.

ახლა უნდა გვეუბნებოდნენ, რომ საქართველოს სხვა გეოპოლიტიკური რეალობა აქვს? მანამდე არ იყო ცნობილი, რომ ჩვენ ევროპასთან პირდაპირი საზღვარი არა გვაქვს? როდემდე უნდა ვიკვებოთ ტყუილი დაპირებებით? ან უცხოეთის საელჩოები რატომ არიან აქ, მხოლოდ დაზვერვაზე მუშაობენ? ფაქტები არ უნდა გადაამოწმონ?

საქმეც ის არის, რომ მათთვის საქართველოს მოსახლეობა არ არის პატივსაცემი, მნიშვნელოვანია ნაციონალური მოძრაობა და მასთან მიწეპებული 1-პროცენტიანი რეიტინგის მქონე პარტიები. **იმ 308 ევროპარლამენტარმა, რომელმაც ხმა მისცა ე.წ. რეზოლუციას, საქართველოში პოლიტიკური ექსტრემიზმის გაღვივებას შეუწყო ხელი.** ეს მხოლოდ ხელისუფლების კი არა, ერის, ქვეყნის შეურაცხყოფაა! არ მეგონა, ამდენი უპასუხისმგებლო პარლამენტარი თუ იყო ევროპარლამენტში. კიდევ უფრო გამაოცა პრეზიდენტის საქციელმა, რომელმაც, პრაქტიკულად, რეზოლუცია გაამაგრა — ამას მარტო გარედან კი არ ამბობენ, მეც ვადასტურებო. ჯერ იყო და, 26 მაისის ზეიმზე კლასის დამრიგებელივით გააკრიტიკა ხელისუფლება, ორიოდე დღის წინათ კი ბეჭედი დაუსვა თავის ნაბოდვარს — საქართველოს მთავრობა იზოლაციაშია, რატომ არ გაუწექით დასავლეთსო. **ყურებს არ ვუჯერებდი, როცა ამას პრეზიდენტი ევროპული ღირებულებების მოსურნე საზოგადოებას ეუბნებოდა.** თურმე, რადგანაც ჩვენს ხელისუფლებას თავმოყვარეობა აღმოაჩნდა, ამიტომ მოექცა იზოლაციაში. არადა, რეალურად იზოლაციაში თავად არის. ყველა ხიდი დაწვა ხელისუფლებასთან და საზოგადოების უდიდეს ნაწილთან. წესით, ამის შემდეგ თავმოყვარე პრეზიდენტი უნდა გადადგეს. დიპლომატი ამხელა შეცდომას რომ დაუშვებს, ფაქტობრივად, განადგურებულია!



„რა გვირჩევნია, ერთად და მშვიდად ვიყოთ ჩვენს სამხრეთ კავკასიაში თუ კანდიდატობის სტატუსს შევწიროთ ყველაფერი?! ქეთევან დედოფალივით ჩამოვაჭრათ საქართველოს სხეულის ნაწილები?!“

# მაია ნიკოლეიშვილი: ლიბერალური ევროპა მართლა გაგიჟდა!

**— თუმცა, ეს არ ცვლის იმ რეალობას, რის წინაშეც დავდექით. ფაქტია, რომ ევროკავშირმა მოლდოვასა და უკრაინისგან განსხვავებით კანდიდატის სტატუსი არ მოგვანიჭა... მოდით, პირდაპირ ვიკითხოთ — კანდიდატის სტატუსის მიღება რას შეცვლიდა?**

— არაფერს! ამასწინათ გერმანიის კანცლერმა პირდაპირ უთხრა სერბებს — **თუ გინდათ ევროკავშირში შესვლა, კოსოვოსთან ურთიერთობისა და ურთიერთაღიარების გზები უნდა გამონახოთ.** ანალოგიური დილემის წინაშე დააყენებენ საქართველოსაც. თუ ოდესმე ევროკავშირის წევრობაზე დადგა **საუბარი, სამაჩაბლო და აფხაზეთი უნდა ვაღიაროთ!**

**რა გვირჩევნია, ერთად და მშვიდად ვიყოთ ჩვენს სამხრეთ კავკასიაში თუ კანდიდატობის სტატუსს შევწიროთ ყველაფერი?! ქეთევან დედოფალივით ჩამოვაჭრათ საქართველოს სხეულის ნაწილები?!**

**— გამოდის უარი უნდა ვთქვათ ევროატლანტიკურ კურსზე?**

— ნატო ჩემთვის სისხლთან და დანგრეულ ქალაქებთან ასოცირდება, თუმცა, ევროსკეპტიკოსი არასოდეს ვყოფილვარ. როდესაც დაისმის კითხვა — უნდა ვთქვათ თუ არა უარი ევროპაში გაწევრიანებაზე, ცხადია, არა, მაგრამ თევზის დიპლომატიას უნდა მივმართოთ, პირში წყალი ჩავიგუბოთ და






ცოტა ხანს გავჩუმდეთ, დავაკვირდეთ მოვლენებს. იქნებ სულაც არ გვიღირს იმ ორგანიზაციაში გაწევრიანება, რომელიც დაშლის პირასაა? დღეს საკუთარი თავი გასჭირვებიათ, თავიანთ მოქალაქეებს ეუბნებიან — არ იბანაოთ და სველი სალფეთქებით გაიწმინდეთ ოთხი ადგილიო... **მაინცდამაინც დათო უსუფაშვილივით უნდა მოგვივიდეს, თითქმის დაშლილ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში რომ შევიდა?!**

ძალიანაც რომ გვინდოდეს, ამ კავშირში მაინც არავინ გვიღებს, კანდიდატობა გაწევრიანებას არ ნიშნავს. ასე რომ, ნუ შემოვიგლეჯთ მაისურებს. **გავიხედოთ ჩვენ ირგვლივ. დავათბოთ ურთიერთობა კავკასიელ ძმებთან და დრო მოვიგოთ. ხალხზე, ქვეყანაზე ვიფიქროთ.** ჩვენი მიწა, ალაგი, სალოცავი, საფიცარი, სახატე და საძვალე კავკასიაშია. ჩვენი მეზობლები — აზერბაიჯანელები, სომხები, ჩრდილოკავკასიელები, რუსები და თურქები, ჩვენი ძალით და გარეულის წაქეზებით დაკარგული ძმები და დები — ოსები და აფხაზები არიან! **ჩვენ რეალურად კავკასიაში ვართ და არა ვირტუალურ რეალობაში — იტალიაში, ესპანეთში, გერმანიასა თუ შტატებში!**

კიდევ ერთხელ ვამბობ — ვიდრე ცივილიზაციების უზარმაზარი შეჯახება მიდის, მშვიდად უნდა ვიყოთ და მივიღოთ ის მცირე სიკეთეები, რომლებიც გეოპოლიტიკური მდებარეობით გვაქვს მონიჭებული. მერე, როდესაც ეს ქარიშხალი გადაივლის, გამოჩნდება, სად ღირს შესვლა და სად — არა!

**— როგორც ოპონენტები ირწმუნებიან, ახლა თუ ვთქვით უარი ამაზე, მერე უკვე თვად იტყვიან ჩვენზე უარსო...**

— ამას ვინ ამბობს — ის ხოშტარია, რომლის ოჯახსაც რუსეთიდან რუბლები ერიცხება?! ხუთი თითივით ვიცი, სააკაშვილის მმართველობის დროს რა პოლიტიკური და ბიზნესკავშირები ჰქონდათ ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს იმ რუსებთან, რომლებსაც ვითომ ებრძოდნენ!

**ბიძინა ივანიშვილს რომ უწესებენ დღეს სანქციებს, რატომ დაივიწყეს კობა ნაყოფია, რომელსაც დიდი ფინანსები აქვს რუსეთში ნაშოვნი, იქაური მოქალაქეც არის და ნაციონალების დიდი ბოსიც?!** იმიტომ ხომ არა, რომ ბიძინა ივანიშვილი არის მორალური ღერძი და ამ ღერძის, საყრდენის გამოცლა სურთ? ასეთ სიყალბეს რომ ხედავს, ქართველი ხალხის დამუნათება და რუსეთის სიძულვილის ხელოვნურად კულტივირება რომ ხდება, ამიტომაც აღარ სურს საზოგადოების დიდ ნაწილს დასავლეთისა და ევროკავშირის ხსენება. **პირადად მაქვს გამოცდილი ეს ყველაფერი. ღია მუქარა მივიღე იმ შტატებიდან, რომელიც ასე ძალიან გვიყვარს — თუ სიმართლეს იტყვი, ცუდად დაასრულებო.** დღესაც არ მინდა ამ თემაზე კონკრეტული საუბარი, მაგრამ ხომ ვიცი მათი რეალური სახე?! დასავლეთის ლიბერალური ნარატივი არის აბსოლუტური ბლეფი და შირმა.

**ჩემთვის „ქართული ოცნება“ მშვიდობასთან ასოცირდება. ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა ამაში. ის გზა, რომლითაც მივდივართ, ყველაზე მისაღები და სწორია არსებულ რეალობაში!**

**— არის შანსი, ევროპარლამენტარების გადაწყვეტილების კვალდაკვალ ნაციონალებმა ქვეყანაში სიტუაცია არიონ?**

— ნაციონალებს თავიანთი გაჭირვება აქვთ. **სააკაშვილი ღრმა დეპრესიული ეტაპის გავლის შემდეგ ველარ იქნება ისეთი, როგორიც ადრე იყო.** ფაქტობრივად, ნაციონალებს დღეს ლიდერად ილუზორული ფიგურა ჰყავთ და ეს მათ ყველაზე უკეთ იციან, ხოლო, როდესაც ახალ რეალობას მიიღებენ და მოუწევთ ახალი ლიდერის დასახელება, არა მგონია, ის ნაციონალების შიგნით იპოვონ!

**„იქნებ სულაც არ გვიღირს იმ ორგანიზაციაში გაწევრიანება, რომელიც დაშლის პირასაა? მაინცდამაინც დათო უსუფაშვილივით უნდა მოგვივიდეს, თითქმის დაშლილ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში რომ შევიდა?!“**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***




***ეს პასაჟი დიდი ქართველი კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან „მთვარის მოტაცება“ დღესაც ერთობ აქტუალური და ნიშანდობლივია:***

**კეთილო ფრაუ,** თქვენ ევროპელები, ეგოისტები ხართ, ჩვენგან მოითხოვთ, გარდავიქმნეთ, ე.ი. ჩვენ არ ვიქნეთ ისეთი, როგორიც ვყოფილვართ ან ვართ, ე.ი. თქვენ დაგემსგავსოთ. **და თქვენ ეს მოგდით, კეთილო ფრაუ, არა ჩვენის სიყვარულით, არამედ იმისათვის, რომ თქვენთვის უფრო ხელმარჯვე იქნება, რომ ყველანი თქვენა გგავდეთ.** თქვენ ბევრნი ხართ, ჩვენ — ცოტა, თქვენ გინდათ, იმავე უფლებით ჩაგვყლაპოთ, როგორითაც ცვარს ყლაპავს ზღვა და ლიფსიტას — ვეშაპი. მაშინ თქვენ აღარ დაგჭირდებათ ჩვენი ენების შესწავლა, ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული სახელების დამახსოვრება, ჩვენი თავისებური სახელისა და გვარის გამოთქმა, **თქვენ ის გირჩევნიათ, ჩვენ ყველას არზაყანის, კეგვას, თარაშის ნაცვლად, ჯონი, ჟანი ან ჰანს გვერქვას.**

თქვენ ის გირჩევნიათ, ჩვენ ჩვენი ენა დაგვავიწყდეს, თქვენ ენებზე გადავიდეთ, **თქვენთვის უთუოდ აჯობებდა, თქვენს ქარხნებში გაკეთებული საქონელი მოერგოს ჩვენს ტანს, თქვენს ავტომობილებს შევეჩვიოთ. თქვენი მანქანები ვიყიდოთ, თქვენი წიგნები და გაზეთები ვიკითხოთ და ჩვენზე ხელი ავიღოთ, თქვენი ღმერთები ვიწამოთ, ჩვენსას მივაფურთხოთ. თქვენი ლოცვები ვთქვათ და თქვენმა გემებმა ჩვენს ზღვებში თავისუფლად ითარეშონ.**

# ოსტატი და

***რა მიხვედრა უნდა, რომ ჩვენი წერილის სათაური „ოსტატი და მალგორზატა“ დიდი რუსი მწერლის მიხაილ ბულგაკოვის გენიალურ რომანს ეხმიანება, რომელსაც „ოსტატი და მარგარიტა“ ჰქვია.***

ბულგაკოვისეული ოსტატი მწერალი გახლავთ, რომელმაც იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების უკანასკნელ დღეს რომანი მიუძღვნა და ამის გამო საბჭოთა სისტემამ საგიჟეთში გამოამწყვდია, **ჩვენს წერილში კი ოსტატი მიხეილ სააკაშვილია, რომლის ოსტატობაც მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შექმნაში გამოიხატება**. უფრო კონკრეტულად, სააკაშვილი არის მშვიდობიანი დემონსტრაციების დარბევისა და სისხლში ჩახშობის **ოსტატი,** ცემით მოკლულ მომიტინგეთა გვამების სახურავზე შელაგების **ოსტატი,** უდანაშაულო ადამიანების ქუჩაში დახვრეტის **ოსტატი,** პატიმრების წამებისა და გაუპატიურების **ოსტატი,** მედიისა და ბიზნესის დატერორების **ოსტატი,** პროკურატურისა და სასამართლოს დამონების **ოსტატი,** ქვეყნის ომში ჩათრევის **ოსტატი,** ომის დროს მიწაზე ფორთხვის **ოსტატი,** საქართველოს ტერიტორიების მტრისათვის ჩაბარების **ოსტატი,** იმავე მტრისათვის სტრატეგიული ობიექტების მიყიდვის **ოსტატი,** ქართული პასპორტის უკრაინულ პასპორტზე გაცვლის **ოსტატი** და არაყნებით სავსე ტრაილერით საზღვარზე გადმოპარვის **ოსტატი.**

ბულგაკოვისეული ოსტატის მსგავსად მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შექმნის ოსტატსაც ჰყავს **საკუთარი მარგარიტა,** უფრო სწორად, **საკუთარი მალგორზატა!** დიახ, თუ ბულგაკოვის რომანში **მარგარიტა** ოსტატის საყვარელი ქალია, რომელმაც სატრფოს გადასარჩენად სული სატანას მიჰყიდა, **ჩვენი პუბლიკაციის პერსონაჟი მალგორზატა მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შექმნის ოსტატის მიხეილ სააკაშვილის მოყვარული ქალი გახლავთ, გვარად გოშიევსკა.**

კერძოდ, **მალგორზატა გოშიევსკა** პოლონეთის სეიმის ვიცე-სპიკერია, რომელიც ამა წლის 17 ივნისს თბილისს ესტუმრა, რათა **მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შექმნის ოსტატი სააკაშვილი** კლინიკა „ვივამედში“ მოენახულებინა, მაგრამ **მალგორზატას** ოსტატის მონახულების საშუალება არ მისცეს.

**ოსტატის** სანახავად კლინიკაში არშემვებულმა **მალგორზატამ** ისეთი ამბავი ატეხა და ისეთი განცხადებები გააკეთა, რომ მაშინათვე ცხადი გახდა — **პოლონეთის სეიმის ვიცე-სპიკერი გოშიევსკა იმ გოშიების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც საქართველოსა და ქართველ ხალხს დღენიადაგ უღრენენ, სააკაშვილისა და მისი დანაშაულებრივი რეჟიმის ნარჩენებს კი კუდს უქიცინებენ და ენით ხელისგულებს ულოკავენ.**

პირდაპირ რომ ვთქვათ, **გოშიევსკა** ამერიკასა და ევროპაში მოკალათებული იმ შავბნელი ძალების **გოშიაა,** რომლებსაც საქართველოს ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის დაბრუნება სურთ!

მოკლედ, თუ ბულგაკოვის რომანში მარგარიტამ ოსტატის გადასარჩენად სული **მოსკოვში ჩასულ სატანა ვოლანდს** მიჰყიდა, **თბილისში ჩამოსულ მალგორზატას** სული პოლიტიკური სატანებისათვის აქვს მიყიდული, რათა მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შექმნის ოსტატი — მი-



## უმალ სამი დღის მიცვალებული აღდგება საფლავიდან, ვიდრე საქართველოს ხელისუფლებაში აღდგება სააკაშვილი, რომელსაც, მისი ერთ-ერთი ადვოკატის თქმით, სახეზე სამი დღის მიცვალებულის ფერი ადევს!

### რა უთქვამს, რა მოუჩმახავს?!



***ნაცკლასტერი 20 ივნისის რევოლუციური აქციის წინ ხალხის ქუჩაში გამოსაყვანად ყველანაირ პროპაგანდისტულ სიბინძურეს კადრულობს! აგერ, „ლელოს“ ლიდერმა, ყაჩაღ-ბანკირ მამუკა ხაზარაძის მარჯვენა ხელმა ბადრი ჯაფარიძემ ხელისუფლების დამხობის საქმეში ზვიად გამსახურდიაც კი მიიმხრო!***

დიახ, **ბადრი ჯაფარიძემ** უკიდეგანო მკრეხელური სისულელე დააბრეხვა: **1990 წელს ზვიად გამსახურდიამ ხალხს მოუწოდა, არჩევანი გაეკეთებინა ქრისტეს გზასა და ბარაბას გზას შორის და ახლა კვლავ ვართ ასეთი არჩევანის წინაშე: არის ევროპული გზა და არსებობს ივანიშვილის, კობახიძის გზაო!** ანუ ქრისტეს გზა, ბადრი ჯაფარიძის აზრით, დღეს, არც მეტი, არც ნაკლები, ევროპის გზა ყოფილა!

არადა, ზვიად გამსახურდიას ხსენების უფლება თუკი ვინმეს არა აქვს ამ ქვეყანაში, ეს სწორედ „ლელოელი“ ბადრი ჯაფარიძეა! მან ხომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების უზენაეს საბჭოში ყოფნა და დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე ხელის მოწერა

## ბადრი-ჯან, ეს რა

### კვირგვინოსნები

**კონსტანტინე გამსახურდია**
*პირველი პრეზიდენტის ვაჟი*



რა გვითხრა ევროპელმა **ბერტოლდ ბრეხტმა** ქართველებს იმ ცნობილი პიესით *(რომელიც ჩვენს ცნობიერებაში განუყოფელი დარჩა* ***რ. სტურუასგან, გ. ყანჩელისგან, რ. ჩხიკვაძისგან, ი. გიგოშვილისგან*** *და ა.შ.)?* თუ მართლაც დედა ხარ, არ უნდა დაუშვა **ცარცის წრეში** ჩაყენებული ბავშვის გაგლეჯა. **სწორედ გრუშეს ნაბიჯია ევროპელობა.**

„GTMEDIA“

**დემურ გიორხელიძე**
*ჟურნალისტი*



**სააკაშვილი** ციხეში იტანჯებაო! **კეზერაშვილი** დევნილი და შევიწროებულიაო?! გეი-აღლუმს არ ატარებთ და დაგსჯითო! ომი არ გინდათ და გაჩვენებთ სეირსო! **გაიკეთეთ უკანალში მაგ „კანდიდატის წოდება“** თქვენს მარიონეტ-„პოლიტიკოსებთან“ ერთად!

„ალია“

**ფრანცისკე**
*რომის პაპი*



**მესამე მსოფლიო ომი უკვე გამოცხადებულია!**

„რეზონანსი“

# მალგორზატა,

## ანუ გოშიევსკასა და პატიმარ სააკაშვილის ნაციდან მყეფარი სხვა გოშიების შესახებ




**ქალბატონი გოშიევსკა ისევე აზროვნებს და მეტყველებს, როგორც კუბილიუსი, ფოტიგა, ფონ კრამონი, იუკნევიჩიენე, გრეგოროვი და სხვა გოშიები, რომლებსაც სააკაშვილი, გვარამია და კეზერაშვილი ქართული დემოკრატიის მამებად მიაჩნიათ, ხოლო ბიძინა ივანიშვილი და საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება – ქართული დემოკრატიის მესაფლავეებად!**




მალგორზატა გოშიევსკა თბილისში, კლინიკა „ვივამედის“ წინ, გიული ალასანიას ფონზე

ხეილ სააკაშვილი ციხიდან დაიხსნას!

**— ევროპული დემოკრატიის პრინციპებში არ ჯდება, რომ პატიმრობაში იყოს და დასჯილ იქნას დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი!** — განაცხადა **მალგორზატა გოშიევსკამ.**

**გოშიევსკა** ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ დაგეშილი და **ნაცსექტის სასარგებლოდ მოწკავწკავე გოშია** რომ არ იყოს, იქვე იტყოდა, რომ ევროპული დემოკრატიის პრინციპებში არ ჯდება, როცა „დემოკრატიულად არჩეული“ პრეზიდენტი საკუთარ ძალაუფლებას ბოროტად იყენებს და სისხლის სამართლის დანაშაულებს სჩადის — მშვიდობიანი მიტინგის დარბევის ბრძანებას გასცემს **(7 ნოემბრის საქმე)**, უმძიმესი მკვლელობისათვის მსჯავრდებულებს წინასწარი შეთანხმების საფუძველზე იწყალებს **(გირგვლიანის მკვლელების შეწყალების საქმე)**, ძალოვან სტრუქტურებს ავალებს, პარლამენტის დეპუტატს ფიზიკურად გაუსწორდნენ და სასიკვდილოდ სცემონ **(ვალერი გელაშვილის საქმე)**, პირადი ფუფუნებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 9 მილიონ ლარს ფლანგავს **(ე.წ. პიჯაკების საქმე)** და უკანასკნელ ქურდბაცაცასავით იპარება იმ ქვეყნის საზღვარზე, რომელსაც 10 წლის განმავლობაში მართავდა **(საქართველოს სახელმწიფოს საზღვრის უკანონო კვეთის საქმე).**

პოლონეთის სეიმის ვიცე-სპიკერი **გოშიევსკა** ქართულ სახელმწიფოსა და ქართველ ხალხთან დაპირისპირებული შავბნელი ძალების **გოშია** რომ არის, ამაზე მის მიერ **ბიძინა ივანიშვილის** შესახებ გაკეთებული განცხადებაც მეტყველებს — **„არ შეიძლება ქვეყნის და ხალხის დასჯა ერთი ოლიგარქის თავგასულობის, სიძულვილისა და პრორუსული განწყობის გამო, ამიტომ ევროპარლამენტის განცხადებას ივანიშვილის მიმართ სანქციების დაწესების შესახებ სრულად ვუჭერ მხარს“.**

როგორც ხედავთ, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **პოლონეთის სეიმის ვიცე-სპიკერი მალგორზატა გოშიევსკა** არაფრით განსხვავდება იმ **ძველი ქართველი გოშიებისაგან,** რომლებიც წლებია, საქართველოს სააკაშვილის ნაციდან უყეფენ და არც იმ **ახალბედა გოშიებისაგან,** რომლებმაც სააკაშვილის ნაცში ცოტა ხნის წინათ დურთეს თავი!

საერთოდ, **გოშიებს,** რომლებიც საქართველოსა და ქართველ ხალხს უყეფენ, ეროვნება არ გააჩნიათ და მნიშვნელობა არა აქვს, ისინი **პოლონელი გოშიევსკები** იქნებიან, **ლიეტუველი გოშიამანტასები** თუ **ქართველი გოშიაშვილები** ან **გოშიაძეები,** რადგან მათი სამშობლო სააკაშვილის ნაცი გახლავთ და ისინი სააკაშვილის ნაციდან ყეფენ! თუმცა, **გოშიევსკა** და სააკაშვილის ნაციდან მყეფარი სხვა **გოშიები** ვერაფრით შეაჩერებენ ქარავანს, რომელსაც საქართველო ჰქვია!

**დიახ, საქართველოს პოლიტიკური სატანებისათვის სულმიყიდული რამდენი მალგორზატაც არ უნდა ესტუმროს, მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნის ოსტატი სააკაშვილი და მისი ხროვა საქართველოს ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდებიან!**

**ოსტატი და მალგორზატა,** თუნდაც მათ მსოფლიოს ყველა პოლიტიკური სატანა ერთიანად უმაგრებდეს ზურგს, ვერაფერს მოუხერხებენ ქართველი ხალხის ნებას, რომელიც უცვლელი და ურყევია — **საქართველოში მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმი ველარასოდეს ითარეშებს!**

უმალ სამი დღის მიცვალებული აღდგება საფლავიდან, ვიდრე საქართველოს ხელისუფლებაში აღდგება სააკაშვილი, **რომელსაც, მისი ერთ-ერთი ადვოკატის თქმით, სახეზე სამი დღის მიცვალებულის ფერი ადევს!**

*ჯაბა ხუბუა*

### რა უთქვამს, რა მოუჩმახავს?!

# აჯაფსანდალი გქონია თავში?!

პუტჩისტების ლოგინში ჩახტომაზე გაცვალა! **დიახ, ბადრი ჯაფარიძემ, ახლა რომ ტრაბახობს, დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე მაქვს ხელი მოწერილიო, 30 ვერცხლად გაყიდა საქართველოს დამოუკიდებლობაც, ეროვნული იდეალებიც, როდესაც შევარდნაძის კარის ბიზნესმენი გახდა მამუკა ხაზარაძესთან დუეტში!** მეორეც,

**რა ნამუსით უნდა ახსენოს ბადრი ჯაფარიძემ ზვიად გამსახურდია და ეროვნული იდეალები, როდესაც სწორედ ამ იდეალებთან მებრძოლი მამუკა ხაზარაძის თანამზრახველია, მერაბ კოსტავას მუშტებს რომ უქნევდა და ეროვნული მოძრაობის მიტინგებს სკამის ფეხებითა და არმატურის ნაჭრებით არბევდა!**

**რომელ „ქრისტეს გზაზე“ აპელირებს ბადრი ჯაფარიძე, რომელმაც ხაზარ-ბანკირთან ერთად საბანკო კაბალით პირდაპირ ტყავი გააძრო თანამემამულეებს და ამას დღემდე აგრძელებს თავისი ყაჩაღური ბანდითა და ბანკით, ეროვნული ბანკის ოფიციალური სტატისტიკით ყოველწლიურად ას მილიონ ლარამდე უძრავ ქონებას რომ ართმევს გაუბედურებულ მევალეებს!**

ასე რომ, **ბადრი ჯაფარიძემ** ზვიადზე, ქრისტეს გზაზე და ეროვნულ იდეალებზე კი არა, მისთვის მშობლიურ, ქრისტეს 30 ვერცხლად გამყიდველ იუდაზე, სინედრიონელ ფარისევლებზე და მკვლელ ბარაბაზე უნდა ილაქლაქოს! **ჰოდა, ბადრი-ჯან, ასეთი აჯაფსანდალი რომ გაქვს თავში, ენას კბილი დააჭირე და მოეშვი ზვიად გამსახურდიას ხსენებას!**

ამას ენა თუ არ მიაკვნეტინე, მალე იმასაც იტყვის — **მე და მამუკა ეროვნული მოძრაობიდან მოვდივართ და საქართველოს და ქართველი ერის თავისუფლებისთვის თავი გვაქვს გაწირულიო!**



*გიორგი ბიგაური*

### კვირგვინოსნები

**მარინა კალიურანდი**
*ევროპარლამენტარი*



როდესაც **ივანიშვილზე სანქციას ითხოვ** და იმავე რეზოლუციაში — კანდიდატობას, ვფიქრობ, **ეს არასერიოზულია.**

„რეზონანსი“

**კარლ ბილდტი**
*შვედეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი*



საქართველოში დემოკრატიის მდგომარეობა **შემაშფოთებელია,** ოპოზიციისადმი მოპყრობა კი — **უბადრუკი.** დღეს ეს არალიბერალური რეჟიმია. სიმართლე, რა თქმა უნდა, ისაა, რომ **საქართველო არ არის მზად ევროკავშირთან ურთიერთობაში ახალი ნაბიჯისთვის.**

„ტვიტერი“

**გიული ალასანია**
*მიხეილ სააკაშვილის დედა*



**მიხეილ სააკაშვილი** სრულიად ტყუილად, მოგონილი და არარსებული მიზეზითაა დაპატიმრებული. **ყველაზე პოპულარული ქართველი პოლიტიკოსია,** ხოლო საქართველოსა და რუსეთში არაა მოსაწონი. სხვათაშორის, **რუსეთშიც ძალიან ბევრს მოსწონს და ამბობენ, რომ ნეტავ სააკაშვილი ჩვენ გვყოლოდაო.**

„ინტერპრესნიუსი“

**კელი დეგნანი**
*აშშ-ის ელჩი საქართველოში*



ნათქვამი, რომ **აშშ საქართველოს წინააღმდეგ მუშაობს** 100 პროცენტით, **რუსული დეზინფორმაციაა.**

„ახალი თაობა“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



**კელი დეგნანს** მინდა, შევახსენო — **ომში ჩართვისკენ მოგვიწოდებდა უკრაინის დაზვერვის სამმართველოს უფროსი და პრეზიდენტის მრჩევლები,** ანუ მათ უკან რუსეთი დგას?

„ახალი თაობა“

## ბაიდენი – ისევ ძირს!

***ქურდი კაცის ბედისა რა გითხრათ, მაგრამ აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტის ბედი ნამდვილად ისეთია, რომ „ფათერაკი უკან დასდევს მუდამ“. ადრე თვითმფრინავის ტრაპზე წაქცეულ ჯო ბაიდენს მორიგი მარცხი ამჯერად დელავერის შტატში სეირნობისას მოუვიდა — ველოსიპედიდან გადმოვარდა!***



მართალია, თეთრი სახლის მხცოვანი ლიდერი **ძირს ხშირად ვარდება,** მაგრამ მისი ძირითადი პრობლემა საკუთარი მოსახლეობის თვალში **პოლიტიკური რეიტინგის ვარდნაა,** რაც უკრაინა-რუსეთის ომის ფონზე განსაკუთრებით აშკარა გახდა. **როგორც ექსპერტები ვარაუდობენ,** ცოტა ხნის წინათ ტრაპზე **დავარდნილ,** ახლა კი ველოსიპედიდან **გადმოვარდნილ** ჯო ბაიდენს მთავარი და ყველაზე მტკივნეული **ვარდნა** 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ელის!

## შვილის მკვლელს აპატია!



***გასულ კვირას ახმეტის მუნიციპალიტეტში მომხდარ ავტოავარიას პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭოს ერთ-ერთი თავკაცის ხასო ხანგოშვილის ვაჟი, ხუთი შვილის მამა ბებიშ ხანგოშვილი ემსხვერპლა.***

როგორც ცნობილი ქართველი ფოლკლორისტის **ამირან არაბულის** ფეისბუქ-პოსტიდან გახდა ცნობილი, **მიცვალებულის დაკრძალვის დღეს ხასო ხანგოშვილსა და იმ ადამიანის მამას შორის, რომლის მიერ ავტომობილის დაუდევარ მართვასაც ბებიშ ხანგოშვილის სიცოცხლე შეეწირა, ხანმოკლე საუბარი შედგა, რის შემდეგაც ხასო ხანგოშვილმა, მთელი პანკისის ხეობის თვალწინ, უამრავი ადამიანის თანდასწრებით, მისი შვილის მკვლელს დანაშაული აპატია.** პანკისის ხეობის უხუცესმა ამით ჩანასახშივე დაუსვა წერტილი შურისძიებას, რომელიც მომხდარ ტრაგედიას შეიძლება მოჰყოლოდა და ორ გვარს შორის სისხლისმღვრელ მტრობაში გადაზრდილიყო.

— **წეს-ჩვეულების ხალხურმა ნორმამ უმაღლესი ჰუმანიზმის სასარგებლოდ თქვა თავისი გადამწყვეტი სიტყვა!** — წერს **ამირან არაბული** და შეუძლებელია, სიამაყით არ დაეთანხმო!

## „მე მომკლეს, ბაბუ!“

***უკრაინის თავდაცვისა და უსაფრთხოების საბჭოს მდივანმა ალექსეი დანილოვმა განაცხადა, რომ ომის დაწყების შემდეგ რუსეთმა პრეზიდენტ ზელენსკის ლიკვიდაცია ხუთჯერ სცადა.***



თუ დანილოვი მართალს ამბობს, გამოდის, რომ რუსეთის სპეცსამსახურებს უკრაინის პრეზიდენტის მკვლელობის ხუთივე მცდელობა გაუცუდდათ, კუკარაჩას სატრფო ინგასი არ იყოს, მურტალოს შვიდი ტყვია რომ ესროლა და შვიდჯერვე ააცილა. **ზელენსკის ხუთჯერ ვერმოკვლის ამბავი ერთ ძველ ანეკდოტს გვახსენებს:** ომიდან დაბრუნებული ბაბუა შვილიშვილს უყვება — ფრონტზე ისეთი ამბავი იყო, ზოგს კლავდნენ და ზოგს ტ...ნავდნენო, ხოლო, როცა შვილიშვილმა ჰკითხა — შენ რა გიქნეს, ბაბუ? — უმალ უპასუხა: **მე მომკლეს, ბაბუ! ალბათ, ზელენსკიც ასე ეტყვის თავის შვილიშვილებს!**

## კანიბალი ექიმი თბილისში?



***გასულ კვირას თბილისში, სანზონის დასახლებაში, ერთ-ერთი კორპუსის ბინადრებმა პოლიცია გამოიძახეს, რადგან მთელ სადარბაზოში აუტანელი სიმყრალე იდგა.***

ადგილზე მისული სამართალდამცავები იმ ბინას მიადგნენ, საიდანაც საშინელი სუნი გამოდიოდა, მაგრამ შიგნით მყოფი ქალბატონი მათ კარს არ უღებდა. პოლიცია იძულებული გახდა, ბინაში ძალის გამოყენებით შესულიყო, სადაც ფრიად უცნაური ვითარება დახვდა — **მაცივარი გახრწნილი ხორცითა და ფეკალიებით სავსე კონტეინერებით იყო გატენილი.**

როგორც აღმოჩნდა, ბინის მეპატრონე — შუახნის ქალი — მოქმედი ექიმი-თერაპევტია. მეზობლები, რომლებმაც ბინაში არსებული ვითარება სამართალდამცავებთან ერთად იხილეს, არ გამორიცხავენ, რომ **კანიბალიზმს** ჰქონდეს ადგილი, გამოძიებას კი ჯერ კონკრეტული არაფერი უთქვამს.






**კასრებში აღმოჩენილი ვიდეოჩანაწერები, რომლებშიც სააკაშვილის ჯალათების მიერ ქართველი მამაკაცების გაუპატიურებაა აღბეჭდილი, მრავალ ეგზემპლარად გადაეწერა და სათითაოდ დაედო მაგიდაზე იმ ევროპარლამენტარებისათვის, რომლებიც დღეს საქართველოში**

## ელიზბარ ჯაველიძე:

# თავად ევროპა არ არის ღირსი, საქართველო მისი ოჯახის წევრი იყოს!

***ევროპელმა ბიძიებმა და დეიდებმა საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე უარი უთხრეს, რამაც ნაცმოძრაობად წოდებული კრაზანების ბუდე კვლავ ააფუთფუთა და რევოლუციისა თუ ხავერდოვანი სახელმწიფო გადატრიალების იშტაზე დააყენა. ამ და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს ვესაუბრებით:***

— საქართველო ყველანაირად მზად არის ევროპული ოჯახის ღირსეული წევრობისთვის, მაგრამ თავად ევროპა არ არის ღირსი, საქართველო მისი ოჯახის წევრი იყოს! დიახ, ეს არ არის დანტეს, გოეთეს, ჰაინეს, თომას მანისა თუ სხვა დიდი მწერლების, ფილოსოფოსებისა და მოაზროვნეების ევროპა, რომელსაც ჩვენ ვეთაყვანებით, არამედ ეს **კუბილიუსებისა და მსგავსი ნაძირალების** ევროპაა! ის რეზოლუციაც, რომელიც ევროპარლამენტმა მიიღო, პირდაპირ სააკაშვილისა და ნაცების კარნახით არის დაწერილი და ფაქტებზე კი არა, **ლომჯარია-გიგაურის** მონაჩმახზეა აგებული! ასე რომ, არაფერი გვესაქმება იმ ევროპაში, რომელიც ნაცგარეწრებს უგდებს ყურს, ქართველი ხალხის ხმა კი არ ესმის!

**— იქნებ „ქართული ოცნების“ ბრალია, რომ ევროპაში ნაცებისა და მათთან დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციების უფრო ესმით და სჯერათ, ვიდრე საქართველოს ხელისუფლების?**

— ჩვენი ხელისუფლების მთავარი ბრალეულობა ის არის, რომ ნაციონალურ მოძრაობას 2012 წელსვე არ მოუგრიხა კისერი და **ქართული „ნიურნბერგის პროცესი“** არ მოუწყო, როგორც 21-ე საუკუნის ნაცისტებს! დიახ, **სალომე სამადაშვილისნაირ შხამიან გველებს** ქართულმა სახელმწიფომ თავიდანვე რომ არ გაუჭეჭყა თავი, სწორედ ამის შედეგებს იმკის დღეს ქვეყანა!

**იცით, უპირველეს ყოვლისა, რა უნდა გაეკეთებინა ამ ხელისუფლებას? სამეგრელოს ტყეში დაფლულ**

**„დემოკრატიულ უკუსვლაზე“ ლაპარაკობენ!**

**— პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა თავის საგანგებო ბრიფინგზე პირდაპირ დაადანაშაულა „ქართული ოცნების“ ლიდერები — არაფერი გააკეთეს იმისათვის,**





**„ელენე ხოშტარიას საქართველოს მტრობა და სიძულვილი მამის – გოგი ხოშტარიასაგან მემკვიდრეობით გადაეცა!“**

### კვირგვინოსნები

**სანდრო ბრეგაძე**
*„ქართული მარშის“ ლიდერი*



პირადად **ზვიად გამსახურდიას** აქვს ჩემთვის ნათქვამი, რომ **გოგი ხოშტარია** ჩანერგეს მის გარემოცვაში, რათა შემდგომში „კაგებეს“ გამოეყენებინა.

„ფეისბუქი“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



**ელენე ხოშტარიას** უსუსური თავის მართლება კიდევ უფრო ამძაფრებს ეჭვებს, რომ **20 ივნისის ე.წ გავრილოვის საწინააღმდეგო აქციაც რუსული არხებით ფინანსდებოდა** და ამ კვირას დაგეგმილი 20 ივნისის აქციაც ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

„იმედინიუსი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*ანალიტიკოსი*



მთავარია, **ანტისაოკუპაციო წინდები გეცვას, საზღვარზე შარვლის ჩახდა შეგეძლოს და ნაგვის მანქანაზე ამხტარი აპროტესტებდე ოკუპაციას, თორემ რუსული ბიზნესი, ფინანსები და მატერიალური კეთილდღეობა მოსულა.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

# „კიდევ კარგი, სალომე ზურაბიშვილს კონსტიტუციით ცოტა მეტი უფლებამოსილება არ გააჩნია, თორემ საქართველოში უკრაინაზე უარესი უბედურება დატრიალდებოდა!“

რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიგვეღოო!

**–როგორ ბედავს ეს უზნეო და უმადური დედაკაცი, ბიძინა ივანიშვილი სისხლის სამართლის დამნაშავეებთან – სააკაშვილთან და გვარამიასთან გაათანაბროს?! ცოტა ჭკუაზე მოვიდეს, თორემ ქართველი ხალხი იმ ორბელიანების სასახლეში მიადგება და კინწისკვრით გამოაგდებს გარეთ!**

ისე კი, **სალომე ზურაბიშვილზე საუბარიც არ მინდა, რადგან უზნეო დედაკაცია!** რაღაცების დაკონკრეტებისაგან თავს შევიკავებ, მაგრამ საფრანგეთის ქართველობა მას სწორედ იმიტომ არ სცემდა პატივს, რომ უზნეო დედაკაცია! ახლა ვინმემ არ მითხრას — აბა, საპრეზიდენტო არჩევნებში ხმა რატომ მიეციო! **ზურაბიშვილს ხმა იმიტომ მივეცი, რომ მისი მოწინააღმდეგე გრიგოლ ვაშაძე იყო, რომელიც გამოკვეთილი კაგებეშნიკია! ყველაზე მეტად იმან აღმაშფოთა, რომ სალომე ზურაბიშვილმა სააკაშვილი, გვარამია და ბიძინა ივანიშვილი ერთ კონტექსტში მოიხსენია — ამ სამ კაცს ქვეყნის მომავალი არ უნდა გადავაყოლოთო!**

ხმამაღლა ვაცხადებ — ბიძინა ივანიშვილი არის უდიდესი ქართველი, რომელმაც საქართველო სააკაშვილის დესპოტური მმართველობისაგან გაათავისუფლა! ბიძინა ივანიშვილმა მთელი თავისი ქონების უდიდესი ნაწილი საქართველოს შესწირა და ქართველ ხალხს მოახმარა, დღეს კი ისეთი ნაძირალები ახტებიან მეზობლის კურდღელივით, რომლებსაც ცხოვრებაში მათხოვრისათვის 10 შაური არ გაუმეტებიათ!

**— სალომე ზურაბიშვილმა ისიც განაცხადა, რომ საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნისკენ არავინ უბიძგებს და ხელისუფლება ქართველ ხალხს ატყუებს, როცა ეუბნება — ჩვენი ქვეყნის ომში ჩათრევას ცდილობენო! ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?**

— ქართველი ხალხი ყრუ არ არის და ძალიან კარგად ესმის ის მოწოდებები, რომლებსაც უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსნები აკეთებენ — **აბა, ქართველებო, ცხინვალისა და სოხუმისაკენ ტანკები დაძარით, მარტო უკრაინელი ქალები და ბავშვები რატომ უნდა ხოცოს რუსეთმა, თქვენი ქალები და ბავშვებიც დაახოცვინეთო!** ეს არ არის საქართველოს ომში ჩათრევის მცდელობა? **ნაცები რომ ითხოვდნენ — ქართულმა სახელმწიფომ ჩარტერული თვითმფრინავით გაგზავნოს უკრაინაში მოხალისე მებრძოლებიო, ეს არ იყო ომში ჩათრევის მცდელობა?** კიდევ კარგი, სალომე ზურაბიშვილს კონსტიტუციით ცოტა მეტი უფლებამოსილება არ გააჩნია, თორემ საქართველოში უკრაინაზე უარესი უბედურება დატრიალდებოდა!

დღეს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** ერთადერთ სწორ, სახელმწიფოებრივ და ეროვნულ პოლიტიკას წარმართავს, რომელიც საქართველოსა და ქართველი ხალხის გადასარჩენად არის მიმართული და ვინც ამ პოლიტიკას ეწინააღმდეგება, ქვეყნისა და ხალხის მტერია!

**— თუმცა, ლევან ბერძენიშვილმა სწორედ ამ პოლიტიკის გამო გამოაცხადა მოღალატეებად ირაკლი ღარიბაშვილიც და ერეკლე მეფეც!**



„სალომე სამადაშვილისნაირ შხამიან გველებს ქართულმა სახელმწიფომ თავიდანვე რომ არ გაუჭყლიტა თავი, სწორედ ამის შედეგებს იმკის დღეს ქვეყანა!“




— პირდაპირ ვაცხადებ, რომ **ორივე ძმა ბერძენიშვილი კაგებეშნიკია და მათ საქართველო დაბადებიდან ეზიზღებათ!** პირადად ვარ იმის მოწმე, თუ როგორ ზრუნავდა საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება, უსამსახუროდ არ დაეტოვებინა ციხიდან ახალგამოშვებული **ლევან ბერძენიშვილი,** რომელმაც დისიდენტობა მოინანია და საკუთარი თანამებრძოლები ჩაუშვა. დიახ, მე მაშინ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი გახლდით და ვმეგობრობდი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივან **გურამ ენუქიძესთან,** რომელმაც მითხრა — არ ვიცი, რა ვქნა, მოსკოვიდან კატეგორიულად მავალებენ, რომ ლევან ბერძენიშვილს სამუშაო გამოვუნახოო! გესმით? **პირდაპირ მოსკოვის „კაგებე“ ზრუნავდა იმაზე, რომ ციხიდან გამოსული „დისიდენტი“ ბერძენიშვილი დაესაქმებინა და დაასაქმა კიდეც — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლაბორანტად დააწყებინეს მუშაობა!**



„მე მაშინ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი გახლდით და ვმეგობრობდი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივან გურამ ენუქიძესთან, რომელმაც მითხრა: მოსკოვიდან კატეგორიულად მავალებენ, რომ ლევან ბერძენიშვილს სამუშაო გამოვუნახოო!“



გურამ ენუქიძე

„ორივე ძმა ბერძენიშვილი კაგებეშნიკია და მათ საქართველო დაბადებიდან ეზიზღებათ!“

**— რას იტყვით იმასთან დაკავშირებით, რომ აწ უკვე ოფიციალურად დადასტურებული ინფორმაციით, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, ანტირუსული რიტორიკით გამორჩეული ელენე ხოშტარიას ოჯახს, კერძოდ, მის მამას გოგი ხოშტარიას რუსეთიდან ყოველთვიურად მილიონობით რუბლი ერიცხება?**

— **ელენე ხოშტარიას** საქართველოს მტრობა და სიძულვილი მამის — **გოგი ხოშტარიასაგან** მემკვიდრეობით გადაეცა! **გოგი ხოშტარია იმ მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, რომელშიც მე განათლების მინისტრის თანამდებობა მეკავა, მაგრამ, როცა ზვიად გამსახურდიამ გაიგო, რომ იგი საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მუშაობდა და ეროვნულ ხელისუფლებას ზურგს უკან ძირს უთხრიდა, მაშინვე გაათავისუფლა!** ამის შემდეგ იყო, რომ ხოშტარია პუტჩისტების მხარეს ღიად დადგა და გაჰკიოდა — ზვიადი საქართველოდან ცოცხალი არ უნდა გავუშვათო! ასე რომ, მისი გაზრდილი შვილისაგან, რომელსაც „კაგებეს“ ლაბორატორია — მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, საქართველოს მტრობა არ უნდა გაგვიკვირდეს!

**საქართველოს მხოლოდ მაშინ ეშველება, როცა ელენე ხოშტარია, სალომე სამადაშვილი და მთელი ეს ნაცგვერკების ბუდე ქართული პოლიტიკიდან სამუდამოდ ამოიძირკვება, მანამდე კი არაფრის იმედი და სასიკეთო მოლოდინი არ უნდა გვქონდეს!**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები



**მიხეილ გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას ვაჟი*

**გოგი ხოშტარიასგან** არაფერი გამიკვირდება — პირველი იყო, რომელიც **სიგუასა და კიტოვანს** გვერდს უმშვენებდა და შეიარაღებული ებრძოდა კანონიერ ხელისუფლებას.

„TV იმედი“



**ანდრიუს კალინდრა**
*ლიეტუვის ელჩი*

ლიეტუვას **1997 წელს უარი უთხრეს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსზე, მაგრამ 2004 წელს ბლოკს შეუერთდით** — ასე რომ, ყველაფერი შესაძლებელია.

„ინტერპრესნიუსი“



**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*

**ევროპარლამენტარებს:** როდის იყო საქართველო **ევროსტანდარტებთან ახლოს** — როდესაც **სერგო თეთრაძეს წამებით ამოხადეს სული** თუ ახლა?

„ინტერპრესნიუსი“



**ნინო ბურჯანაძე**
*„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი*

არ ვიტყოდი, რომ ევროკომისიის რეკომენდაცია საქართველოს ევროპული მომავლის დასასრულია, მაგრამ ის, რომ **დიდი ხნით გადავადდა გაწევრიანება ევროპულ ოჯახში,** ეს ფაქტია.

„ინტერპრესნიუსი“



**ნოდარ ნათაძე**
*„სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარე*

არსებული ვითარება დაიძლევა — **ადრე თუ გვიან ჩვენ ევროკავშირში ვიქნებით.**

„აიპრესი“



**ალეკო ელისაშვილი**
*პარტია „მოქალაქეების“ თავმჯდომარე*

არ ვიცი, **ვინ დადიოდა ბრიუსელის კაბინეტებში და ითხოვდა, რომ ჩვენ არ მიგვეღო კანდიდატის სტატუსი** — რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ. **მეგულება ასეთი ხალხი ოპოზიციაში.**

„იმედინიუსი“

# კობა არაბული:

# ევროკავშირმა საქართველოსთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო!



***ევროპარლამენტარების რეზოლუციას ევროკავშირის გადაწყვეტილებაც მოჰყვა — კანდიდატობის სტატუსი საქართველოს არ მიანიჭეს! როგორც პოეტი, მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ეთნოკულტურათა მკვლევარი კობა არაბული ამბობს, ევროკავშირმა საქართველოსთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო — ამით შევძლებთ, საკუთარი ღირსება და თვითმყოფადობა შევინარჩუნოთ:***

— რაც ახლა ხდება, ეს არის ევროლიბერასტების იერიში საქართველოზე და 21-ე საუკუნის კრწანისი შიდა გამყიდველი ბერძენიშვილ-ბოკერიებით და ვამპირი ევროპარლამენტარებით. ჩვენ უკვე დავინახეთ, როგორ ანგრევენ უკრაინას თავისი ფსევდოგმირის, სატანისტი ზელენსკის ხელით. ვხედავთ იმასაც, რომ ზავისა და მშვიდობის ნაცვლად იარაღს აწვდიან, სისხლისღვრისკენ და სიკვდილისკენ უბიძგებენ ხალხს. **უკრაინას იმიტომ ვაძლევთ კანდიდატობის სტატუსს, რომ ევროპისთვის კვდებიანო. მაინცდამაინც უნდა მოვკვდეთ, რომ კანდიდატის სტატუსი დავიმსახუროთ? ან იქნებ საკმარისი სისხლი არ გვაქვს დაღვრილი 9 აპრილიდან მოყოლებული?!**

## ეს არის ევროპული ღირებულებები?! თუ კანდიდატობის სტატუსის სანაცვლოდ ღირსებაზე უნდა ვთქვათ უარი, მაშინ არ მინდა ასეთი ევროპა!

ისმის კითხვა — რატომ უნდა იყოს ასპირანტი ან ვიღაცის აბიტურიენტი უძველესი კულტურისა და დამწერლობის მქონე ქვეყანა? რატომ უნდა გვბრძანებლობდნენ რუსთაველისა და ფარნავაზის ერს ფსევდოდემოკრატი კოლონიალისტების ლაქიები?

**— ეს ზედმეტად ხმამაღალი განცხადება ხომ არ არის იმ ევროპის მისამართით, რომლისკენაც უკვე სამი ათეული წელია, მივილტვით?**

— როცა უძველეს კოლხურიბერიულ ცივილიზაციას, რომელიც კავკასიიდან შუამდინარეთამდე იყო გავრცელებული, ველური მომთაბარე ტომები უტევდნენ, იგი კავკასიის სარტყელმა გადაარჩინა, სადაც ამირანი იყო მიჯაჭვული. წარღვნამდე და წარღვნის შემდგომი ცივილიზაცია მთლიანად აქ აკუმულირდა. ჩვენ ძველ წელთაღრიცხვამდე ვიყავით უკვე ევროპაში. დიახ, იბერიელებმა დაახლოებით 500 წლით შეასწრეს ევროპაში ინდოევროპელებს. **ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალი ავრცელებდა იქ ქრისტიანულ რელიგიას. დავით აღმაშენებელმა კი ევროპა თურქმენულ ურდოებს გადაარჩინა!** ევროპულ კულტურასა და მორალს რომ გვასწავლიან, ჩვენ დავუდეთ მათ კულტურას საფუძველი.

**— დღეს ჭკუის დარიგების პარალელურად ჩვენი სიწმინდეების შეურაცხმყოფელ კამპანიას ახალისებენ...**

— ქართველებს არავინ ჰყვარებიათ ისე, როგორც **მეფე ერეკლე.** არავისთვის მიუძღვნიათ იმდენი ლეგენდა და ლექსი, რამდენიც პატარა კახისათვის, რომელიც 75 წლის ასაკშიც კი ცხენზე იჯდა და აღა-მაჰმად-ხანს ხმალდახმალ უტევდა. ეს იყო მეფე, რომელშიც ღვთიური და მიწიერი იყო შერწყმული. როცა ხევსურთა სალოცავებში შედიოდა, ლოცვის დროს ერთი ადლით იწევდა, საკრალური, მედიტაციური უნარები ჰქონდა, უნიჭიერესი ეზოთერიკოსი და შორსმჭვრეტელი დიპლომატი იყო. **დღეს გამორჩეული მეფის მაგინებელ ადამიანებს აგულიანებს ევროპა და ცდილობს, სამასი არაგველის გმირობა გააფერმკრთალოს.** შავი ხვრელიდან გამოსულ ყვავებს, უსამშობლო, უსულგულო სექტანტებს, სოროსის მილიონებით ნაკვებ ვამპირებს, ბერძენიშვილებსა და ბუღაძეებს უხსნის გზას, რომლებიც უკვე წლებია, სისხლს წოვენ სამშობლოს.

**— და მაინც, ბერძენიშვილებზე, სააკაშვილებზე და გვარამიებზე განაწყენებულებმა ზურგი უნდა ვაქციოთ ევროპას?**

— ჩვენ სამასთა კომიტეტისა და 300 ევროპელი პარლამენტარის ხუშტურებზე კი არა, 300 არაგველის გზით უნდა ვიაროთ! **ევროპის კუდის ქიცინით კი არ უნდა ვიყოთ დაკავებული, იმ სამასი არაგველის პროპაგანდას უნდა ვეწეოდეთ, რომლებმაც მსოფლიო ომების ისტორიაში დაიმკვიდრეს ღირსეული ადგილი.** მსგავსი ომი სპარტანელებსაც კი არ გადაუხდიათ. **სამასი არაგველი უძველესი ფხოვის საკრალური ხეობიდან გამოვიდა, მათ საომარ ხელოვნებას ლომისის, გერგეთის, გუდანის, სამეს, კარატეს, ხადუს, ლაშარის ენერგიები კვებავდა.** რომ არა ღალატი კრწანისზე, არ დამარცხდებოდნენ. დღესაც ღალატის მსხვერპლი უნდა გავხდეთ?! თითო-ოროლა თავქარიან გამყიდველს უნდა გადავაყოლოთ ის ქვეყანა, სადაც ლომისის სალოცავია და საიდანაც ამხელა მადლი მოდის?!

ლომისის მადლმა შეწევნაც იცის და გაწყრომაც. ეშინოდეთ მათ, ვინც ჩვენს სიწმინდეებს შეურაცხყოფს!

უძველესი ხალხური ცოდნა გვეუბნება: „ყვავებს აღვსება არა აქვს“. არც ამ სატანისტებს აქვთ „აღვსების“ და „აღდგომის“ დღეები. მათ მხოლოდ და მხოლოდ „შავი მაგიის“ და წყევლის ჟამი მოჰყავთ საკუთარი ქვეყნისთვის და კულტურისთვის! **ბერძენიშვილებმა და მისთანებმა უნდა იცოდნენ, რომ განზრახული, დავამკვიდრებს ყოველწლიური დოღი მეფე ერეკლეს პატივსაცემად — ხევსურეთიდან და შატილიდან სვეტიცხოვლამდე.** ეს იქნება გრანდიოზული ზეიმი და სწორედ ეს დოღი დათრგუნავს ამ გარეწრების სატანისტურ გამოვლენას, ერის ზნეობრივი ღირსებების განადგურების ტალღას!

**ძალიან კარგი, თუ არ გვაძლევენ კანდიდატის სტატუსს საკუთარი კულტურის, თვითმყოფადობის წართმევის ფასად.** გავიმეორებ — რა გვინდა ისეთ ევროკავშირში, რომელიც საკუთარ ქვეყანაში ყოფნისთვის, ერის მკვდრეთით აღდგინებისთვის, ანუ სააკაშვილის ტირანიისგან გამოხსნისთვის სანქციებს უწესებს ბიძინა ივანიშვილს? **ფაქტობრივად, სამშობლოდან აძევებს ავადმყოფთა და გაჭირვებულთა მეოხს, ერის ქომაგს, ისტორიული კულტურის აღმდგენს და ტაძართა აღმშენებელ კაცს, რომელმაც პროკრუსტეს სარეცლიდან ააყენა და სააკაშვილის მორგებიდან გამოიყვანა გაწირული ერი.**

**— ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც თქვენ ტაძართა აღმშენებელს უწოდებთ, საქართველოს რუსეთთან კავშირში და ევროატლანტიკური გზიდან გადახვევაში ადანაშაულებენ...**

— ამას ქართველი ნაცები და ევროლიბერასტები ამბობენ... წესით, ქართველი ერი და მსოფლიოს კულტურული საზოგადოება მას, როგორც სრულიად უნიკალურ ფენომენს, ძეგლს უნდა უდგამდეს, ხოლო რასაც დღეს ევროპარლამენტარები აკეთებენ, არის ქართველი ერის, მისი კულტურის, მორალური და ნებელობითი სახის წაშლა და შეურაცხყოფა. ეს არის ევროლიბერასტების ფარული ომი ქართველთა ღირსებისა და მენტალობის წინააღმდეგ, რომელსაც ბოლო უნდა მოეღოს!



ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი და ევროსაბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი

## „სამასთა კომიტეტისა და 300 ევროპელი პარლამენტარის ხუშტურებზე კი არ უნდა ვიაროთ, 300 არაგველის პროპაგანდას უნდა ვეწეოდეთ!“

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## „ლომისის მადლმა შეწევნაც იცის და გაწყრომაც! ეშინოდეთ მათ, ვინც ჩვენს სიწმინდეებს შეურაცხყოფს!“

## კვირგვინოსნები

**მირიან მირიანაშვილი**
*პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარე*



ევროკავშირზე **არც** „ქართული ოცნება“ იტკივებს თავს და **არც** წინა პლანზე მყოფი ოპოზიცია. **საქართველოს პოლიტიკური ელიტა მთლიანობაში ანტისახელმწიფოებრივად იქცევა.**

„ახალი თაობა“

**ვახტანგ ხარჩილავა**
*„საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი*



რას ერჩის ევროპარლამენტი საქართველოს, ქართველ ხალხს და მის ხელისუფლებას?! **არ მიიღებს ქართველი ხალხი ნაცმოძრაობას** — სისხლს დაღვრის, წინ გადაუდგება და არ მიიღებს, იმდენი ბოროტება აქვს მას გაკეთებული საქართველოსთვის. **ნაცმოძრაობა, ეს იყო 21-ე საუკუნის ქართული ფაშიზმი,** დესპოტური, მანიაკალური, სადისტური რეჟიმი. 9 წლის განმავლობაში **მშვიდად უყურებდით თქვენ ამ ნამდვილ ჯოჯოხეთს, ძვირფასო ევროპარლამენტარებო,** უყურებდით და იმის ნაცვლად, რომ ქართველ ხალხს დახმარებოდით ამ ჭკუიდან გადასული **სააკაშვილის** ასალაგმად, პირიქით — მას აგულიანებდით, აქეზებდით, დემოკრატიის შუქურას ეძახდით. **სააკაშვილის ხელით გვსჯიდით, ბატონებო და ახლაც იმავეს გვიპირებთ?**

„საერთო გაზეთი“

**დემურ ლორთქიფანიძე**
*დამოუკიდებელი ექსპერტი*



**პოლიტიკური მაფია** — ნაცმოძრაობა **ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდება!**

„საერთო გაზეთი“

**ბონდო მძინარაშვილი**
*ჟურნალისტი*



ევროკავშირის წევრობის კანდიდატობა ევროკავშირში რეალურად გაწევრიანების ნულოვანი პერსპექტივით და **საქართველოს ომში ჩართვის სანაცვლოდ თუ მშვიდობა საქართველოში?!** მე ვირჩევ მშვიდობას! მომყევით!

„ალია“

# ქართველი ერის ძალა იმაშია, რომ დეგრადირებული ევროჩინოვნიკების კი არა, ქრისტეს მოწოდებებს მივსდევთ!




**საქართველოში ნებისმიერი არეულობა იქნება კელი დეგნანის, კარლ ჰარცელისა და ყველა იმ ევროპელი თუ ამერიკელი ჩინოვნიკის კისერზე, რომელთა განცხადებები და ქმედებებიც მწვანე შუქს უნთებს ნაციონალური მოძრაობის რევანშისტულ გეგმებს!**

***კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე უარის თქმას ეხმიანება და იმ მოსალოდნელ პროვოკაციებზე საუბრობს, რომელსაც რადიკალური ნაცოპოზიცია ამა წლის 20 ივნისიდან გეგმავს:***

— თუ გავითვალისწინებთ იმ აბსოლუტურად დეგრადირებულ მდგომარეობას, რომელშიც ევროპული ბიუროკრატია იმყოფება, საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე უარის თქმა სრულიად ლოგიკურია.

**საერთოდ, დღევანდელ ევროპას ის ემუქრება, რაც თავის დროზე რომსა და ბიზანტიას დაემართათ – როცა პოლიტიკური კლასი დეგრადაციისა და გახრწნის პიკს აღწევს, ეს იმპერიების დაცემით მთავრდება!**

**— მაინც რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, რომ ევროპული ბიუროკრატია დეგრადირებულია?**

— მხოლოდ დეგრადირებულ გონებასა და მორალს შეუძლია, ევროპული ღირებულებების ერთგულების საკითხში საქართველოზე წინ დააყენოს **„ესენბეს“ წევრი მოლდოვა და მიწასთან გასწორებული უკრაინა,** რომლის ევროკავშირთან დაახლოებასაც ომის დაწყებამდე არც განიხილავდნენ, რადგან იქ ოლიგარქია და კორუფცია ყვავის!

მხოლოდ დეგრადირებულ გონებასა და მორალს შეუძლია, თავისუფალი სიტყვისა და დამოუკიდებელი მედიის ქომაგად გამოაცხადოს **ნაძირალა კეზერაშვილი,** რომელმაც წაგებულ ომში ქართველი ხალხის სისხლის ხარჯზე მილიარდები დააგროვა, საქართველო გაძარცვა და ახლა იმ ნაძარცვი ფულით გახსნილი ტელევიზიით წამლავს ქართველ საზოგადოებას!

**— თქვენი აზრით, რა არის მთავარი მიზეზი, რის გამოც საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვისაგან განსხვავებით, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი არ მიანიჭეს?**

— **დეგრადირებულმა ევროჩინოვნიკებმა საქართველო დასაჯეს იმის გამო, რომ საკუთარი აზრის ქონა გაბედა, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ წარმოჩინდა და დიდი ზეწოლის მიუხედავად, რუსეთის მეორე ფრონტი არ გაუხსნა!** მოკლედ, საქართველოს, ქართველ ხალხსა და მის მიერ არჩეულ ხელისუფლებას საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვას არ პატიობენ!

**— ევროკომისიამ საქართველოს ხელისუფლებას ღიად მოუწოდა — ქვეყნის დეოლიგარქიზაცია მოახდინეთ და პოლიტიკური პოლარიზაცია შეამცირეთ, ანუ ნაციონალურ მოძრაობასთან ითანამშრომლეთო!**

— **კუბილიუსები და ფოტიგები** ნაციონალურ მოძრაობასთან ძალიან კარგად თანამშრომლობენ და შეუძლიათ, ასე გააგრძელონ, საქართველო და ქართველი ხალხი კი ისე იცხოვრებს, როგორც თვითონ მიაჩნია სწორად და როგორც ჩვენს ეროვნულ ინტერესებს სჭირდება!

**ეგენი იმისკენაც მოგვიწოდებენ, რომ ჩვენმა შვილებმა შარვალ-ჩახდილებმა იარონ. თავის დროზე რომის იმპერიაც მოგვიწოდებდა ბევრ რამეს, ბიზანტიის იმპერიაც მოგვიწოდებდა, სპარსეთის, ოსმალეთისა და მონღოლეთის იმპერიებიც მოგვიწოდებდნენ, მაგრამ ყველა მათგანი აღიგავა პირისაგან მიწისა, საქართველო კი დღესაც არსებობს!**

ქართველი ერის ძალა იმაშია, რომ დეგრადირებული ევროჩინოვნიკების კი არა, ქრისტეს მოწოდებებს მივსდევთ, რაც კუბილიუსებს არ ესმით და ვერც ვერასოდეს გაიგებენ!

**— ფაქტია, რომ ნაცოპოზიცია უკვე ემზადება მორიგი არეულობისათვის და ლოზუნგიც გამზადებული აქვს — „ან ივანიშვილი, ან ევროპა!“ როგორ შეიძლება, განვითარდეს მოვლენები?**

— დეგრადირებულ ევროჩინოვნიკებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ საქართველოსთან დაკავშირებით თავიანთი ამორალური რეზოლუციებითა თუ რეკომენდაციებით რუსეთსა და მის „მეხუთე კოლონას“ — ნაციონალურ მოძრაობას აქეზებენ! **უკვე გვესმის საუბრები საქართველოში უკრაინის მსგავსი ე.წ. ევრომაიდნის მოწყობის შესახებ და ყველას ვაფრთხილებ — დესტაბილიზაციისა და არეულობის ნებისმიერი მცდელობა გამოყენებული იქნება ჩვენი აგრესორი მეზობლის მიერ, რომლის ჯარიც თბილისიდან 30 კილომეტრში დგას!** დიახ, ძალადობრივი და ანტიკონსტიტუციური ქმედებები, რაზეც შეიძლება, ევროპელების მიერ წაქეზებული **ლიაკა ხოშტარია, კობა ნაყოფია და მთელი ეს „მეხუთე კოლონა“** წავიდეს, პირდაპირ ნიშნავს თბილისში რუსეთის საოკუპაციო ჯარის მოპატიჟებას!

და კიდევ: **საქართველოში ნებისმიერი არეულობა იქნება კელი დეგნანის, კარლ ჰარცელისა და ყველა იმ ევროპელი თუ ამერიკელი ჩინოვნიკის კისერზე, რომელთა განცხადებები და ქმედებებიც მწვანე შუქს უნთებს ნაციონალური მოძრაობის რევანშისტულ გეგმებს!**



**— ელენე (ლიაკა) ხოშტარია ახსენეთ და გჯერათ, რომ მილიონობით რუსული რუბლი, რომელიც მამამისის — გოგი ხოშტარიას ანგარიშზე მოსკოვიდან და სანკტ-პეტერბურგიდან ირიცხება, მართლა თეატრალური დადგმების ჰონორარია?**

— რა თეატრის ჰონორარი? ეგ ზღაპრები **ლიაკა ხოშტარიამ სალომე სამადაშვილსა** და **ლევან ბერძენიშვილს** მოუყვეს! **წლებია, ვამბობ, რომ ხოშტარია რუსეთის აგენტია, რომელიც „კაგებეს“ კადრების სამჭედლოში — მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში გამოზარდეს და მილიონობით რუსულ რუბლსაც აგენტურული საქმიანობისათვის ურიცხავენ!**

ასე რომ, თუ ეს ჩეკისტი ლიაკა ხოშტარია და სხვა პროვოკატორები ძალადობის პროვოცირებას შეეცდებიან, ქართულმა სახელმწიფომ კანონის ძალით უმკაცრესი პასუხი უნდა გასცეს! ე.წ. **ევრომაიდნისა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ჩანასახშივე უნდა აღიკვეთოს!**



**„ლიაკა ხოშტარია რუსეთის აგენტია, რომელიც „კაგებეს“ კადრების სამჭედლოში გამოზარდეს და მილიონობით რუსულ რუბლსაც აგენტურული საქმიანობისათვის ურიცხავენ!“**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**გიორგი ფუფხაძე**
*ჟურნალისტი*



ახლა მოთქვამთ, არა, **კეზერაშვილი** როგორ შევიდა ევროპარლამენტის რეზოლუციაშიო? ეს **ის კეზერაშვილი** არაა, საფრანგეთმა რომ დაიჭირა, თქვენ მისი საქმე გამოგიგზავნათ და საქმიდან ნივთმტკიცებები დაკარგეთ თუ გააქრეთ, ფურცლები ამოხიეთ ისე, რომ გეგონათ ფრანგები ვერ გაიგებდნენ. იქნებ ეს **ის კეზერაშვილი** არაა, თქვენმა **მურუსიძე-ჩინჩალაძის** სასამართლომ თავად რომ გააქათქათა და გააპრავა „იმედის“ საქმეზე? თუ არც **ის კეზერაშვილია,** რომლის ოთხი ძმაკაცი ქოცსიით გიზით პარლამენტში? ახლა აღარ მოგწონთ **დათო კეზერაშვილი,** ხო?

„ალია“

**ლელა მოროშკინა**
*ჟურნალისტი*



**აი, რა მიყვარს ამ ქვეყნის** — ჩვეულებრივ დროს ყველა ცალ-ცალკე ვართ, საერთოდ არ გვახსოვს მძიმე, რეპრესიული წარსული, მაგრამ, როდესაც **რეჟიმის დაბრუნების საშიშროება ახლოსაა, ყველა ერთ მუშტად ვიკვრებით!** ეს იქნება ბოლო და გამანადგურებელი ბრძოლა ქვეყნის მტრების წინააღმდეგ! **ნულოვანი ტოლერანტობა ზონდერებს და მათი იდეოლოგიის მიმდევრებს!**

„ალია“

**გია გაჩეჩილაძე**
*მუსიკოსი*



**საჯიჯგნად არავის მივუგდებთ ბიძინა ივანიშვილს** — ყველა ნახავს, **როგორ დადგება საქართველო ფეხზე** და როგორი მტკიცე იქნება ჩვენი ერთობა!

„ალია“

**ზაზა ხატიაშვილი**
*ანალიტიკოსი*



**ივანიშვილი** თუ არ მოსწონს ევროკავშირს, **ივანიშვილი** ჩამოქცეული იყო და **შარლ მიშელმა** გადაარჩინა! **ბევრ ცუდს აკეთებს ეს ხელისუფლება, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლება ორჯერ მეტ ცუდს აკეთებდა.**

„ალია“



*ცნობილი ჟურნალისტი, 104 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი სპარტაკ ჭობულია ფრიად საგულისხმო პუბლიკაციების ავტორია. ქართველთა ქრონიკული ქიშპობის, ურთიერთდაპირისპირების და შეფარული მტრობის ნიმუშო მაგალითია დღეს მკითხველთა სამსჯავროზე წარმოდგენილი ლამის ოთხი ათეული წლის წინანდელი საბჭოური წყობის ამსახველი ტრაგიკული მოვლენები, რომელთა პირუთვნელი მემატიანე იყო იმხანად გაზეთ „ქუთაისის“ მთავარი რედაქტორი სპარტაკ ჭობულია...*

სპარტაკ ჭობულია



# მამუკა ასლანიკაშვილის თვითმკვლელობა და

*კი არ უნდა ვწერდე, მზის სხივებით უნდა ვწნავდე მამუკა ასლანიკაშვილის პორტრეტს. ლეჩხუმის მთებზე დაფენილი ცისარტყელას ფერებით უნდა ვავსებდე მის ხანმოკლე წუთისოფელს. მან მხოლოდ ოცდაცხრამეტი წელიწადი იცოცხლა, 36 წელია, ცოდვილ საქაოს გაშორდა და შემზარავი თავსატეხი დაგვიტოვა ყველას...*

●

ერთხელ **ალექსანდრე მაკედონელისთვის** უკითხავთ, ვინ გირჩევნიათ იყო — ჰომეროსი თუ აქილევსიო? მაკედონელს უპასუხია, რასაკვირველია, აქილევსი. **მირჩევნია ჩემზე წერდნენ, ვიდრე მე — სხვაზეო.**

**მაინც, რატომ იქცა საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური ცხოვრება მამუკასთვის აქილევსის ქუსლად? მაინც, რა მოხდა ასეთი 1986 წლის 10 ივნისს და ცოტა უფრო ადრე — ქუთაისში?**

თუმცაღა, ქუთაისი რა შუაშია, მამუკა ასლანიკაშვილის თვითმკვლელობის ფესვები უფრო სხვაგან არის დასაძებნი.

●

ლეჩხუმში არის ერთი უმშვენიერესი სოფელი ლაჯანა. აქ, მთელ მხარეში განთქმული იურისტისა და შინაგანი პეწით გამორჩეული კაცის **ალექსანდრე ასლანიკაშვილის** ოჯახში დაიბადა მამუკა 1946 წლის 27 სექტემბერს — ჯვართამაღლების დღეს. სიხარულს ვერ ფარავდა მეოთხე შვილის (ორი გოგონას და გარდაცვლილი პაწია ბიჭის შემდეგ) დედა **თინა გელოვანი...** მერე, როცა მისი ახოვანი, ორმეტრიანი ვაჟკაცი მოენატრებოდა, თბილისში, რუსთავში, ზესტაფონსა ან ქუთაისში ვინმეს დააბარებდა: **ცუდად ვარ, მამუკა ჩამოვიდესო.**

მამა ადრე დაეღუპა. მამუკა მაშინ მეშვიდე კლასში იყო. მთელმა ლეჩხუმმა დაიტირა ყველას გამკითხავი და თანამდგომი, ენამზე ადვოკატი **ალექსანდრე ასლანიკაშვილი.**

სამი შვილი სიმწრით გაზარდა, მაგრამ სწორი და ლამაზი გზით ატარა გელოვანის ქალმა. გოგონები მალე დათხოვდნენ — ერთი — რუსთავში, მეორე — ქუთაისში... **ლაჯანის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მამუკა რუსთავში იწყებს მუშაობას, თან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აბარებს გამოცდებს და მშენებელ-ინჟინრის პროფესიას ეუფლება.** თანატოლებში გამოირჩევა სამართლიანობით, გულისხმიერებით, ობიექტურობით. გარეგნობაც ხელს უწყობს — **ახალგაზრდების ამქარში ისე ჩანს, როგორც ერთფეროვან ფარაში ყოჩი. 70-იან წლებში კომკავშირში „ითრევენ“ და მალე — რუსთავის საქალაქო კომიტეტის მეორე, შემდეგ კი პირველ მდივნად აწინაურებენ. ეს იყო 1972-1973 წლებში.**

25 წლის ბიჭი ამაყად შედგა პოლიტიკური კარიერის პირველ საფეხურზე და თამამად გადმოხედა „ხასხასა საასპარეზოს“ — რა იცოდა მაშინ დაუდეგარმა ჭაბუკმა, თუ ეს ასპარეზი თვითმკვლელობამდე მიიყვანდა...

●

**პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგეობიდან მამუკა ასლანიკაშვილი 1978 წელს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად გადმოიყვანეს.** მაშინდელ საბჭოთა კავშირში საქართველოს კომკავშირი ქუხდა, რადგან მას სათავეში ედგა დიდი ენერგიისა და ნიჭის პატრონი **ჟიული შარტავა.** მან გვერდით ამოიყენა **მამუკა ასლანიკაშვილი** და ახალგაზრდული ქალაქის მშენებლობის უმნიშვნელოვანესი უბნები მიანდო. უმცროსმა მეგობარმა ყოველგვარი დავალება უღალატოდ შეასრულა.

ჟიულიმ და მამუკამ ლამის მთელი საქართველოს სიჭაბუკე ერთმანეთს დაუმეგობრეს და ამ მეგობრობის სიმბოლოდ ახალგაზრდული ქალაქი დაგვიტოვეს.

— **ჩვენ საქართველოს კომკავშირში ბევრი რამ თავიდან დავიწყეთ და „უბიუჯეტოდ“ უმშვენიერესი ქალაქი ავაშენეთ,** — გულწრფელად ამბობდნენ მაშინ ჟიული და მამუკა.

**ისინი კი ამბობდნენ, მაგრამ უშუალო წინამორბედებს ძალიან არ მოსწონდათ ამ „პროვინციელი კარიერისტების“ ბობოქრობა, მათი ჯილდოები, საკავშირო პრემიები, ლენინის ორდენი...**

სულ მალე ჟიულისა და მამუკას ძალიან ძვირად დაუჯდებათ ეს უწყინარი სიმართლე!

●

**1979 წლის ოქტომბერში კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, 33 წლის მამუკა ასლანიკაშვილი პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივნად გადაჰყავთ.** სასოფლო და სამრეწველო პოტენციით გამორჩეულ ზემო იმერეთის ამ კოლორიტულ რაიონში თითქმის ოთხი წელიწადი დაჰყო და ყველას თავი შეაყვარა. **პრინციპულ და გულისხმიერ კომუნისტს ქრისტიანული, ეროვნული ადათ-წესებიც არ ავიწყდებოდა. რაიონში თითქმის ყველა ეკლესია აღადგინეს და უკვდავი აკაკის ლექსზე შექმნილი უმშვენიერესი სახალხო სიმღერის „სულიკოს“ დღესასწაულიც დააარსეს.** საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელის ედუარდ შევარდნაძის უშუალო მხარდაჭერით ზესტაფონი წესრიგის დაცვის საქმეშიც თითით საჩვენებელი რაიონი გახდა. განსაკუთრებით გახმაურდა **მამუკა ასლანიკაშვილის** პრინციპული დამოკიდებულება რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკების მექრთამეობის ფაქტთან. მათ რაიონის ღვინის ქარხნები შეამოწმეს და ჯიბეები გაისქელეს.

**ზესტაფონის საქმე მერე ერთ-ერთ მთავარ საფანელად დაედო მამუკა ასლანიკაშვილის დევნას.**

**ჯერჯერობით კი ყველაფერი ალმაცალი გზით მიდის. 1983 წლის აგვისტოში მამუკა ასლანიკაშვილი პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად დააწინაურეს. იწყება მისი პოლიტიკური კარიერის ახალი ეტაპი.**

სავარდო და სამაისო ქუთაისი, ჩვეულებისამებრ, ათასი პრობლემით დამძიმებული დახვდა მას.

საყოველთაო წესრიგის დამკვიდრებისთვის ბრძოლაში ერთ-ერთი პირველი გალაშქრება იყო ქუთაისის ნავთობბაზაში გამოვლენილი სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცების ფაქტი და მის გარშემო ატეხილი აურზაური. **პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე 8 საათს იხილავდნენ ამ ერთ ფაქტს. საქართველოს ტელევიზიამ საგანგებო გადაცემაც მიუძღვნა მას, გაზეთ „ქუთაისში“ კი დაიბეჭდა მწვავე პუბლიცისტური წერილი — „ფრთხილად, ადამიანო, ჭაობში ეფლობი!“** მას გაზეთის ორი გვერდი ეკავა. ასეთი რეაგირება გადაჭარბებული ეჩვენა ზოგიერთს. მტრები მოუმრავლდა ახალგაზრდა პირველ მდივანს.

●

**დანგრეული** ეკლესია-მონასტრები ქვეყნის დამარცხების სიმბოლოდ მიაჩნდა მამუკა ასლანიკაშვილს. **1984 წლის 14 იანვარს, ბედობა დღეს, მამუკამ ბაგრატის ტაძრისა და მისი კომპლექსის აღორძინების ფონდი დააფუძნა. 24 ივნისს ბაგრატის ტაძრის შემოგარენს პირველი ბარი დაჰკრეს ვერიკო ანჯაფარიძემ, ირაკლი აბაშიძემ და მამუკა ასლანიკაშვილმა.** დასაბამი მიეცა სატახტო ქალაქად ქუთაისის გამოცხადების ათასწლოვან იუბილეს.

რამდენიმე თვეში 30 ათასმა ქუთაისელმა სრულიად უანგაროდ შეაშველა ხელი ტაძარს. მამუკა ასლანიკაშვილი შრომით „სიქას აცლიდა“ ყველას, მაგრამ მეორე დღეს მაინც მის გვერდით იდგნენ, რადგან ყველაზე მეტს თვითონ შრომობდა.

**პირადი მაგალითით სხვების აყოლიება მას ჟიული შარტავამ ასწავლა. სამაგიეროდ, ასე არ ფიქრობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბორის ნიკოლსკი. მან ბაგრატის ტაძრის აღდგენითი სამუშაოების დაწყება სერიოზულ შეცდომად ჩათვალა და ქუთაისის ხელმძღვანელობას ყური აუწია.**

რესპუბლიკის პირველმა ხელმძღვანელმა **ჯუმბერ პატიაშვილმა** კრემლის „ნამესტნიკის“ ასეთი ანტიქართული გამოხდომა უყურადღებოდ დატოვა!!!

**საერთოდ,** 1986 წლის პირველ ხუთ თვეში ბორის ნიკოლსკი კვირაში ერთხელ მაინც ჩამოდიოდა ქუთაისში და ქალაქის ხელმძღვანელობაზე „განაწყენებულ“ ხალხს ხვდებოდა. თუ რაიმე „სერიოზულს“ ჩაავლებდა ადგილზეც და დედაქალაქშიც — ერთ ვაი-უშველებელს ტეხდა...

●

**1985 წლის 8 მაისს,** ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავზე, ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მამუკა ასლანიკაშვილი სწრაფად, ემოციურად, მიმზიდველად კითხულობს მოხსენებას და დარბაზი „ხელში აჰყავს“. ვეტერანები და ახალგაზრდები გულწრფელი ტაშით აჯილდოებენ უკვე შავ სიაში შეტანილ, მიზანში ამოღებულ პირველ მდივანს. მამუკა ყველას ეფერება და მეორე დღისთვის ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ეპატიჟება — გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ დიდ სანახაობაზე.

**მამუკა** მარტო სიტყვით არ ეფერებოდა ქუთათურებს. მაშინ „მაძღარი სოციალიზმისთვის“ მიუღებლად ჟღერდა, მაგრამ პირველმა მდივანმა შეადგინა გაჭირვებული, სოციალურად დაუცველი ხალხის სია, განსაკუთ-



მერაბ ბერძენიშვილის „დიდების მემორიალი“ ქუთაისში სააკაშვილმა ააფეთქა, ხოლო მამუკა ასლანიკაშვილი პატიაშვილის რეჟიმმა შეიწირა!

მამუკა ასლანიკაშვილის თვითმკვლელობა და

რებით ხანდაზმულები გამოყო და საქალაქო საბჭოს აღმასკომს მცირეოდენი თანხებიც დასცინცლა. უნდა გენახათ, სიხარულით როგორ იცრემლებოდნენ გაჭირვებული, მრავალშვილიანი დედები, როცა მოულოდნელ საჩუქრებს იღებდნენ... **მამუკა ხშირად დადიოდა პატიმრებთან ქუთაისის ციხესა და გეგუთის კოლონიაში — იქნებ ჩემი მოფერება ოდნავ მაინც გამოადგეთ სწორ გზაზე დადგომაშიო, ყოველ აღდგომა დღეს ჯერ ქუთაისის სასაფლაოებს მოივლიდა, შემდეგ კი ლაჯანაში ავიდოდა ახლობელთა ხსოვნის პატივსაცემად.**

უძილობის ან ზედმეტი მუშაობისგან გადაღლილი და მოშვებული მამუკა არავის უნახავს.

აშკარად ემჩნეოდა, რომ შინაგანად ამაყი და ძლიერი იყო.

●

**1985 წლის 9 მაისს ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე არნახული სანახაობა გაიმართა. თავისი მიმზიდველობით ის ძალიან ჰგავდა 1981 წელს ლეონიდ ბრეჟნევის თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილ ზღაპრულ სანახაობას.**

თბილისის ზეიმის ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზატორი მაშინ **ჟიული შარტავა** იყო, ხოლო ქუთაისში გამართული ზეიმის რეჟისორი და „სცენარის ავტორი“ — **მამუკა ასლანიკაშვილი.**

„საბჭოეთის ბედნიერი ქვეყნის შვილები“ ზეიმობდნენ, ეშმაკს კი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც არ ეძინა. **ქუთაისის სტადიონიდან ნასროლი მაშხალების ნაპერწკალი 100 წლის მაუდის ფაბრიკას დაეცა და ხანძარი გაჩნდა. თუმცა, გამოძიებამ ეს ფაქტი ვერ დაადასტურა (მაშხალის ნაპერწკალი ჰაერშივე ქრებაო), რადგან სტადიონი და ფაბრიკა საკმაოდ შორს არიან ერთმანეთისგან, მაგრამ მაშინ ასე იყო საჭირო...** რა გეზეიმებოდათ, ქუთათურებო თუ სახანძრო უსაფრთხოების წესებს ვერ უზრუნველყოფდითო. **ეს უდიდეს ნაკლად ჩაუთვალეს პარტიის ქალაქკომის პირველ მდივანს.**

**ბედის ირონია ამაზე შორს ვერ წავა.**

თუმცა, ჯერ სადა ხართ: **1986 წლის 4 იანვრის ღამეს ხანძარი გაჩნდა (თუ გაუჩინეს!) ქუთაისის ვაჭრობის სამმართველოს ერთ პატარა საწყობში. ძირითადად დაიწვა მაშინ 8 მანეთად ღირებული იაპონური კასეტები. ზუსტად ვერავინ გაიგო, რამდენი მანეთის ზარალი მიადგა სახელმწიფოს — ჯერ 5 ათასიო, შემდეგ — 16 ათასიო. ბოლოს 80 ათასისა და მეტისო...**

დაუდგენელი ზარალი ზემდგომმა ორგანოებმა ასე შეაფასეს: **პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს როგორც უნდათ, ისე ატყუებენ, ზარალის მონაცემებს ყოველდღიურად ცვლიანო.**

გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა მთელი ქუთაისის შეურაცხმყოფელი უსუსური პასკვილი — **„ქუთაისი გადამწვარა თავის დუქნებიანადო“...** ხანძრისა და დანაკლისის ფაქტის გამო აპატიმრებენ (!) ვაჭრობისა და საზკვების სამმართველოს უფროსს, მოკრძალებულ და პატიოსან ახალგაზრდა კაცს **იუზა კლდიაშვილს...** მალე ქუთაისის ქუჩები გადაკეტეს, პირველ მდივანს არაფერი უთხრეს და შერლოკ ჰოლმსსაც რომ შეშურდებოდა, ისეთი მეთოდებით, ქალაქკომის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე **გიორგი ამირანაშვილი** დააპატიმრეს. პარტიის საქალაქო კომიტეტის სხდომაზე სირცხვილით ოფლში იწურებოდა ქუთაისის მილიციის სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი **რევაზ თევზაძე:** რა გახდა ასეთი, დამთავრდება ძიება და ზუსტ მონაცემებს მერე გადმოგცემთო.

ქალაქის პროკურორი, იუსტიციის პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველი **იაკობ მახარაძე** კი ჩვეული სიდარბაისლით ამბობდა: **ეს სრულიად ბუნებრივია, ძიების პროცესში ბევრი რამ იცვლება და ადმინისტრაციულ ორგანოებზე ზეწოლის უფლება არავის არა აქვს...**




# ჯუმბერ პატიაშვილის ტრაგიკული თამაშები

პროკურორი კი ამბობდა, მაგრამ აქ ერთი მომცრო დუქანი არავის აინტერესებდა — **ხანძრის ალი ქუთაისის ხელმძღვანელობას უნდა მისწვდომოდა!**

**ბორის ნიკოლსკი** ქუთაისში ჩამოდის, საგანგებო აქტივის კრებას იწვევს და **იუზა კლდიაშვილს** პირწავარდნილ, გამოცდილ მექრთამედ (არადა, ის რამდენიმე თვის დანიშნული იყო თანამდებობაზე) იხსენიებს, **გიორგი ამირანაშვილს** კი — მის მფარველად და თანამზრახველად. **მამუკა ასლანიკაშვილი** ყველაფერს ხვდება, მაგრამ გარეგნულად მაინც არ იმჩნევს. **გავარკვიოთ და თუ ფაქტები დადასტურდება, ვინც უნდა იყოს, სასტიკად დაისჯებაო — ნიკოლსკის გასაგონად ხმამაღლა ამბობდა.**

ბევრი უკირკიტეს **გოგი ამირანაშვილს,** მაგრამ ვერაფერი დაუმტკიცეს. ბოლოს, ბანკეტების ორგანიზებაში **(ქართული სცენის ცოცხალი ლეგენდა ვერიკო ანჯაფარიძე თავის შვილთან, უნიჭიერეს სოფიკო ჭიაურელთან ერთად რამდენიმე დღით სტუმრობდნენ ქუთაისს და გ. ამირანაშვილს მათი დაპურება ევალებოდა)** დასდეს ბრალი და გაასამართლეს.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკური აქტივის კრებაზეც, ყოველგვარი უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევით, **გიორგი ამირანაშვილი** ისევ მექრთამედ მოიხსენიეს.

რამდენიმე თვის შემდეგ, როცა მოსახდენი მოხდა, დანაშაულის არარსებობის გამო, ღმერთთან და საკუთარ სინდისთან მართალი **გიორგი ამირანაშვილი** გაათავისუფლეს...

●

**... ცუდი წინათგრძნობა აქვს ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ახალგაზრდა თავმჯდომარეს ვიტალი ხაზარაძეს — გუმანით ხვდება, რომ მალე მის გარშემოც შეიკვრება მოჯადოებული წრე.** მაინც თავაუღებლად მუშაობს, რომ ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის წამოწყებული კამპანია არ ჩაიშალოს. საზრუნავი სხვაც მრავალია.

**ვიღაცამ „ზევით“ ჩააწვეთა, რომ ვიტალი ხაზარაძე სოლიკო ხაბეიშვილის შორეული ნათესავია. ხაბეიშვილი უკვე „აყვანილია“ და სასამართლო პროცესი მზადდება...**

კომისია შედის ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, სადაც იგი აღმასკომში დაწინაურებამდე დირექტორად მუშაობდა. უნდა აღმოუჩინონ ძველი, მაშინ გავრცელებული დანაშაული — **მიწერა.** ვერასგზით ვერ აღმოაჩინეს და გაიკვირვეს: ყველა მიწერით მუშაობდა და რაღა ეს იყო გამონაკლისი, ეტყობა, დოკუმენტები საიმედოდ გაანადგურაო... სამაგიეროდ, რესპუბლიკური პარტიული კომისია, მისი თავმჯდომარის **შალვა ყარყარაშვილის** ხელმძღვანელობით, მალე „აღმოაჩენს“, რომ **ვიტალი ხაზარაძეს** რუსის ჯარიდან აკრძალული ხერხებით დაუძვრენია თავი და მაღალ თანამდებობაზე არ უნდა დანიშნულიყოო.

ეს წარმოუდგენელი ტყუილი და მონაჩმახი იყო. **სულ მალე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი ქუთაისელებს გამომწვევად ეტყვის: თქვენ ასეთი შეუფერებელი აღმასკომის თავმჯდომარე გყავთო!**

და აი, მამუკა ასლანიკაშვილს დაავალეს, „თანამდებობისთვის შეუფერებელი“ **ვიტალი ხაზარაძის** გათავისუფლების საკითხი მალე გადაეწყვიტა.

**— რა ვქნათ, ვიტალი, ორივენი ხომ არ გავერიდოთ ამ კოშმარს?..**

**— არავითარ შემთხვევაში, ლაჩრებად ჩაგვთვლიან, დამიმტკიცონ გათავისუფლების მიზეზი და პირადად მე მერე წავალ...**

ახალგაზრდულმა ემოციამ და ენერგიამ თავისი ქნა. ბევრი იკამათეს, იჩხუბეს კიდეც, მაგრამ ტაქტისა და რაინდობის ზღვარს არცერთი არ გადასულა.

— **კარგად მოვიფიქროთ, ცოტა ხანს, ალბათ, „გამოსასწორებელ“ დროს მოგვცემენ,** — შეთანხმდნენ ბოლოს.

არეულ მონასტერში კი ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა... **ამღვრეული მდინარე სათავეს მთლად ზემოდან იღებდა.**

●

**80-იანი** წლების დასაწყისში სსრ კავშირის მოფამფალებულ პოლიტბიუროში არნახული განხეთქილება და ქვედა დინებები იყო. უთვალავი მედლებისა და ორდენების ტარებამ, ბოლოს და ბოლოს, დაღალა **ლეონიდ ბრეჟნევი** და 40 წლის წინათ, 1982 წლის 10 ნოემბერს, სული უფალს მიაბარა. დიდხანს ვერც მრისხანე **ანდროპოვმა** და ხელით სატარებელმა **ჩერნენკომ** იცოცხლეს.

1985 წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გახდა **მიხეილ გორბაჩოვი.** მეორე კაცად ისევ ძველი თაობის კონსერვატორი **ეგორ ლიგაჩოვი** ითვლება. ის კარგახანს არაფერს უთმობდა გორბაჩოვის პროგრესულ ჯგუფს და თავისი ამქრით დინების საწინააღმდეგოდ მიერეკებოდა.

პოზიციების გასამყარებლად საჭირო გახდა, პროგრესისტებსა და კონსერვატორებს ძველ საქმეებში ჩაეხედათ და ერთმანეთის მაკომპრომეტირებელი ფაქტები წამოეწიათ. **გორბაჩოვმა უზბეკეთის „თეთრი ოქროს“ გახმაურებული საქმე წამოიწყო, ლიგაჩოვის ფრთა სტავროპოლსა და კრასნოდარში მიხეილ სერგის ძის ძველ ნაფეხურებზე ეძებდა საკბილოს.** საჭირო შეიქნა სსრკ საგარეო საქმეთა ახალი მინისტრის **ედუარდ შევარდნაძის** დისკრედიტაციაც. **ამ „საიდუმლო სერობებში“ საქართველოდან ჯუმბერ პატიაშვილი და ბორის ნიკოლსკი ჩართეს.**

პირველი სამიზნე ედუარდ შევარდნაძის თანამოაზრე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **სოლიკო ხაბეიშვილი** გახდა. პარალელურად, **ჯუმბერ პატიაშვილმა** საოცარი უტიფრობით დაღმავალი კიბეებისკენ მიუთითა **ჟიული შარტავას** და დროებით რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნობა „ანდო“. რამდენიმე თვეში შარტავამ მთელი რუსთავი აიყოლია, ქალაქი თვალში გამოახედა და აქაურების კერპად იქცა. 14 თვეში იმდენი საქმე გაკეთდა რუსთავში, ბოლო ხუთ წელიწადში რომ არ გაკეთებულა. **„უგეგმოდ და უბიუჯეტოდ“** ჟიული შარტავამ რუსთაველი პატარებისათვის — რკინიგზის, ახალგაზრდობისთვის კი კოპწია მინი-ქალაქის მშენებლობა დაიწყო... ფეხით დადიოდა მიკროუბნებსა და კორპუსებში, მცხოვრებლებთან ერთად ასუფთავებდა ქუჩებსა და გაზონებს, სასწრაფოდ მოაგვარა სასმელი წყლის პრობლემაც.

ბევრ რამეს ჩემ დაუკითხავად რატომ აკეთებო? — გაბრაზდა ჯუმბერ პატიაშვილი და ურჩი ჟიული შარტავა კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილედ ჩამოალაბორანტა. ბევრი ეხვეწნენ რუსთაველები **ჯუმბერ პატიაშვილს,** ეს კაცი დაგვიტოვეთო, მაგრამ ამაოდ. მალე ჟიული მოსკოვში წავიდა და საკავშირო კონტროლის პალატის ერთ-ერთი წამყვანი განყოფილების გამგე გახდა, თან დიპლომატიურ აკადემიაში დაიწყო სწავლა.

**— მოსკოვში წასვლა იმიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემ გამო შევარდნაძისა და შარტავას თანამოაზრეების დევნა ცოტათი მაინც შეენელებინათო,** — გულმოკლული მეტყვის მერე ჟიული... პეტერბურგიდან და მოსკოვიდან ის ხშირად მიკავშირდებოდა და პრინციპულ, მართალ პუბლიკაციებს მიწონებდა. ოჯახიდან მას, თურმე, ყველა ქართულ გაზეთს უგზავნიდნენ!

●

დევნისა და რეპრესიების ტალღა არ ცხრებოდა. **ხაბეიშვილი** დაიჭირეს და ლამის ნახევარი საქართველო მას დაუპირისპირეს. მარტო ქუთაისში ხაბეიშვილთან „დანაშაულებრივი კავშირისთვის“ აიყვანეს ადგილმრეწველობის გაერთიანების დირექტორი **ვახტანგ კოლუაშვილი,** სამკერვალო გაერთიანების ხელმძღვანელი **ბესიკ ტოფაძე,** შინაპატიმრობა „მიუსაჯეს“ პარტიის საქალაქო კომიტეტის ყოფილ გამგეებს — **ამირან ბელენიძესა და დემურ მონიავას...**

## ოღონდ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა ვნებები დაიცხროს და ყველას დაიჭერენ, მერე რა, რომ ხაბეიშვილი, შარტავა, ასლანიკაშვილი და სხვები შევარდნაძის კადრებია.

შევარდნაძე საქართველოდან წასულია, „დამნაშავეთა ბუდე“ კი დასანგრევია.

არ დაგვავიწყდეს, რომ ყველაფერი ეს კრემლისა და მისი „მოწინავე“ ქართული ფილიალის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ამბიციებში შედის.

**1985-87 წლების რეპრესიები საქართველოში საერთო-**

*გაგრძელება მე-14 გვერდზე*





**ვიღაცამ „ზევით“ ჩააწვეთა, რომ ვიტალი ხაზარაძე სოლიკო ხაბეიშვილის შორეული ნათესავია. ხაბეიშვილი უკვე „აყვანილია“ და სასამართლო პროცესი მზადდება!**

ჯუმბერ პატიაშვილის ტრაგიკული თამაშები

*დასაწყისი მე-12 გვერდზე*

**საკავშირო კონფლიქტის მხოლოდ ერთი რგოლი იყო.**

●

**ხაბეიშვილს დიდი წვალების, ნამდვილი ტანჯვა-წამებისა და რამდენიმე წლის პატიმრობის შემდეგ სრულიად გაამართლებენ და ციხიდან გაათავისუფლებენ... 1995 წლის ივნისში კი, დღისით-მზისით, საკუთარი სახლის წინ კლავენ...**

— ხაბეიშვილის სახით მე მესროლეს, — იტყვის ედუარდ შევარდნაძე...

ქვამს, რომ იცოდე, როგორ მიჭირსო და ცრემლები წასცდენია...

**ქუთაისში დილით დაბრუნდა თვითმფრინავით. აეროპორტიდან სახლამდე ხმა არ ამოუღია, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა — იხსენებს მძღოლი — თუმცა, ის საერთოდ არ ეწეოდა. სახლიდან სამსახურში მიდის და დღის 14 საათამდე ჩვეულებრივად მუშაობს, თუმცა, მთხოვნელთაგან არავინ მიუღია.**

... რამდენიმე საათმა განვლო კოშმარულ ფიქრებში.

შესვენებაზე სახლში მიდის, უხალისოდ ისადილებს, ცოლშვილი არაფერს ამჩნევს. რამდე-

**ჰო, ჰო, შენ გჯერა მერე ეს"? — ყურმილი დაკიდა. ცოტა ხნის შემდეგ ბორის ნიკოლსკი იყო ხაზზე...** „ჩვენ გაგვთიშეს, ბორის ნიკოლოზის ძევ... ეს არასწორია, ყველაფერი ტყუილია, ტყუილია!.." **ყურმილი დაუმშვიდობებლად დადო, შესაძლოა, ნიკოლსკიმ პირველმა დაუკიდა...**

— **რაიმე ხომ არ გინდათ, ბატონო მამუკა?** — მორიდებით ვკითხე. არაფერი მიპასუხა. გაქვავებული იჯდა.

— **მისაღებში მეორე მდივანი ბადრი მელქაძე და ალმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზურაბ ქაჯაია გელოდებიან.**



**რი...** თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე, ოფიციალური პანაშვიდები გაიმართა. ცენტრალური კომიტეტის თანამშრომლები მალულად ღამის 12 საათის შემდეგ მოდიოდნენ, თუმცა, უმრავლესობა მაინც ვერ ბედავდა. **ჟიული შარტავა, ანზორ ბურჯანაძე, თემურ შაშიაშვილი, კოტე სალია** და ზოგიერთი სხვა... დღისითაც მოდიოდნენ.

**ოჯახს თბილისში სასაფლაო (მუხათგვერდის გარდა) არ მისცეს; მერე გარდაცვლილი თავისი სიჭაბუკის ქალაქში — რუსთავში წაასვენეს და იქ დაკრძალეს.** პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟიული შარტავამ და რუსთაველებმა არაფერი მოაკლეს მიცვალებულს. მისი დაკრძალვა უზარმაზარ დემონსტრაცი-

*სპარტაკ ქობულია*

# მამუკა ასლანიკაშვილის თვითმკვლელობა და ჯუმბერ პატიაშვილის ტრაგიკული თამაშები

ჟიული შარტავა აფხაზეთის ომს ეწირება და ეროვნული გმირი ხდება.

— **ნამდვილად არ მეგონა, თუ ჟიული შარტავა ასეთი უშიშარი ვაჟკაცი იყო!** — იტყვის კანონიერი ქურდი **ჯაბა იოსელიანი** ჟიულის დაკრძალვის დღეს სახალხოდ, მიკროფონში, ზედ რუსთაველის პროსპექტზე...

რამდენიმე წლით ადრე, 1989 წლის 9 აპრილს კი ბეწვზე გადარჩება თვით **ჯუმბერ პატიაშვილის** სიცოცხლეც. გამთენიისას მოედანზე დატრიალებული ტრაგედიის გამო ნერვებდაწყვეტილი პირველი მდივანი, როგორც თვითონ ამბობს, საშინელ ფსიქოლოგიურ ზმანებებს ხედავს და თვითმკვლელობას აპირებს! ამ დროს იღება კარი და კაბინეტში შემოდის შვილი, ბედდამწვარი საქართველოს მომავლის ერთ-ერთი სიმბოლო... რაღაც იმედი ჩნდება, რაღაცისთვის ღირს სიცოცხლე... ჯუმბერ პატიაშვილს ნერვებმა აღარ უმტყუნეს. ის გადარჩა, ბიჭის დანახვამ გადაარჩინა...

თუმცა, 9 აპრილს მისი პოლიტიკური კარიერა მთლიანად შეეწირა.

●

**1986 წლის** მაისის ერთ მშვენიერ დღეს **მამუკა ასლანიკაშვილმა** სახელდახელო თათბირი ჩაატარა ქუთაისის ავტოქარხანაში. ეს არ იყო რიგითი თათბირი, ეს იყო მისი შემართების, ტალანტის, ორატორული ნიჭის ბოლო გამობრწყინება. ქარხნის მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს ყველაფერი უთხრა, თუ რას და როგორ ფიქრობდა. ლაპარაკობდა ემოციურად, საოცრად დახვეწილი, მსუყე, ბედაური ქართულით. უზარმაზარ დარბაზში ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით. ავტოქარხნელებს ხელისგულზე დაუდო ყველაზე მტკივნეული პრობლემები... იქიდან კი პირდაპირ მოსკოვში გაფრინდა — უმაღლეს პარტიულ სკოლაში გამოსაშვები გამოცდების ჩასაბარებლად. მერე გავიგეთ, რომ იქ, მოსკოვშიც, ღამეებს ათენებდა და ყველა საგანს ფრიადზე აბარებდა...

●

**1986 წლის 9 ივნისს მამუკა ასლანიკაშვილი კიდევ ერთხელ გაემგზავრა თბილისში ჯუმბერ პატიაშვილთან პირისპირ შესახვედრად. სამწუხაროდ, ის ამჯერადაც არ შეუშვეს პირველ მდივანთან.** ღამე თბილისში გაათია. ერთი რუსთაველი მეგობრისთვის უთ-

ნიმე წუთში ისევ სამსახურში ბრუნდება, ლიფტში მძღოლს — **ჯემალ გვენცაძეს** და 15 წლის შვილს **ალეკოს** კოცნის. მეუღლე **ლია ასლანიკაშვილი** რამდენიმე დღის შემდეგ გააცნობიერებს მამუკას სიტყვებს: **როგორ არ მინდა, თქვენ გიღალატოთ!..**

ბაგრატზე ადის, იქაურობას თვალს შეავლებს და ქალაქკომში ბრუნდება.

მამუკა ასლანიკაშვილის თანაშემწე **გოგი ქელბაქიანი** იგონებს: **ნაშუადღევს კაბინეტში იჯდა. დროდადრო თბილისიდან ურეკავდნენ. დაახლოებით 16 საათზე ფოსტა შევუტანე, საღამოსთვის გადავდოთო. არავინ შემოუშვა, მისაღებში იყავიო... ცოტა ხნის შემდეგ ისევ შევედი. თითქოს არც დავუნახივარ. „პეპსი-კოლა" გავუხსენი. პირდაპირ ბოთლიდან მოსვა და მოურიდებლად დააგდო, ბოთლი მაგიდიდან გადმოვარდა, მაგრამ რეაქცია არ გაუკეთებია. ტელეფონმა დარეკა, შინაგან საქმეთა სამინისტროდან ურეკავდნენ: „ჰო,**

**— ჰო, შვიდზე უნდა შევხვედროდი, შემოვიდნენ"...**

ძალიან მცირე დროით ისაუბრეს. რამდენიმე წუთში გამობრუნდნენ და დერეფანში, სანამ კაბინეტებს დაუბრუნდებოდნენ, სროლის ხმაც გაისმა. **მელქაძე და ქაჯაია** სასწრაფოდ შერბიან პირველი მდივნის კაბინეტის გვერდით პატარა სამუშაო ოთახში... იატაკზე უსულოდ ეგდო **ოცდაცხრამეტი წლის** ვაჟკაცი. ტყვია პირის ღრუში უსვრია, ქვემოდან ზემოთ, რომ სწრაფად დამთავრებულიყო ყველაფერი...

გარდაცვლილი პირველი მდივანი მაშინვე ნახა აგრეთვე ქალაქკომის საერთო განყოფილების გამგემ **ბორის ქარსელაძემ,** რომელიც მთელი საღამო მისაღებში „მორიგეობდა" და ვინც დარეკავდა, ზემოდან მითითებით, ყველას ერთსა და იმავეს ეუბნებოდა: **პირველი მდივანი ავტოქარხნისაკენ წავიდა, არ ვიცი, რომელ საათზე დაბრუნდებაო.**

რამდენიმე საათით მამუკას თვითმკვლელობა „გასაიდუ-



**მამუკა ასლანიკაშვილი ახალ სამრეწველო კომპლექსს ხსნის... რა იმალება გაჭრილი ლენტის მიღმა - მადლობა თუ უმადურობა?**



**ბევრ რამეს ჩემ დაუკითხავად რატომ აკეთებო? - გაბრაზდა ჯუმბერ პატიაშვილი და ურჩი ჟიული შარტავა კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილედ ჩამოალაბორანტა. ბევრი ეხვეწნენ რუსთაველები ჯუმბერ პატიაშვილს, ეს კაცი დაგვიტოვეთო, მაგრამ ამაოდ!**

მლოებული" იყო. მხოლოდ ვიწრო წრემ, რამდენიმე კაცმა იცოდა ამის შესახებ. მალე თბილისიდან სპეცრეისით ჩამოფრინდნენ რესპუბლიკის პროკურორი **ვახტანგ რაზმაძე,** შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **ვარლამ შადური,** პარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე **გივი გუმბარიძე.** მათთან ერთად იყო ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი **ჯემალ გორგოძე.** თბილისიდან სასწრაფოდ დააბრუნეს ქუთაისის მთავარი პროკურორი **იაკობ მახარაძე.** ეს უკანასკნელი დაესწრო ავტოქარხნის მედსანნაწილში გადატანილი გვამის გაკვეთას. მერე **იაკობ მახარაძე** სინანულით ამბობდა: **ექიმების შეფასებით, ამ საცოდავს ისეთი ჯანსაღი ორგანიზმი ჰქონია, ას წელიწადს იცოცხლებდაო...**

— **რაღა კაბინეტში მოიკლაო თავი!** — თქვა **ვახტანგ რაზმაძემ** და ამით მაშინვე გამოხატა ზემდგომთა ის საერთო უკმაყოფილება, რომელიც მამუკა ასლანიკაშვილის სამსახურში თვითმკვლელობამ გამოიწვია.

დილით ქალაქის ხელმძღვანელ მუშაკებს უთხრეს, მამუკა მოულოდნელად გულის შეტევით გარდაიცვალაო, მაგრამ, როცა გაიგეს, მთელმა ქალაქმა

უკვე იცის წუხანდელი ტრაგედიის ამბავი, მერე დათმეს. **თუმცაღა, ოფიციალურ პრესაში და ტელევიზიაში თვითმკვლელობა არსად უხსენებიათ.**

მეორე დილით მიცვალებული საავადმყოფოდან სახლში წაასვენეს. 11 ივნისს ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩაზე, მამუკა ასლანიკაშვილის დაუგეგმავ პანაშვიდზე უამრავი ხალხი მოვიდა. მაშინ მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელ მუშაკებს კატეგორიულად აუკრძალავთ პანაშვიდზე მისვლა და მისამძიმრების ქრისტიანული მოვალეობის აღსრულება.

იმავე დღეს გაოგნებული, ენაჩავარდნილი **ლია ასლანიკაშვილის** დასაკითხად მოვიდა პროკურორი **ანზორ ლაცუზბაია.**

აღიძრა სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობის გარემოებათა გასარკვევად, თუმცა, დანაშაულის შემთხვევის არარსებობის გამო მალევე შეწყდა. შეწყვიტეს, აგრეთვე, საქმე იარაღის უკანონოდ ტარებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო.

**14 ივნისს მამუკა ასლანიკაშვილის ცხედარი თბილისში წაასვენეს. ზესტაფონში პროცესიას ლამის მთელი რაიონი შეხვდა. იდგა შავი დღე და გულწრფელი ცრემლების ღვა-**

ას უფრო ჰგავდა, ვიდრე „უფროსი" კოლეგებისგან მოძულებული კაცის უკანასკნელ გზაზე გაცილების ცერემონიას...

**პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს განსახილველად ჩამოურიგა საიდუმლო დოკუმენტი, რომელშიც ასლანიკაშვილს მექრთამედ წარმოსახავდნენ და მის თვითმკვლელობას გმობდნენ, სიკვდილის შემდეგ ის პარტიიდან გარიცხეს!**

●

**მაინც, რატომ მოიკლა თავი მამუკა ასლანიკაშვილმა?** — როგორც ჩანს, მისი პრინციპების მქონე კაცისთვის მიუღებელი იყო შური, გაუტანლობა, ჩასაფრება, ჭორზე აგებული სიმდაბლე, ცილისწამება.

— **ქუთაისში ჩემი წლები სინდისისა და ნამუსის კარნახით განვვლე!** — ამბობდა ის და თითოეულ ადამიანში ეძებდა სამაგიერო სინდისსა და ნამუსს. მერე, როცა ეს უხილავი განძი ბევრს, მოულოდნელად ბევრს არ აღმოაჩნდა, კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ მისი ცხოვრება აზრს კარგავდა...

ძნელი იყო საკუთარი თავი ამაში დაერწმუნებინა, დიდი შინაგანი ბრძოლის შემდეგ მამუკამ ეს შეძლო. მერე ხელიც არ აჰკანკალებია, ისე გამოჰკრა თითი პარაბელუმის ჩახმახს. თანაც, ეს სახელმწიფო დაწესებულებაში, სამსახურში გააკეთა, ამით კი თავის მტრებს დაუმტკიცა, რომ ნებისმიერი ადამიანი საკუთარ არჩევანში თავისუფალია და სიცოცხლეს ყველგან შეიძლება გამოეთხოვოს.

**მართალია, მამუკა მაშინ უკვე ძირმომპალ ქვეყანაში შექმნილი მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების მსხვერპლი გახდა, მაგრამ ვინ ქმნის ამ ვითარებას? — რა თქმა უნდა, ცოდვილი, ბოლმით სავსე ადამიანი. ამდენად, ასეთი გამორჩეული რაინდების თვითმკვლელობა, ძირითადად, ადამიანთა ერთი ჯგუფის ბრალია.**

**1986 წლის 9 ივნისს მამუკა ასლანიკაშვილი კიდევ ერთხელ გაემგზავრა თბილისში ჯუმბერ პატიაშვილთან პირისპირ შესახვედრად. სამწუხაროდ, ის ამჯერადაც არ შეუშვეს პირველ მდივანთან!**

**P.S.**



**„ცა იძრა თუ მიწა იძრა, ვილას ახსოვს ახლა ის დღე, ჩვენ ვცოდავთ და ჩვენ მაგივრად გოლგოთაზე ადის ქრისტე" — ეს მორის ფოცხიშვილია. დასტურ, რომ ასეა. ადამიანი ოდნავ მაინც რომ ითვალისწინებდეს წარსულის მწარე გაკვეთილებს, მაღალ ღმერთს ასე ხშირად არ შევაწუხებდით...**

№7 (131) ★2022 წლის 20 ივნისი★ გამოდის 2003 წლიდან

*ივნისი კაცობრიობის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თვეა! 1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს და დაიწყო ოთხწლიანი სისხლისმღვრელი ომი, რომლის მასშტაბმაც მანამდე დატრიალებულ ყველა უბედურებასა და საშინელებას გადააჭარბა.*

# რომ არა სტალინი, საბჭოთა კავშირის სათავეში პედერასტები მოვიდოდნენ!

## ასე დაიწყო!



1941 წლის 22 ივნისს, ბერლინის დროით დილის 8 საათზე, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფონ რიბენტროპი საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე აცხადებს საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებას

## ასე დამთავრდა!



1945 წლის 24 ივნისს გამარჯვებული საბჭოთა მეომრები სტალინის ფეხთით ყრიან გერმანულ შტანდარტებს

**1944 წლის 23 ივნისს** დაიწყო და 29 აგვისტოს დასრულდა ოპერაცია „ბაგრატიონი“, რის შედეგადაც გათავისუფლდა ბელორუსია, პოლონეთის აღმოსავლეთი და ბალტიისპირეთის ნაწილი. მიჩნეულია, რომ მსგავსი სიდიდის სამხედრო ოპერაცია მსოფლიოს მანამდე არ ახსოვს.

**1945 წლის 24 ივნისს** მოსკოვში, წითელ მოედანზე, მარშალმა სტალინმა, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გენერალისიმუსი, ჩაატარა **გამარჯვების ისტორიული პარადი** და ფაშისტური გერმანიის მანამდე უძლეველი სამხედრო არმადის შტანდარტები მთელი მსოფლიოს თვალწინ **ლენინის მავზოლეუმთან** დაყარა.

არადა, **ეს ის ლენინია, რომელიც ტროცკისთან, გერშელ ზინოვიევთან და სხვა ბოლშევიკ ლიდერებთან ერთად ათასგვარ სიბილწესა და, უპირველეს ყოვლისა, სოდომურ კავშირშია მხილებული.** პროფესორმა **ომარ ბოცაძემ,** რომელიც ამ საკითხს დიდი ხანია, სწავლობს, გადმოგვცა უნიკალური მასალები, რომლითაც ლენინის, ტროცკისა და ზინოვიევის მამათმავლობა უტყუარად დასტურდება. უტყუარად დასტურდება ისიც, რომ სტალინმა ამ ბინძური და აქოთებული ადამიანის მსგავსი არსებების კავშირების შესახებ ყველაფერი იცოდა და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ამ სოდომისტების ბუნაგი ერთხელ და სამუდამოდ მოესპო.

**ერთადერთი, რაც სტალინმა არ მოსპო — პედერასტობაში მხილებული ლენინის სახელია, რომლიც მან განბანა, გააპატიოსნა და მთელ მსოფლიოს წარუდგინა, როგორც ახალი მესია.** წინააღმდეგ შემთხვევაში, **ქართველი სოსელო** პეტრე პირველისა და ეკატერინე მეორის ტახტრევანს 29 წლის განმავლობაში ვერ დაიკავებდა. **პატივცემულო მეგობრებო, ჩვენ აუცილებლად გამოვაქვეყნებთ ლენინისა და ზინოვიევის „სასიყვარულო“ ბარათებს და დარწმუნდებით, რომ თუ არა სტალინი, საბჭოთა კავშირის სათავეში პედერასტები მოვიდოდნენ!**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება, გარკვევით ითქვას, რომ მეოცე საუკუნის 30-იან წლებში ტროცკისტებისა და მათი მიმდევრების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირში გატარებული ე.წ. სტალინური რეპრესიები სინამდვილეში სხვა არაფერი იყო, თუ არა **სპეცოპერაცია პედერასტების წინააღმდეგ,** რასაც, ცხადია, ბევრი უდანაშაულო და მორალურად აბსოლუტურად სუფთა ადამიანიც შეეწირა.

**ივნისი უმნიშვნელოვანესი თვეა იმითაც, რომ 1953 წლის 26 ივნისს საკუთარ საცხოვრებელ სახლში დახვრიტეს საბჭოთა კავშირის მარშალი ლავრენტი ბერია, რომელმაც რუსებს ატომური და წყალბადის ბომბი შეუქმნა.**

მსოფლიოში არავის დაუმცირებია ჰიტლერი ისე, როგორც ეს სტალინმა **1945 წლის 24 ივნისს** გამარჯვების ისტორიულ პარადზე გააკეთა. **გერმანული შტანდარტებისა და დროშების მავზოლეუმთან დაყრა, რომელშიც ტროცკისა და ზინოვიევის სექსუალური პარტნიორი — პასიური მამათმავალი ლენინი წევს, ვფიქრობ, ფაშისტური გერმანიისთვის გადაჭარბებული სასჯელი იყო. ადოლფ ჰიტლერი იმას ნამდვილად არ იმსახურებდა, რომ მისი დროშა პედერასტის საფლავთან დაეყარათ!**

მიგვაჩნია, რომ ეს დიდი ისტორიული უსამართლობა იყო და ასეთ დამცირებას თვით სისხლისმსმელი ჰიტლერი და მისი კაციჭამია ხროვაც კი არ იმსახურებდნენ.

**აი, ამ ყველაფრის მქნელ ზეკაცს, რომელმაც ლენინსა და მთელ მის გარყვნილ ბუნაგს ნამუსი შეუნახა, ამოდენა ომი მოიგო და თავის თანამემამულესთან, ბერიასთან ერთად იმდენი ქნა, რომ რუსი ერი მთელ მსოფლიოს თავზე დაასვა, სამაგიერო იმით გადაუხადეს, რომ უკანასკნელი სიტყვებით აგინეს, მავზოლეუმიდან ღამით გამოიტანეს, დამარხეს და მის საფლავს ნაგავი მიაყარეს!** რაც შეეხება **ბერიას,** მისი სამარე საერთოდ გააქრეს და არ არსებობს, რადგან, როგორც ადრე ვწერდით, მოსკოვის **გარეუბანში, ერთ-ერთ დეპოში, მატარებლის ღუმელში დაწვეს და მერე სასამართლოზე ცირკი მოაწყვეს, სადაც დასაკითხად ბერიას ორეულები გამოჰყავდათ.**

დრომ — ამ ულმობელმა და მოუსყიდავმა მსაჯულმა — დაამტკიცა, რომ **სტალინი, როგორც უდიდესი მხედართმთავარი და პოლიტიკოსი, კაცობრიობასთან ერთად სამუდამოდ იარსებებს, რაც შეეხება ბერიას, ბერიაც დარჩება, რადგან, როცა ატომური ბომბის შექმნაზე ისაუბრებენ, იქ ლავრენტი პავლოვიჩის ხსენების გარეშე წინ ვერ წავლენ!**

## სტალინი არის ერთადერთი მორალური ავტორიტეტი, რომელიც რუსეთის იმპერიულ იდეას კრავს, მაგრამ პუტინი და მისი გენერლები, რომლებიც კიევის რუსეთს ებრძვიან, ჯიუტად არ აღიარებენ დიდი და ჭეშმარიტი ბელადის გენიას!

**სანამ წითელ მოედანზე ტროცკისა და ზინოვიევის სექსუალური პარტნიორი — ლენინი მავზოლეუმში იქნება, მანამ არც რუსეთს ეშველება და არც — საქართველოს!**

*დიტო ჩუბინიძე*

*თემის გაგრძელება მე-2 გვერდზე*

## დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, 1941 წლის 21 ივნისს, სტალინის კაბინეტში მყოფ პირთა სარეგისტრაციო ჟურნალის ფურცელი





*დიდ ბრიტანეთში სსრკ-ის ელჩი **ივან მიხეილის ძე მაისკი** და რუსეთში გერმანიის საელჩოს თანამშრომელი **გერჰარდ კეგელი** (აგენტი **„კურტი“**)*

21 ივნისს, 17 საათზე, დიდ ბრიტანეთში საბჭოთა კავშირის ელჩ **მაისკისაგან** მიღებული შიფროგრამის მიხედვით **„თავდასხმა** (გერმანიის. რედ.) **მოხდება ხვალ, კვირას, 22 ივნისს“.** ერთ საათში მიღებულ იქნა დაზუსტებული შეტყობინება, რომ თავდასხმა დილის 3-4 საათისათვის იყო დაგეგმილი. ინფორმაცია მოწოდებულ იქნა აგენტ **„კურტისაგან“,** რომელიც მოსკოვში გერმანიის საელჩოში **გერჰარდ კეგელის** სახელით მუშაობდა.



21-го Июня 1941 г

1. т. Молотов 18.27 – 23.00
2. т. Ворошилов 19.05 – 23.00
3. т. Берия 19.05 – 23.00
4. т. Вознесенский 19.05 – 20.15
5. т. Маленков 19.05 – 22.20
6. т. Кузнецов 19.05 – 20.15
7. т. Тимошенко 19.05 – 20.15
8. т. Сафонов 19.05 – 20.15
9. т. Тимошенко 20.50 – 22.20
10. т. Жуков 20.50 – 22.20
11. т. Буденный 20.50 – 22.00
12. т. Мехлис 21.55 – 22.20
13. т. Берия 22.40 – 23.00

последние вышли 23.00



## ომარ გოცაძე:

# ეს არის ვლადიმერ ლენინის სკანდალური აღიარება, რომელიც ისტორიას ცვლის!

***ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ომარ გოცაძე ტროცკიზმის, როგორც უზნეო და ამორალური პოლიტიკური მიმდინარეობის შესახებ კიდევ ერთხელ საუბრობს და იმ სკანდალურ წერილს ასაჯაროებს, რომლითაც ოქტომბრის რევოლუციის ბელადისა და ლევ ტროცკის სოდომისტური კავშირი დასტურდება:***

— ტროცკი არამარტო რუსეთისა და რუსი ხალხის მტერი, არამედ ზნეობრივად დეგრადირებული და გარყვნილი პიროვნებაც იყო. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენო 1996 წელს ლენინგრადში გამომავალი გაზეთი **„რუსსკი ვზგლიადი“**, რომლის მესამე ნომერშიც დაიბეჭდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის **ი. ვ. სოკოლოვის წერილი,** რომელიც უნიკალურ საარქივო მასალებზე დაყრდნობით არის შექმნილი. წერილის სათაურია — **„ლენინი — რუსი ხალხის ჯალათი და ჩვეულებრივი პედერასტი“.** ეს წერილი თავის დროზე ცნობილი კრიტიკოსის **ბესო ულენტის დისშვილმა,** ბატონმა **რეზო მიქაძემ** მომაწოდა და როცა გავეცანი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ რა უბედურებასთან გვქონდა საქმე და რა ქვეყანას აშენებდნენ ლენინი და ტროცკი, მათ საშინელ ზრახვებს წინ სტალინი რომ არ აღსდგომოდა!

**— ბატონო ომარ, სოკოლოვის წერილში ტროცკის, როგორც გარყვნილი და ამორალური პიროვნების, შესახებ რაიმე ფაქტებია მოტანილი?**

— როცა სოკოლოვის წერილი წავიკითხე, სახტად დავრჩი. სკანდალური საარქივო მასალები, რომლითაც **ლენინისა და გერშელ ზინოვიევის** გაუკუღმართებული, სოდომური კავშირები უტყუარად დასტურდება, ავტორს, ჯერ კიდევ 1993 წელს ჰქონდა მოძიებული, მაგრამ მაშინ ამ წერილის გამოქვეყნება შეუძლებელი იყო და დღის სინათლე იხილა მხოლოდ სამი წლის შემდეგ, როცა ის პეტერბურგში გამომავალმა გაზეთმა **„რუსსკი ვზგლიადმა“** დაბეჭდა.

ლენინი და ზინოვიევი რომ მამათმავლები იყვნენ და ერთმანეთთან გაუკუღმართებული სექსუალური კავშირი ჰქონდათ, ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ, მაგრამ ლენინს ასეთივე ბილწი კავშირი **ლეიბა ტროცკისთანაც** ჰქონდა! ეს დასტურდება ლენინის მიერ **გერშელ ზინოვიევისთვის** მიწერილი წერილით, რომელშიც ვკითხულობთ:

*„ძვირფასო გერშელ, შენ არ უნდა იყო ჩემზე ნაწყენი. მე ვგრძნობ, რომ შენ განგებ ახანგრძლივებ კავკასიაში ყოფნას, აშკარად ნაწყენი ხარ ჩემზე. მაგრამ მე დამნაშავე არ ვარ, ეს მხოლოდ შენი სულელური მოსაზრებებია. რაც შეეხება ლეიბას და მე, ეს იყო ერთხელ და მეტი აღარ განმეორდება. შენ გელოდები. ჩვენ შევრიგდებით ჩვენს არაჩვეულებრივ ბუდეში. **მუდამ შენი ვოვა“.***

**— საინტერესოა, იცოდა თუ არა ამ ბილწი კავშირების შესახებ სტალინმა და რატომ არ გაანადგურა ეს უბინძურესი წერილები?**

— ცხადია, სტალინმა ამ ყველაფრის შესახებ იცოდა, მაგრამ ბელადმა განგებ არ გაანადგურებინა უნიკალური საარქივო დოკუმენტები და შთამომავლობას დაუტოვა უტყუარი მამხილებელი ფაქტები იმ უბინძურესი და გარყვნილი ურთიერთობის შესახებ, რომელიც ლენინს, ტროცკის, ზინოვიევსა და კიდევ სხვა ბოლშევიკ ლიდერებს ერთმანეთთან აკავშირებდათ. ვინ იცის, რამდენი უდანაშაულო ადამიანის სისხლში აქვს ხელები გასვრილი გარყვნილ ტროცკის?

საერთოდ, დასავლეთი საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად ყოველთვის მარჯვედ იყენებდა და იყენებს ორმაგ სტანდარტებს და შერჩევით სამართალს. თუ დასჭირდებათ, სისხლისმსმელ დიქტატორსა და ნაძირალა პოლიტიკოსს „დემოკრატიის შუქურად“ წარმოაჩენენ, შარავანდედით შემოსავენ და გმირად გახდიან, ხოლო, თუ უნდათ, მაშინ „დინების საწინააღმდეგოდ მოცურავე“ პოლიტიკოსად წარმოგაჩენენ და დაგამხობენ. **პირველ რიგში, დასავლეთის ინტერესებში შედის მათი ინტერესების არგამტარებელ ხელისუფალთა ჩამოგდება, ოღონდ ეს რაც შეიძლება ნაკლები ფინანსური დანახარჯებით უნდა მოხდეს, რათა გადატრიალების ორგანიზატორებმა ნაკლებად იზარალონ.**

ამ საქმისათვის უფრო მოსახერხებელია ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში **„ბავლენის აგენტის“** სახით თავიანთი კაცის ჩანერგვა, როგორც ეს **ხრუშჩოვის, გორბაჩოვის, იაკოვლევისა და ელცინის** სახით შეძლეს. ალექსანდრე იაკოვლევის „ცერეუ“-სთან კავშირი ოფიციალურადაა დადგენილი, რისი დამადასტურებელი მასალებიც **კრიუჩკოვმა გორბაჩოვს** მაგიდაზე დაუდო, მაგრამ გორბაჩოვმა ამ დოკუმენტებს მსვლელობა არ მისცა და ფაქტი ასე ახსნა: **„ახალგაზრდობაში შეცდომა ვის არ მოსვლია, იგი გარდაქმნისათვის საჭირო კაცია, ამიტომ უნდა ვაპატიოთ!“** მართალია, ხრუშჩოვზე, გორბაჩოვსა და ელცინზე მათი აგენტობის დამამტკიცებელი ოფიციალური მასალები არ არსებობს, მაგრამ ქვეყნისა და ხალხის წინაშე თავიანთი უნიათობით თუ შეგნებულად მოღალატეობრივი საქმიანობით, სამივეს აგენტებზე ბევრად უფრო მეტი ღალატი აქვთ ჩადენილი.

**— გამოდის, რომ ტროცკიც და ლენინიც სწორედ იმ მიზნით დააფინანსეს და იმ განზრახვით შემოაგდეს რუსეთში, რომ მათი დახმარებით იოლად გაეძარცვათ ქვეყანა...**

— დასავლეთის მიერ რუსეთი თავისი მდიდარი რესურსების გამო საძარცვავად ოდითგანვე მიზანში იყო ამოღებული. კოლექტიური დასავლეთისათვის რუსეთის ძარცვის ყველაზე ნოყიერი ხანა ელცინის მმართველობის პერიოდი იყო. პუტინმა შეძლო დასავლეთის მიერ გაძარცული და დაშლის პირას მიყვანილი რუსეთის ფეხზე წამოყენება და მოძლიერება. მან იმდენი მოახერხა, რომ ჯერ დასავლეთის მიერ რუსეთის ძარცვა თანდათანობით შეაფერხა, ბოლოს კი საბოლოოდ შეაჩერა. **ცხადია, ეს დასავლეთს დღემდე ვერ მოუნელებია, ამიტომ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ რუსეთი ამ ომში დაამარცხოს, პუტინის ხელისუფლება დაამხოს და იქ თავისი ინტერესების გამტარებელი ელცინის მსგავსი მარიონეტი პრეზიდენტი მოიყვანოს.**

## სტალინი რომ არა...

ზუსტად ამის გამოძახილია დღევანდელ უკრაინაში მიმდინარე პროცესები. საყოველთაოდ ცნობილია ტროცკისა და სტალინის დაპირისპირებაც. მიზეზი აქაც რუსეთში კაპიტალიზმის რესტავრაცია, ქვეყნის დანაწევრება და მისი რესურსების დატაცება იყო! **სტალინი რუსეთში სოციალიზმის აშენებასა და რუსი ხალხის ინტერესებს იცავდა, ტროცკი კი რუსეთში კაპიტალიზმის აღდგენას, ქვეყნის ფერფლად ქცევასა და რუსი ხალხის თეთრ ზანგებად გასაღებას ესწრაფვოდა!**

**— ბატონო ომარ, მაინც რამ განაპირობა თავდაპირველად ტროცკის წარმატება და რა რესურსები ჰქონდა მას სტალინის წინააღმდეგ ბრძოლაში?**

— სამწუხაროდ, ტროცკიმ შეძლო იმდროინდელი სამხედრო ელიტისა და ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფი მაღალი ეშელონების წარმომადგენელთა მიმხრობა. 1927 წელს მან წვრილმანებამდე გათვლილი სახელისუფლებო გადატრიალება დაგეგმა, რომელიც მხოლოდ სტალინის შორსმჭვრეტელმა და გამჭრიახმა გონებამ ჩაშალა. მიუხედავად ამისა, სტალინს ამ გადატრიალების მონაწილეებიდან არავინ დაუხვრეტია და დამნაშავეებს მხოლოდ სიმბოლური სასჯელები დაადეს — ზოგი პარტიიდან გარიცხეს, ზოგიერთი თანამდებობიდან მოხსნეს, ზოგიც ჩამოაქვეითეს და ა.შ. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩადენილი დანაშაულის მონანიების საფუძველზე ზოგიერთი მათგანი პარტიის რიგებშიც კი აღადგინეს, მაგრამ ძაღლის კუდი არ სწორდებოდა. **მიუხედავად იმისა, რომ ტროცკი 1929 წელს გაძევებული იქნა საბჭოთა კავშირიდან, იგი საზღვარგარეთაც არ წყვეტდა თავის მტრულ საქმიანობას საბჭოთა კავშირისა და სტალინის წინააღმდეგ.** მან მჭიდრო კავშირი დაამყარა ფაშისტური გერმანიისა და იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ამბობდა: **ხსნა მხოლოდ გაძლიერებულ ფაშისტურ გერმანიაშია, რომელსაც ხელისუფლებაში ჩვენი დაბრუნება შეუძლია!**

**— ცნობილია, რომ დახმარების სანაცვლოდ ტროცკი უცხო ქვეყნებზე დაპირებებს უხვად გასცემდა. მაინც ვის რას ჰპირდებოდა ლეიბა?**

**– ტროცკი დახმარების სანაცვლოდ გერმანიას უკრაინას ჩუქნიდა, იაპონიას კი – შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიებს!**

ლეიბას — ჯერ ოსლოდან, შემდეგ კი მექსიკიდან ინტენსიური საინფორმაციო ომი ჰქონდა გაჩაღებული და ათას სიბინძურეს ავრცელებდა პირადად სტალინზე. ქვეყანაში არსებული ტროცკისტთა ჯგუფი კი ძირითადად სამხედრო შეთქმულთა იმედზე იყო, რომელსაც სათავეში **ტუხაჩევსკი** ედგა. მოკლედ, ყველა პირობა იყო შექმნილი იმისათვის, რომ სულძაღლ ტროცკისტებს ძველი შეცდომები აღარ გაემეორებინათ და 1927 წლისაგან განსხვავებით, 1937 წელს გადატრიალება და ხელისუფლების დაპატიმრება უნაკლოდ შეესრულებინათ, მაგრამ... როცა ეს შეთქმულებაც გამოაშკარავდა და ლეიბა ტროცკის ბნელ ზრახვებს ფარდა აეხადა, ამის პატიება უკვე აღარ შეიძლებოდა. სწორედ **ამას მოჰყვა ის ავადსახსენებელი 1937-1938 წლების რეპრესიები, რასაც, სამწუხაროდ, ბევრი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.** ახლა ბევრს რომ ლაპარაკობენ, თითქოს იმ საშინელ წლებში ყველა უდანაშაულო იყო და ყველაფერი სტალინის პარანოიკული აკვიატება გახლდათ, აბსურდია!

**— რატომ არის აბსურდი?**

— ამის დასამტკიცებლად ის სასამართლო პროცესებიც კმარა, რომელიც მაშინ გაიმართა. ტროცკისტების სასამართლო პროცესებს ესწრებოდნენ მსოფლიო დონის ისეთი ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ **ლიონ ფოიხტვანგერი და ანრი ბარბიუსი.** ყველა დამნაშავემ სასამართლოზე საქვეყნოდ აღიარა თავისი დანაშაული და პატიება ითხოვა. 1937 წლის შეთქმულებას წინ 1934-1935 წლების მოვლენები უსწრებდა, როცა ტროცკის დავალებით, ტროცკისტთა ბანდამ ჰენრიხ იაგოდას მათთვის არასასურველი გავლენიანი პირების თავიდან მოშორება დაავალა. თავიდან გორკის გადაბირება სცადეს, მაგრამ ვერ შეძლეს. ამის შემდეგ ისინი უკვე სათითაო ანგარიშსწორებაზე გადავიდნენ. ასე, მაგალითად, **კიროვს** ტერაქტი მოუწყვეს, ხოლო ექიმ ლევინის საშუალებით, ტროცკისტებმა არასწორი მკურნალობის შედეგად სიცოცხლეს გამოასალმეს **მენჟინსკი და მაქსიმ გორკის შვილი მაქსიმ პეშკოვი,** რომლის ცოლიც იაგოდას საყვარელი იყო. შემდგომში იგივე ბედი გაიზიარეს **კუიბიშევმა** და თვითონ **გორკიმაც.** შეთქმულები ამ ხერხით თანდათანობით იზოლაციაში აქცევდნენ სტალინს და მორალურად ცდილობდნენ მის განადგურებას. ეს მართლაც ასე იყო... სტალინმა სწორედ უდიდესი მორალური ტრავმა განიცადა როგორც კიროვის, ასევე დანარჩენი უახლოესი თანამებრძოლების დაკარგვით და იძულებული გახდა, ტროცკისა და მისთანა ნაძირალების წინააღმდეგ საშინელი ტერორი დაეწყო.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***




## პლაკატიც იბრძოდა




***სამამულო ომის პირველი სამხედრო პლაკატი, რომელიც კუკრინიქსებმა შექმნეს უკვე 22 ივნისის საღამოს.***
*აღსანიშნავია, რომ პლაკატის პირველ ვარიანტში წითელარმიელის ხიშტი ესობოდა ჰიტლერის ხელს, მაგრამ, **სტალინის მითითებით,** 24 ივნისს პლაკატი მოსკოვის ქუჩებში აქ წარმოდგენილი სახით გამოჩნდა.*




# გიორგი ბეზირგანი

# «დიდი მეგრელის» აღსასრული

## შეთქმულების ანატომია, ანუ როგორ მოიშორეს ლავრენტი ბერია

**21 ივნისი, კვირა. მოსკოვის გარეუბანი.**

ხრუშჩოვი ვოროშილოვთან მიდის სტუმრად აგარაკზე. ისინი ბაღში პირისპირ საუბრობენ.

— შენთან სერიოზული საქმე მაქვს, კლიმენტ ეფრემოვიჩ! დამეთანხმები, რომ ჩვენთან ბოლო დროს მეტად უცნაური ამბები ხდება...

— ვშიშობ, რომ არ მესმის, რა გაქვს მხედველობაში.

— ის, რომ მთავრობა ყოველთვის მართებულ გადაწყვეტილებებს აღარ იღებს, უფრო სწორად, გაუმართლებელ გადაწყვეტილებებს იღებს.

— რაღა თქმა უნდა, ყველაფერი ისე არ გამოგვდის, როგორც გვინდა, მაგრამ იცი, რას გეტყვი, ნიკიტა, კარგია, რომ გვყავს კაცი, რომელიც შეგვისწორებს შეცდომებს და სწორ გადაწყვეტილებებზე მიგვანიშნებს...

— ადამიანი, რომელიც...

— ჰო, შენ სწორად გამიგე, ნიკიტა, მე ლავრენტი პავლოვიჩს ვგულისხმობ. მას ძალიან დახვეწილი და ღრმა პოლიტიკური აზროვნების უნარი აქვს.

— ხომ არ აჭარბებ ლავრენტის დახასიათებისას? — ცინიკურად ეკითხება ხრუშჩოვი.

— ვაჭარბებ?! რას ამბობ, ნიკიტა? მგონი, პირიქით, ვაკნინებ. შენ ხომ იცი, ნიკიტა, მე ათეისტი ვარ, მაგრამ მაინც გეტყვი — მადლობა ღმერთს, რომ ისეთი ხელმძღვანელი გვყავს, როგორიც ლავრენტი პავლოვიჩია, და ღმერთმა დიდხანს, დიდხანს გვიმყოფოს!

ხრუშჩოვი თავზარდაცემული ტოვებს ვოროშილოვის აგარაკს და გზად კაგანოვიჩთან შეივლის. მასთან, საბედნიეროდ, არანაირი პრობლემა არ შექმნილა. ლაზარე მოისეევიჩმა ყველაფერი ჩინებულად გაიგო.

— ვინ ჩვენ? — იკითხა მან.

ხრუშჩოვმა ჩამოთვალა.

— მე თანახმა ვარ, — უმალ დაეთანხმა კაგანოვიჩი, — ვოროშილოვი რას შვრება?

ხრუშჩოვმა მოკლედ უამბო, რაც ვოროშილოვის აგარაკზე მოხდა.

— ჰმ! ბეხრეკი მოხუცი! — გაიცინა კაგანოვიჩმა, — მან მოგატყუა, სინამდვილეში ბერიას ვერ იტანს. თვითონ წუწუნებდა, როგორ უნდა ვიცხოვროთო ამ წყეულთან. ნუ ღელავ, ვოროშილოვი ჩემზე იყოს. შენ წადი, სომხუჩას მოელაპარაკე, მაგრამ ფრთხილად იყავი, ის მართლაც საშიშია.

**1953 წლის 22 ივნისი, ორშაბათი. მოსკოვი. ძერჟინსკის მოედანი, ლ.პ. ბერიას კაბინეტი.**

— მაშ რაო, ბახჩო, მომიყევი, რა ჰალუცინაციები გქონდა, რამ შეგაშინა?

— არა, კონკრეტულად არაფერმა, ლავრენტი, მაგრამ ვგრძნობ, გული მიგრძნობს, ჩეკისტის გული, რომ რაღაც ცუდი ხდება...

— შეეშვი აბდაუბდას და საქმეზე გადადი.

— იცი, ხრუშჩოვი სულ აგარაკებზე დაძვრება, ყველას ხვდება, თანაც სუფთა ჰაერზე, ტყეში, ბაღში...

— კარგი. გააძლიერე თვალთვალი და თითოეული ნაბიჯი მომახსენე, მაგრამ რას უნდა გახდნენ ეს გლეხუჭები!

**22-23 ივნისის ღამე. მოსკოვი. ლ.პ. ბერიას სასახლე.**

ქობულოვმა აცნობა: „ხრუშჩოვი 22 ივნისს მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბში იყო, ესაუბრა მეთაურს, არმიის გენერალ მოსკალენკოს. საუბარი ვერ მოვისმინეთ, ხრუშჩოვი იმავე დღეს ეწვია ტამანის დივიზიას, შეხვდა მეთაურებს. როგორც გაირკვა, შეხვედრა კალენდარული იყო და დიდი სამამულო ომის დაწყების დღეს უკავშირდებოდა.

**23 ივნისი, სამშაბათი. მოსკოვი. ძველი მოედანი. ნ.ს. ხრუშჩოვის კაბინეტი.**

— ნიკიტა სერგეევიჩ, ხაზზე მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბია, — აუწყა ხრუშჩოვს თანაშემწემ.

ხრუშჩოვმა ყურმილი აიღო.

— ნიკიტა სერგეევიჩ! — ისმის ყურმილში მოსკალენკოს ბოხი ხმა, — გენერალი მოსკალენკო გაწუხებთ, მოხსენება ჩემდამი რწმუნებულ ჯარებში პოლიტმომზადების თაობაზე მზად გახლავთ. როდის შეგიძლიათ, მიმიღოთ?

— ჩინებულია, — პასუხობს ხრუშჩოვი, — დროს დამატებით გაცნობებთ, დიდი მადლობა სამსახურისათვის, ამხანაგო... მარშალო...

**1953 წლის 23 ივნისი, სამშაბათი. მოსკოვი, კრემლი.**

— ნიკიტა, — იცინის კაგანოვიჩი, — ჩვენი სახალხო კომისარი გუშინ ლაყუჩებით დავითრიე და ვკითხე — ბებერო ძაღლო, სისხლს რომ უშრობ ნიკიტას, ნუთუ ვერ ხვდები, რომ იგი ჩვენია-მეთქი. წარმოიდგინე, კისერზე ჩამომეკიდა, ჯერ მკოცნა, მერე იტირა, საიდან უნდა მცოდნოდაო. მეც თქვენთან ვარო, ბიჭებო, სხვა რა გზას მაქვს, სიცოცხლეს არ დავზოგავ თქვენთვისო. სიცოცხლესთან დაკავშირებით რა მოგახსენო, მაგრამ ვოროშილოვი ჩვენია, ასე რომ, მგონი, მთლიანად დავკომპლექტდით.

— ჯერ არა, სომეხი ეშმაკი დაგვრჩა.

— მდაა, რთული საქმეა, ნიკიტა სერგეევიჩ. ბოლო კაკალი კერკეტია...

— არაუშავს, გავტეხავთ, სად წაგვივა.

**იგივე საღამო, მოსკოვის შემოგარენი. ა.ი. მიქოიანის აგარაკი...**

გადამწყვეტი საუბარი ვერანდაზე ჩაის სმის დროს შედგა. ხრუშჩოვის ვარაუდი გამართლდა. მიქოიანი ორჭოფობს ან კიდევ თავს იკატუნებს — არც „ჰოს“ ამბობს და არც „არას“ — თან სულ ცდილობს, სიტყვა ბანზე აუგდოს სტუმარს.

— ჩინებული ჩაია, — აქებს ხრუშჩოვი სასმელს და უკვე მესამე ფინჯანს ცლის, — ნექტარივით არის. ისე, შენი აშხენი მართლაც ჩინებული ოსტატია, თორემ ნინა რომ ჩაის მიდუღებს, ცოცხის სუნი ასდის.

— საქმეს ოსტატის ეშინიაო, — იცინის ანასტას ივანოვიჩი, — აშხენი თურქი სომეხია, ნიკიტა სერგეევიჩ, ისინი კი მსოფლიოში ცნობილები არიან. შენ მიდი, დალიე კიდევ. კონიაკსაც დაგიმატებ, ჩვენებურია, სომხური, სპეცჩამოსხმა.

— უღრმესი მადლობა. მიყვარს ჩაი კონიაკით. მაშ, რას იტყვი საბოლოოდ, ანასტას ივანოვიჩ?

— რაღა უნდა გითხრა. ყველაფერი თქვეს უკვე წინამორბედმა ორატორებმა.

— მე არ ვხუმრობ, ანასტას, საკითხი მართლაც სერიოზულია.

— კარგი, ბატონო, გეტყვი. შენ პრინციპულად სვამ საკითხს, პირდაპირ, ბოლშევიკურად. კეთილი და პატიოსანი. მეც გულახდილი ვიქნები. ბერიას დიდი ხანია, ვიცნობ. ჯერ კიდევ ბაქოს იატაკქვეშეთიდან, ერთად ვმუშაობდით. შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ხელქვეითი იყო და სხვადასხვა, ხშირად ერთობ სახიფათო დავალებებს ასრულებდა...

— კი მაგრამ, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, პარალელურად მუსავატურ დაზვერვასაც აწვდიდა ინფორმაციას? თუ გახსოვს, ამაში პირდაპირ სდებდა მას კამინსკი ბრალს.

— რაც არ ვიცი, არ ვიცი, ვერ მოგატყუებ. თავად რომ ჰკითხო — მუსავატების დაზვერვაში იგი პარტიის დავალებით შეიყვანეს. ისე, ამაზე მირ-ჯაფარ ბაგიროვს უნდა ჰკითხო, მაშინ ის იყო ბაქოში მთავარი, მე მოსკოვში გამომიძახეს.

— შენც ნახე, ვის უნდა ვკითხო. ბერია და მირ-ჯაფარი ძმაკაცები არიან.

— ხომ გეუბნები, მოსკოვში გამომიძახეს-მეთქი და საიდან უნდა ვიცოდე, მუსავატებმა გადაიბირეს ბერია თუ ჩვენი დავალებით შეძვრა მათ დაზვერვაში;

— კარგი, კარგი, შევეშვათ ბაქოს ამბებს. საერთოდ, რას იტყვი მასზე, როგორც პიროვნებაზე?

— რა უნდა გითხრა, — პარტიაში გამოჩენილი, მნიშვნელოვანი პერსონაა. რაღა თქმა უნდა, გეთანხმები, რომ აქვს ბევრი უარყოფითი, თუნდაც ჭარბი თავდაჯერებულობა, უყურადღებობა ამხანაგების მიმართ, მაგრამ, აბა, რომელი ვართ უცოდველი? სამაგიეროდ, ჩინებულად მუშაობს კოლექტივთან.

— უარყოფითს ვერაფერს იტყვი? ეშმაკმა თუ უწყის მხოლოდ, საით მიჰყავს ქვეყანა თავისი რეფორმებითა და სიახლეებით.

— ჩვენ, ნიკიტა, ჩვენ რა? მივუთითოთ უარყოფითზე პირდაპირ, მეგობრულად, გავაკრიტიკოთ. გამოასწორებს, ხომ იცი, კოლექტივი დიდი ძალაა.

— გეყოფა. მაგ საქენს მე ნუ მიყრი, ანასტას ივანოვიჩ. ჩათვალე, რომ ეს საუბარიც არ ყოფილა. თუ რამეა, ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ თემას, მანამდე...

— აბა რა, ძვირფასო, რა თქმა უნდა, არ ყოფილა, ჩაი დავლიეთ და ეგ იყო, რა საუბარი, რის საუბარი.

**23-24 ივნისის ღამე. ხრუშჩოვის აგარაკი.**

მასპინძელი, მოლოტოვი, მალენკოვი, ბულგანინი და მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალი მოსკალენკო საბოლოო დეტალებს ამუშავებენ.

— სად და როგორ, ჩვენ უკვე დავთქვით, — იწყებს ხრუშჩოვი, — ისღა დაგვრჩენია, რომ დრო დავადგინოთ, როდის?!

— გ-გაწელვა ა-არ ღირს, — აგრძელებს მოლოტოვი, — მე ვ-ვთვლი, რომ პ-პრეზიდიუმის პ-პირველივე სხდომაზე, პ-პარასკევს.

— ყველა თანახმაა?

— თანახმაა, — ამბობს ბულგანინი, — დაყოვნება, როგორც ილიჩი იტყოდა, სიკვდილის ტოლფასია.

— შენ რა, მისტიკოსი გახდი?

— „სიკვდილის ტოლფასია“, „სიკვდილის ტოლფასი“... ჩვენ სიკვდილს სულაც არ ვაპირებთ, შე გამო... — აღშფოთდა მალენკოვი.

— მე ლენინის ციტატა მოვიყვანე მხოლოდ, რა მოგივიდა, რა გაყვირებს?

— სხვა ციტატა მოგეყვანა, თუნდაც ეს: „ჩავებათ ბრძოლაში, დანარჩენი მერე გამოჩნდება!“

— ამხანაგებო, ამხანაგებო! — აწყნარებს მოჩხუბრებს ხრუშჩოვი, — ანგარიში ერთმანეთს ოპერაციის შემდეგ გავუსწოროთ, ნუ ვარდებით პანიკაში, გეთაყვა, მით უფრო, რომ საშიში არაფერია. ჩვენ ბევრნი ვართ, ის მარტოა.

— სომხუჩა არ გაგვყიდის? — შეშფოთებული კითხულობს მალენკოვი.

— გაგვყიდის, ეჭვი არ შეგეპაროს, თუკი არ შევწყვეტთ კამათს და საქმეს არ შევუდგებით. როგორც კი სუნი აუვა ჩვენ ჩანაფიქრს, პირველი სომხუჩა ჩაგვიშვებს. მანამდე კი ზის და ელოდება, საით გადაიხრება სასწორი. თუ ყველაფერი კარგად წავიდა, მერწმუნეთ, პარასკევს ჩვენთან იქნება.

— კეთილი, — ამბობს მალენკოვი, — სამხედროები? მოსკალენკო, რას იტყვი?

— ყველაფერი რიგზეა, გიორგი მაქსიმილიანოვიჩ, ყველა მზადაა, როგორც მოვილაპარაკეთ, მეზობელ ოთახში სიგნალის მოლოდინში ვიქნებით.

— სანდო ხალხი თუ გყავს შერჩეული, მოსკალენკო? იცოდე, მარცხი სიცოცხლის ფასად დაგიჯდება.

— საკუთარ თავზე მეტად ვენდობი, გიორგი მაქსიმილიანოვიჩ, — მთელი სამამულო ერთად ვიომეთ.

— კარგი, მაშინ იმედი ვიქონიოთ, რომ არ გვიმტყუნებენ. სიგნალი ვინ უნდა მოგცეთ?

— როგორ თუ ვინ? — კითხულობს ხრუშჩოვი, — შენვე მიაწვდი სიგნალს, გიორგი. თავმჯდომარის მაგიდასთან ხომ შენ ზიხარ. დააჭერ ღილაკს და ეგ არის. ორი კარიდან უმალვე შემოვა მოსკალენკო თავისი ხალხით და მორჩა.

— არა, ჯიგარ, შეგიძლია დამითხოვო, თუ კარგია, შენვე მიეცი სიგნალი.

— ა-ამხანაგებო, გეყოფათ. როლები განაწილებულია და თითოეულს თავის საქმე აქვს. მე სხვა რაღაც უფრო მაღელვებს — როგორ შეაღწევენ მოსკალენკო და მისი ხალხი კრემლში, მანდ ხომ დაცვაში ყველგან ბერიას ხალხია, შეიძლება, დაეჭვდნენ.

— ეს საკითხიც უკვე მოგვარებულია, — პასუხობს ბულგანინი, — მე მათ ჩემი მანქანით შევიყვან, ჩუმად.

— ლ-ლუბიანკას რაღა ვუყოთ? ერთი ზ-ზარი და...

— ლუბიანკა ტამანის დივიზიის მიერ იქნება ბლოკირებული, რომელიც ქალაქში დილის 6 საათზე შემოვა, ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, — პასუხობს მოსკალენკო.

— კეთილი და პატიოსანი, — ასკვნის ხრუშჩოვი, — თუ ოცდაექვსში ყველაფერი რიგზე იქნება, პარასკევს სუფთა სინდისით დავიძინებთ. მოსკალენკო, თქვენ სიგარები არ დაგავიწყდეთ, რაც შეიძლება მეტი სიგარები — იცოდეთ!

— სიგარები, ნიკიტა სერგეევიჩ? — უკვირს გენერალს — რა სიგარები? მე ჯერ კიდევ ომიანობის დროს დავანებე თავი მოწევას, ორმოცდაოთხში.

— არა, სხვა სიგარები, — იცინის ხრუშჩოვი, — ვერ გაიგე, თუ რა... შე შობელძაღლო...

— მიგიხვდით, ნიკიტა სერგეევიჩ, მიგიხვდით, — მოსკალენკოც იღიმება, — ყველაფერი იქნება, სიგარებიც და სანთებლებიც...

შეკრებილები იშლებიან. ხრუშჩოვი ბულგანინს აყოვნებს და ეუბნება:

— იცი, ნიკოლაი ალექსანდროვიჩ, რა იდეა მომივიდა? მოსკალენკო, რაღა თქმა უნდა, კარგი ბიჭია, მაგრამ წარმოიდგინე, მის ადგილზე რომ ჟუკოვი იყოს, როგორია, ა?

— ჟუკოვი არ იკისრებს, ჯობია, არაფერი წამოგცდეს, ის და მეგრელი დიდი ძმები არიან. ჟუკოვს სიზმარშიც კი ის ელანდება, რომ ბერია სათავეში მოვა, თვითონ კი მინისტრის სავარძელში ჩასკუპდება.

— მერე, მინისტრად ჩვენც დავნიშნავთ, მაშინ, როდესაც შენ სხვა, უფრო მოხერხებულ ადგილზე გადახვალ, ასე რომ...

— ვშიშობ, რომ არაფერი გამოგივა.

— თუმცაღა, მართალი ხარ, რთული საკითხია, მაგრამ ცდა ხომ ბედის მონახევრეა. თანაც, ბოლო წუთში ვცდით, მაშინ, როდესაც უკან დასახევი გზა აღარ იქნება. სულელი ხომ არ არის ჟუკოვი, რომ თავისივე სარგებელზე თქვას უარი. რას ვკარგავთ, უარიც რომ თქვას, მის სახელს მაინც მივაბამთ ამ საქმეს, მინისტრად დავნიშნავთ და ამტკიცოს მერე, რომ „აქლემი არ არის“. რას იტყვი?

— კარგი აზრია, ნიკიტა, მიდი, მიაწექი, მაგრამ იცოდე, სპექტაკლამდე ხუთიოდე წუთით ადრე.

— გასაგებია, — უფრო ადრე სისულელეა ასეთ რისკზე წასვლა, ამხანაგო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ, — მხიარულად პასუხობს ხრუშჩოვი, გულში კი ფიქრობს, — „შენი მეფობის დღეები დათვლილია, ბებერო ვაცო!“

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***

## ★ საიდუმლო დოკუმენტი


СВОДКА
ГЛАВНОГО КОМАНДОВАНИЯ КРАСНОЙ АРМИИ
За 22.6.1941 года.

С рассветом 22 июня 1941 года регулярные войска германской армии атаковали наши пограничные части на ~~всем~~ фронте от Балтийского до Черного моря и в течение первой половины дня сдерживались ими. Во второй половины дня германские войска встретились с передовыми частями полевых войск Красной Армии. После ожесточенных боев противник был отбит с большими потерями. Только в Гродненском и Кристынопольском направлениях противнику удалось достичь незначительных тактических успехов и занять местечки КАЛЬВАРИЯ, СТОЯНУВ и ЦЕХАНОВЕЦ, первые два в 15 км и последние в 10 км от границы.

Авиация противника атаковала ряд наших аэродромов и населенных пунктов, но всюду встречала решительный отпор наших истребителей и зенитной артиллерии, наносивших большие потери противнику. Нашими сбито 65 самолетов противника.

***წითელი არმიის მთავარსარდლობის პირველი ცნობა სტალინისეული ჩასწორებებით.*** *დედანი. გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდის“ 1941 წლის 23 ივნისის ნომერში. ბელადს სურს, დაამშვიდოს ქვეყანა სიტყვებით* ***„მოწინააღმდეგე მოგერიებულია“,*** *თუმცა, რეალურად ფაშისტები წარმატებას წარმატებაზე აღწევენ.*

# 85 წლის წინათ, 1937 წლის 4 ივნისს, გარდაიცვალა სტალინის დედა



**სტალინი იშვიათად სწერდა დედას წერილებს, თანაც, ძალიან მოკლეს. აი, ორიოდე მათგანი:**





**გასვენება მთავარი ჭირისუფლის გარეშე**



ეკატერინე ჯუღაშვილი

ეკატერინე გიორგის-ასული ჯულაშვილის ხსოვნას

4 ივნისს, ქ. თბილისში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ეკატერინე გიორგის-ასული ჯუღაშვილი — საერთაშორისო პროლეტარიატის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის დედა.

ეკატერინე გიორგის-ასული ჯუღაშვილი (გელაძის ქალი) დაიბადა 1856 წელს სოფელ გამბარეულში ...

ამხანაგ სტალინის დედასთან დაკავშირებით, ეკატერინე გიორგის-ასულს აქ წრეებში მეტის ...

ამხანაგ სტალინის პირველი დაპატიმრება, რასაც ადგილი ჰქონდა ბათუმში 1902 წლის 5 (18) აპრილს, ეკატერინე გიორგის-ასულს ...

... 1898-1900 წ. წ. ამხანაგი სტალინი ატარებდა ...

... დიდი ბელადისა და მასწავლებლის დედის ხსოვნა მუდამ ... მშრომელთა გულში.

| | |
|---|---|
| ლ. პ. ბერია | ვ. ს. გოგეშვილი |
| გ. ა. მგალობლიშვილი | ე. ა. ბედია |
| ფ. ე. მახარაძე | მ. ა. გოგებაშვილი |
| ვ. მ. ბაქრაძე | ა. ი. მგელაძე |
| ა. მ. კეკელია | ვ. ნ. მერკულოვი |
| გ. ა. არუთინოვი | ვ. გ. დარახველიძე |
| გ. ფ. სტურუა | ს. ს. მამულოვი |
| ვ. გ. დეკანოზოვი | პ. ა. შარია |
| ს. ა. გოგლიძე | ე. პ. გორდელაძე |
| ა. გ. გეურქოვი | ი. გ. დავითხანოვი |
| ა. ს. აზრბა | |

**სტალინის დედის ნეკროლოგის ფრაგმენტი. „ლიტერატურული საქართველო“. 1937 წლის 10 ივნისი, №13**



ეკატერინე ჯუღაშვილი

დაკრძალვის მომწყობი კომისია

ეკატერინე გიორგის-ასული ჯუღაშვილის დაკრძალვის მოსაწყობად შექმნილია კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. გ. მგალობლიშვილი (თავმჯდომარე), ა. კეკელია, გ. სტურუა, მ. ნიორაძე და გ. გოჩაშვილი.

ეკატერინე გიორგის-ასული ჯუღაშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

6 ივნისს, დღის 1 საათზე, განსვენებული ეკატერინე გიორგის-ასული ჯუღაშვილის ცხედარი გადასვენებული იქნება ბინიდან (მთავრობის სასახლე, რუსთაველის პროსპექტი № 2) წითელი არმიისა და ფლოტის სახლში. დღის ორ საათზე—სამოქალაქო პანაშვიდი.

განსვენებულთან გამოთხოვების მსურველთ მისვლა შეუძლიათ:

6 ივნისს—დღის 3 საათიდან საღამოს 10 საათამდე.

7 ივნისს—დღის 12 საათიდან საღამოს 10 საათამდე.

8 ივნისს—დილის 11 საათიდან დღის 4 საათამდე.

8 ივნისს დღის 4 საათზე — სამოქალაქო პანაშვიდი.

დაკრძალვა 8 ივნისს დავითის მთაზე.

ცხედრის გამოსვენება წითელი არმიისა და ფლოტის სახლიდან საღამოს 5 საათზე.

სამედიცინო დასკვნა ეკატერინე გიორგის-ასულის ჯუღაშვილის გარდაცვალების შესახებ

ეკატერინე გიორგის-ასული ჯუღაშვილი ავად გახდა 1937 წლის 13 მაისს გრიპით. ტემპერატურა აღწევდა 39,6-ს. ავადმყოფობა გართულდა ფილტვების ორივე მხარის ანთებით.

ავადმყოფობა თავიდანვე მძიმედ მიმდინარეობდა იმის გამო, რომ ავადმყოფი ქრონიკულად დაავადებული იყო — შაქრის ავადმყოფობით, ქრონიკული ნეფრიტით, კარდიო-სკლეროზით.

მიუხედავად ანთებითი პროცესის ლიკვიდაციისა, მარჯვენა ფილტვში და პროცესის თანდათანობითი გაუმჯობესებისა მარცხენა ფილტვში, ავადმყოფის მდგომარეობა თანდათანობით უარესდებოდა, ადინამიის (საერთო დასუსტების) გაძლიერების გამო.

უკანასკნელ დღეს ავადმყოფს გამოაჩნდა ახალი მოვლენები ცენტრალური ნერვიული სისტემის მხრივ, გრიპოზული მიელიტი (ზურგის ტვინის ანთება) ტროფიკული ამლილობით და ქვედა კიდურების დამბლით.

ავადმყოფის უმისოდაც მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა აღნიშნული გართულების გამო და 4 ივნისს, 23 საათსა და 5 წუთზე ავადმყოფი გარდაიცვალა გულის დამბლის მოვლენებით.

პროფესორი ყიფშიძე. პროფ. მიქელაძე, პროფ. ს. ... ეძე, ექიმი მხეიძე, ექიმი ...

ჯანმრთ. სამკ. სანიტარული სამმართველოს უფროსი და საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილე — ფრანგულიანი.

1937 წ. 4 ივნისი.
ქ. თბილისი.

**გაზეთი „კომუნისტი“. 1937 წლის 6 ივნისი, №128**



ВХОДЯЩАЯ ШИФРТЕЛЕГРАММА

СТРОГО СЕКРЕТНО

Снятие копий воспрещается

| | | |
|---|---|---|
| Экз. № 1–2 Пометка | Экз. № 7 | Экз. № 12 |
| № 3 Сталину | № 8 | № 13 |
| № 4 | № 9 | № 14 |
| № 5 | № 10 | № 15 |
| № 6 | № 11 | № 16 |

Из ТБИЛИСИ № 10995 пол. 5.VI. 16-50 1937 г. вх. № 3

Вне очереди.

В ночь на сегодня скончалась мать товарища Сталина.

*მარცხნივ ფოტოზე:* 1937 წლის 5 ივნისის შიფროდეპეშა ეკატერინე ჯუღაშვილის გარდაცვალების შესახებ.
*მარჯვნივ ფოტოზე:* სტალინის მინაწერი სამგლოვიარო გვირგვინზე დედის გარდაცვალების გამო. დაკრძალვის ცერემონიალს ბელადი ვერ დაესწრო, რადგან იმხანად მოსკოვში მიმდინარეობდა უმაღლესი პარტიული ნომენკლატურის დაჭერები „ტუხაჩევსკის საქმესთან“ დაკავშირებით.




# „გიგზავნი 15 თუმანს, მეტი ვერ მოვახერხე“

## ეკატერინე გიორგის ასული ჯუღაშვილის დაკრძალვა



**გაზეთი „კომუნისტი“. 1937 წლის 9 ივნისი, №130**

ამხანაგებს ლ. ბერიას, გ. მგალობლიშვილს, ბუაჩიძესა და სხვ. წითელი არმიისა და ფლოტის სახლიდან გამოაქვთ ეკატერინე გიორგის-ასული ჯუღაშვილის ცხედარი

ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

8 ივნისს დილიდან რუსთაველის პროსპექტი აივსო თბილისის მშრომელებით, რომლებიც მოვიდნენ იმისათვის, რომ უკანასკნელი ვალი მოიხადონ **ეკატერინე გიორგის ასული ჯუღაშვილის** წინაშე. წითელი არმიის სახლის სამგლოვიარო ლენტებშემოვლებულ და გვირგვინებით გავსებულ დარბაზში კვლავ დაუსრულებელ ნაკადად მიედინებიან მუშები და მუშა ქალები, წითელი არმიის მეომრები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, მოსწავლეები და პიონერები. ათასობით ადამიანმა გაიარა ამ დილით ეკატერინე ჯუღაშვილის კუბოსთან.

●

დღის ოთხი საათისათვის რუსთაველის პროსპექტი და ახლო მდებარე ქუჩები გაიჭედა თბილისის მშრომელებით, მრავალათასიანი ხალხი მოელის კუბოს გამოსვენებას. წითელი არმიის სახლის დარბაზში, სადაც გვირგვინებითა და ცოცხალი ყვავილების თაიგულებით შემკულ პოსტამენტზე დადგმულ კუბოში განისვენებს ეკატერინე ჯუღაშვილის ნეშტი, განუწყვეტლივ იცვლება საპატიო ყარაული. კუბოს მახლობლად მწუხარე დუმილით დგანან განსვენებულის ნათესავები და მეგობრები. მათ შორის არიან ეკატერინე გიორგის ასულის ახლობლები, ნაცნობები, რომლებიც გორიდან ჩამოვიდნენ, აზერბეიჯანისა და სომხეთის მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა დელეგაციები. ნაღვლიანად გაისმის შოპენის, ბეტჰოვენის, ვაგნერის, ფალიაშვილის მელოდიები, რომლებსაც სიმფონიური ორკესტრი ასრულებს.

●

ოთხი საათი და ოცდაათი წუთი. საპატიო ყარაულში დგებიან ამხანაგები **ლავრენტი ბერია, გ. მგალობლიშვილი, ფ. მახარაძე, გ. მუსაბეკოვი.** შემდეგ საპატიო ყარაულში იცვლებიან ამხანაგები **ვ. ბაქრაძე, გ. არუთინოვი, ე. ბედია, ს. გოგლიძე, ა. კეკელია, ა. გეურქოვი, ვ. გოგეშვილი, ა. შახსუვარიანი, გ. სტურუა,** სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხნის ორდენოსანი სტახანოველები — ამხანაგები **ჭიჭინაძე, ხალიაპინი,** იმავე ქარხნის სტახანოველები **სადაგაშვილი და ბერეზოვსკი.** მათ სცვლიან ამხანაგები **გიორგობიანი, იშხანოვი, ეგნატაშვილი, მეტონიძე, ჟორჟოლაძე, ვაცეკი, მერკულოვი** და სხვ.

●

უკანასკნელი ცვლა. ყარაულში დგებიან ამხანაგები **ლ. ბერია, გ. მგალობლიშვილი, ფ. მახარაძე და გ. მუსაბეკოვი.**

საღამოს ხუთი საათი. რუსთაველის პროსპექტზე გამოაქვთ უამრავი გვირგვინები პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული, საბჭოთა ორგანიზაციებისაგან, ნათესავებისა და მეგობრებისაგან.

ხუთი საათი და თხუთმეტი წუთი. ამხანაგები **ლ. ბერია, გ. მგალობლიშვილი, ფ. მახარაძე, ვ. ბაქრაძე, გ. მუსაბეკოვი, ს. გოგლიძე** სწევენ კუბოს და გამოაქვთ იგი წითელი არმიის სახლიდან.

საქართველოს მთავრობის სასახლესთან კუბოს სდგამენ კატაფალკაზე. სამგლოვიარო პროცესია ნელა მიიწევს თბილისის ქუჩებით, მიემართება რა დავითის მთისკენ. კუბოს აცილებს თბილისის მრავალი ათასი მშრომელი. ქალაქის მაღალი, მთაგორიანი ქუჩებით, სამგლოვიარო მარშის ხმებით, პროცესია უახლოვდება მთაწმინდის მწერალთა მუზეუმს, რომლის მახლობლადაც გათხრილია საღლავი.

●

უკანასკნელი გამოთხოვების წუთები. საქართველოს ყველა მშრომელის სახელით, პარტიისა და მთავრობის სახელით გამოდის ამხანაგი **გ. მგალობლიშვილი.** შემდეგ გამოდის თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მუშა-ქალი ამხ. **ეთერი მაზანაშვილი.** მის შემდეგ — ორდენოსანი სტახანოველი ამხ. **დ. ჭიჭინაძე.** საბჭოთა სომხეთის მშრომელთა სახელით ლაპარაკობს ამხ. **ა. შახსუვარიანი.**

საქართველოს განათლების მუშაკთა მრავალათასიანი არმიის სახელით ძლიერი და მკვეთრი სიტყვით გამოდის ამხ. **სანიკიძე.** ამხ. სანიკიძის შემდეგ აზერბეიჯანის მშრომელთა სახელით გამოდის ამხ. **მირკადიროვა.**

მგრძნობიარე სიტყვა წამოსთქვა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ამხ. **აკაკი ხორავამ.** თბილისის მშრომელთა სახელით უკანასკნელი გამოდის ამხ. **გ. სტურუა.**

დამთავრდა გამოთხოვების უკანასკნელი სიტყვები, გაისმა სამგლოვიარო მარშის უკანასკნელი აკორდები.

საღამოს ექვს საათსა და ორმოცდაათ წუთზე კუბო ეკატერინე ჯუღაშვილის ცხედრით საფლავში ჩაუშვეს.

სამგლოვიარო მარშის ხმებს სცვლის „ინტერნაციონალი“.

ფილოსოფია
2022 წლის 20 ივნისი, № 7 (131)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

*„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე საქართველოსა და მის გარშემო შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ეხმიანება:*



„ევროპას აქ სოდომიის დამკვიდრება უნდა!“

## „საქართველომ ერთხელ დაუშვა საბედისწერო შეცდომა, როცა ზვიად გამსახურდია არ დაიცვა და რამდენიმე თვე რუსთაველზე არ დადგა, მაგრამ ახლა ჩვენ ამ შეცდომას არ დავუშვებთ და ირაკლი ღარიბაშვილს დავიცავთ!“

## *ნიკოლოზ მჟავანაძე:*

# ესენი როენას ბორდელის პოლიტიკოსები არიან!

— ვახტანგ მეექვსემ სულხან-საბა ორბელიანი ევროპაში გაგზავნა დახმარების მისაღებად, მაგრამ ამაოდ. მეფე ერეკლეც ბევრს ეცადა, ევროპელები საქართველოთი დაეინტერესებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა. **1920 წლის დეკემბერში საქართველო „ერთა ლიგაში“ არ მიიღეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ რუსეთის საჯიჯგნად გაგვწირეს.** ცნობისათვის, მაშინ „ერთა ლიგა“ იგივე იყო, რაც დღეს ნატო. **2008 წელს მაპი რომ არ მოგვანიჭეს, რუსეთი საქართველოში სწორედ ამ ფაქტით გათამამებული შემოიჭრა, ხოლო ახლა კანდიდატის სტატუსს რომ არ გვაძლევენ, ამით, ფაქტობრივად, რუსეთს ნიშანს აძლევენ, რომ საქართველოს ოკუპაცია ბოლომდეა მისაყვანი!** აქედან გამომდინარე, მაშინ, როცა რუსეთის შიშით ჩასვრილი ევროპა უსამართლოდ გვექცევა და კანდიდატის სტატუსს არ გვანიჭებს, ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს ადეკვატურად და რუსეთთან ურთიერთობა შეცვალოს!

**— თქვენ რას ამბობთ, საქართველო რუსეთს უნდა შეეკრას?**

— თქვენს შეკითხვას შეკითხვითვე ვუპასუხებ — **აზერბაიჯანმა ყარაბაღის მნიშვნელოვანი ნაწილი და დაკარგული შიდა რაიონები რის ხარჯზე დაიბრუნა — რუსეთთან დაამყარა თბილი ურთიერთობა თუ ნატოსთან და ევროკავშირთან?** რომ არა პუტინის თანხმობა და კრემლთან ვითარების დალაგება, **ალიევი** ყარაბაღს ისევე ვერ დაინახავდა, როგორც საკუთარ ყურებს, ხოლო, როგორც კი სომხეთის პრემიერმა ფაშინიანმა ევროპასთან ფლირტი დაიწყო, კრემლმა სომხეთი მაშინვე დასაჯა.

ვეკითხები ევროკომისიის პრეზიდენტ **ურსულა ფონ დერ ლაიენს** — საავაშვილი და მისი ხროვა **სერგო თეთრაძეს** რომ აწამებდნენ, **როინ შავაძეს** რომ ხვრეტდნენ, **დათო ცინდელიანს** რომ წყალქვეშა სასაფლაოზე ფლავდნენ და „კასტილებიანი“ გამაუპატიურებელი **თემურ უბირია** სამეგრელოს სამალავებში კაცებს აუპატიურებდა, მაშინ იყო საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის ღირსი? აი, ეს არის ამათი ორმაგი სტანდარტი — **მაშინ, როცა ქვეყანაში დიქტატურა მძვინვარებდა, ევროპელები სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურას“ ეძახდნენ!**

**— მაინც რის გამო არ გვანიჭებენ კანდიდატის სტატუსს?**

— აშკარაა, საქართველო დასაჯეს იმის გამო, რომ რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი არ გავხსენით! მეორე და მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორც ჩანს, **ევროკავშირის წევრობა სოდომური ცოდვების დაკანონებაზე გადის!** მოლდოვაშიც და უკრაინაშიც გეი-პარადები უკვე ჩვეულებრივი ამბავია, ხოლო ირაკლი ღარიბაშვილს არ პატიობენ 2021 წლის 5 ივლისს გაკეთებულ განცხადებას — **საქართველოში ყველაფერი ისე იქნება, როგორც ეს საქართველოს მოსახლეობას სურს!** რა შეიძლება ითქვას სალომე ზურაბიშვილის შესახებ, რომელიც გაიძახის, „მართმადიანი“ ვარო და ამავდროულად სოდომისტების პარადის გამართვას მიესალმება?

**საქართველომ ქრისტეს გზა აირჩია და ამიტომაც ვისჯებით, თორემ ჩვენ რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინება დაგვეკანონებინა და რუსეთის წინააღმდეგ ომი დაგვეწყო, ალბათ, პირდაპირ ევროკავშირში მიგვიღებდნენ!**

**— ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ქართველი ერი როგორ უნდა მოიქცეს?**

— ქართველი ხალხი ირაკლი ღარიბაშვილს გვერდით უნდა დაუდგეს, რადგან გენეტიკური მოღალატის — **ლიაკა ხოშტარიასა** და მისთანების მეშვეობით საქართველოში არეულობა იგეგმება! ხოშტარიას მამა **გოგი ხოშტარია** გადატრიალების დღეებში ტელევიზიაში **გიორგი შენგელაიას** უყვიროდა — **ზვიად გამსახურდია ცოცხალი როგორ გაუშვითო?!** საქართველომ ერთხელ დაუშვა საბედისწერო შეცდომა, როცა ზვიად გამსახურდია არ დაიცვა და რამდენიმე თვე რუსთაველზე არ დადგა, მაგრამ ახლა ჩვენ ამ შეცდომას არ დავუშვებთ და ირაკლი ღარიბაშვილს დავიცავთ! ჩვენ **რომ ზვიად გამსახურდია დაგვეცვა, სოხუმიც ჩვენი იქნებოდა და ცხინვალიც...**

რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, ეს ქალი მაგონებს სალომეას, რომელმაც იოანე ნათლისმცემლის თავი მოითხოვა! **დიახ, როგორც სალომეას მიართვეს იოანე ნათლისმცემლის მოჭრილი თავი, სწორედ ისე ითხოვს სალომე ზურაბიშვილი ირაკლი ღარიბაშვილის თავს, რადგან მან ძალიან კარგად იცის, რომ ბიძინა ივანიშვილს თავის არსენალში უფრო ძლიერი და ერთგული კადრი არ ჰყავს!**

რომ არა ამერიკის ელჩის მხრიდან საშინელი იძულება, ღარიბაშვილი თავის დროზე არ გადადგებოდა. მან ნამუსი შეუნახა ამერიკის საელჩოს და არ თქვა სიმართლე, მაგრამ, როგორც ეტყობა, ეგენი ვერც ახლა ისვენებენ და ჩემი ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილის გადასაყენებლად ნებისმიერ სიბინძურეზე მიდიან! ვაფრთხილებ ყველას: თუ საჭირო გახდება, საქართველოს მოსახლეობა ირაკლი ღარიბაშვილს დაიცავს!

**— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ნაცსექტანტები ისევ შეეცდებიან ხელისუფლების შტურმს?**

— ჩემი ინფორმაციით, ეს ნაძირალები გეგმავენ შტურმს, მაგრამ ვიცი ისიც, რომ ხელისუფლება ყველა სცენარისთვის მზად არის! ამერიკაში კაპიტოლიუმის შენობაში შეჭრის გამო პოლიციამ და სპეცსამსახურებმა რამდენიმე ადამიანი ადგილზე მოკლეს, მათ შორის, ქალიც... **ყველამ კარგად იცოდეს, რომ სახელმწიფო შენობაზე შტურმი დაუშვებელია და ვინც ამას გაბედავს, პასუხი ადეკვატური იქნება.**



## „როგორც სალომეას მიართვეს იოანე ნათლისმცემლის მოჭრილი თავი, სწორედ ისე ითხოვს სალომე ზურაბიშვილი ირაკლი ღარიბაშვილის თავს, რადგან მან ძალიან კარგად იცის, რომ ბიძინა ივანიშვილს თავის არსენალში უფრო ძლიერი და ერთგული კადრი არ ჰყავს!“






**„რომ არა პუტინის თანხმობა და კრემლთან ვითარების დალაგება, ალიევი ყარაბაღს ისევე ვერ დაინახავდა, როგორც საკუთარ ყურებს, ხოლო, როგორც კი სომხეთის პრემიერმა ფაშინიანმა ევროპასთან ფლირტი დაიწყო, კრემლმა სომხეთი მაშინვე დასაჯა!“**

## მოუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, არ დაუშვას და ბოზების კონკურსში გამარჯვებულ ტელესექსდივებს რუსთაველის პროსპექტზე ბუნაგის მოწყობის უფლება არ მისცეს!

ზვიად გამსახურდიას დროს ვიღაცებმა რუსთაველზე არმატურები და რკინის მილები დაყარეს, ვიღაცებმა — ქვები, ვიღაცებმა — კარვები გაშალეს და ქვეყანა დაღუპეს... **ეს ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას და ნაძირალები უნდა ალაგმოს!** ევროპას აქ სოდომიის დამკვიდრება უნდა. უკრაინაში მათ ეს შეძლეს და პრეზიდენტად ზელენსკი მოიყვანეს, რომელიც ტიტველი დარბოდა სცენაზე. ხოლო არესტოვიჩმა, რომელიც პირდაპირ მხილებულია სოდომიაში, აცხადებს — უკრაინა უნდა შეეგუოს იმას, რომ არასოდეს იქნება ისეთი, როგორიც ადრე იყოო! უკრაინა ამ ნაძირალებმა დაღუპეს და ეს ულამაზესი და უზარმაზარი ქვეყანა ვერასოდეს აღიდგენს ტერიტორიულ მთლიანობას. **საქართველოს კი აქვს შანსი, ეს მთლიანობა აღიდგინოს, თუ რუსეთთან დაიწყებს მოლაპარაკებას და ეს მოხდება ევროკავშირისა და ნატოს შუამავლების გარეშე!** საქართველოსთვის მისაბაძი და სამაგალითო უნდა იყოს პრეზიდენტ ალიევის დამოკიდებულება ევროპული ულტიმატუმისადმი. როცა აზერბაიჯანს გარკვეული მოთხოვნები წაუყენეს, **ილჰამ ალიევმა** მაშინ ამათ უთხრა — **მიმიფურთხებია თქვენი ევროპული ღირებულებებისთვისო!** აბა, გაბედოს ვინმემ და თქვას — აზერბაიჯანში დიქტატურააო!

**— ბოლოს და ბოლოს, რა გზას უნდა დავადგეთ?**

— არასოდეს ევროკავშირი და ნატო საქართველოში არ შემოვლენ! ეს ლაპარაკი თავიდანვე იყო ბლეფი და ყველაფერი ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ ერთ რამეს — **შეგვესრულებინა სადგისის ფუნქცია და რუსეთისთვის გვეჩხვლიტა!** უკრაინასაც ეს ფუნქცია შესძინეს და დაღუპეს!

**— რა მოხდება 20 ივნისს?**

— 20 ივნისს ეს ნაძირალები შეიკრიბებიან — **მიშა მშვილდაძე** იბღავლებს, **მამუკა ხაზარაძე** და **სოფო ნიჟარაძე** იმღერებენ, ვიღაცა ლეიბზე წამოკოტრიალდება, **დავით ბერძენიშვილი** გეი-პროპაგანდას გასწევს, რუსეთის აგენტი და გენეტიკური მოღალატე **ლიაკა ხოშტარია** იცეკვებს და ბოლოს ყველანი ერთად **ჯგუფური სექსით** დაკავდებიან! **ესენი როენას ბორდელის პოლიტიკოსები არიან და თავიანთი პოლიტიკა სწორედ როენას ბორდელში უნდა აწარმოონ!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# უშიშროების სამინისტროდან 2003 წლის 27 ივნისს გამოგზავნილი სკანდალური წერილი №6/8-800, რომელიც „იგორ გიორგაძის საქმეს" თავდაყირა აყენებს!



საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო

№ 6/8-800
„27" 06 2003

მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს
ქალბატონ მ. ბერიანიძეს

ქალბატონო მაყვალა,

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ განიხილა თქვენი მ. წ. 4 ივნისის თხოვნა-განცხადება, რის შესახებაც გაცნობებთ შემდეგს:

1995 წლის 29 აგვისტოს სახელმწიფო მეთაურის ე. შევარდნაძის მიმართ ტერორისტული აქტის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აღიძრა №7495911 სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსკ მე-17 და 67-ე მუხლის IV ნაწილით და მე-17 და 104-ე მუხლის III, IV და VI პუნქტებით (საქართველოს სსკ 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციით).

აღნიშნულ საქმეზე დაკავებული იქნენ ჯ. იოსელიანი, თ. ხაჩიშვილი, გ. გელაშვილი, ნ. კვეზერელი, გ. პაპუაშვილი და სხვები. მათ მიმართ №7495911 სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად გადაიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, სადაც დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. აღნიშნულის გამო, ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად სასურველია მიმართოთ საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

№7495911 სისხლის სამართლის საქმეზე, 1995 წლის 26 სექტემბერს, იგორ პანტელეიმონის ძე გიორგაძე ბრალდებულის სახით მიცემული იქნა პასუხისგებაში საქართველოს სსკ მე-17 და 67-ე მუხლით (საქართველოს სსკ 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციით). მას იმავე დღეს, საქართველოს გენერალური პროკურორის

ამასთანავე გაცნობებთ, რომ 14.07.95 წლის №615 ბრძანებით ი. გიორგაძის საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით 15.07.95 წელს სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შესრულება დაევალა მაშინდელ პირველ მოადგილეს გენერალ-მაიორ ა. იოსელიანს. მოვალეობის შესრულების პერიოდი ბრძანებაში მითითებული არ არის.

პატივისცემით,

მინისტრი [signature] ვ. ხაბურძანია

დასაწყისი იხ. „ა-დ" №20-25

***ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე 1995 წლის 29 აგვისტოს ე.წ. ტერაქტის საქმის სკანდალურ მასალებს ასაჯაროებს და იმ რამდენიმე მიზეზს ასახელებს, რის გამოც შევარდნაძემ იგორ გიორგაძე გზიდან ჩამოიშორა.***



## მაყვალა ბერიანიძე:

# შევარდნაძემ გიორგაძე ნიშანში მაშინ ამოიღო,

## როცა იგორმა გურამ შარაძესთან ერთად ხელი არ მოაწერა და არ დაეთანხმა ექსპერტიზის დასკვნას იმის შესახებ, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა!

— 1995 წლის 4 სექტემბერს, როცა **შევარდნაძე** და **იგორ გიორგაძე** საქართველოდან ერთად გაფრინდნენ, ე.წ. 29 აგვისტოს ტერაქტზე სისხლის სამართლის საქმე ჯერ კიდევ არავის წინააღმდეგ არ იყო აღძრული. მაგრამ უცბად საქმეში გამოჩნდა პირველი „დამნაშავე" — „ომეგას" უფროსი **ნიკა კვეზერელი**, რომელიც საერთოდ არაფრის აზრზე არ ყოფილა. მოკლედ, ნიკას, ამ უნიჭიერს და ვაჟკაც ახალგაზრდას, სტაცეს ხელი და დაუწყეს „დამუშავება", მაგრამ **ნიკა კვეზერელს** ისეთი ალიბები ჰქონდა, ვერაფერი დააკლეს. როდესაც მიხვდნენ, რომ ვერ გააფუჭებდნენ, დღის წესრიგში დადგა უშიშროების სპეცრაზმ „ალფას" უფროსის **გელა პაპუაშვილის** დაჭერა.

**— ქალბატონო მაყვალა, ნიკა კვეზერელი 29 აგვისტოს ე.წ. ტერაქტის საქმეზე როდის დაიჭირეს?**

— ნიკა დაიჭირეს 17 სექტემბერს, ხოლო 1995 წლის 22 სექტემბერს „ალფას" უფროსი **გელა პაპუაშვილი** უშიშროების სამინისტროს მაღალჩინოსანმა **ავთო იოსელიანმა** დაპატიჟა ხილით გაწყობილ სუფრასთან და მიიყვანა **შოთა კვირაიასთან**. პაპუაშვილის დაჭერა მანამდეც იგეგმებოდა, მაგრამ „ალფას" ბიჭები აბუნტდნენ და რომ არა გელა პაპუაშვილის ძმა **თემურ პაპუაშვილი,** რომელმაც ბიჭები დააწყნარა, კაცმა არ იცის, პროცესები როგორ განვითარდებოდა. სხვათაშორის, ეს ძალიან საინტერესო თემაა და დეტალებს მომავალში მოგითხრობთ!

**— ეს სუფრა სად იყო გაშლილი?**

— ხილის სუფრა გაშლილი იყო **შოთა კვირაიას** კაბინეტში. ზუსტად არ ვიცი, **გელა პაპუაშვილს** კვირაიას კაბინეტში რა უქნეს — აწამეს, სცემეს თუ რამე დაალევინეს, მაგრამ ფაქტია, რომ მაშინვე „გამოაცხვეს" პატაკი, რომელსაც **გელა პაპუაშვილი** ვითომდა „უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის" **ავთანდილ იოსელიანის** სახელზე წერდა.

**— კვირაიას კაბინეტში კიდევ ვინ იყო?**

— კვირაიას კაბინეტში სუფრას უჯდა უშიშროების მინისტრის **იგორ გიორგაძის** პირველი მოადგილე, „შევარდნაძის შვილობილი" **ავთანდილ იოსელიანი, შოთა კვირაია** და კიდევ რამდენიმე პიროვნება, რომლებსაც მერე დავასახელებ! სწორედ ავთანდილ იოსელიანმა და შოთა კვირაიამ უკარნახეს გელა პაპუაშვილს „პატაკის" ტექსტი, რომელმაც მთელი გამოძიება თავდაყირა დააყენა. საქმე ის გახლავთ, რომ **„პატაკს", რომელიც ავთანდილ იოსელიანმა ელდარ გოგოლაძეს დააწერა, უშიშროებაში არანაირი თარიღი მითითებული არა აქვს,** მაგრამ პროკურატურას შემოსავალში აქვს აღებული. პირდაპირ ვაცხადებ: ეს არის აბსურდი, ასეთი რამ არსად ხდება და თუნდაც ეს ფაქტი მიუთითებს იმას, რომ **გელა პაპუაშვილის „პატაკში" მოყვანილი „ფაქტები" სიმართლისგან შორს დგას!**

მეორე და ყველაზე მთავარი — პაპუაშვილის პატაკში თარიღი გადასწორებულია. კერძოდ, იქ, სადაც წერია — **„1995 წლის 22 სექტემბერი",** ანუ მისი შეთითხნის დღე, რიცხვ „22"-ს ერთი „2"-იანი წაუშალეს და **ისე გამოიყვანეს, რომ თითქოს პაპუაშვილმა ავთანდილ იოსელიანის სახელზე „პატაკი" 1995 წლის 2 სექტემბერს დაწერა.** მაგრამ **კვირაიას** და **ავთო იოსელიანს** ერთი იაღლიში მაინც მოუვიდათ — 2 სექტემბერს იგორ გიორგაძე თბილისში იყო და უშიშროების მინისტრის ფუნქციას ასრულებდა, ანუ 2 სექტემბერს **ავთანდილ იოსელიანი,** როგორც ეს იმ ყურით მოთრეულ „პატაკშია" მითითებული, „უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი" ვერანაირად ვერ იქნებოდა.

**— ბოლოს და ბოლოს, რა წერია „პატაკში", რომელიც, როგორც თქვენ აცხადებთ, 1995 წლის 22 სექტემბერს შოთა კვირაიას კაბინეტში დაიწერა?**

— უშიშროების სპეცრაზმ „ალფას" უფროსის **გელა პაპუაშვილის** „პატაკში" ვკითხულობთ:

*„მოგახსენებთ, რომ ამა წლის 29 აგვისტოს ქ. თბილისში მომხდარმა ტერორისტულმა აქტმა ჩემზე გამოიწვია ძალიან მძიმე რეაქცია. ამასთან დაკავშირებით მე გადავწყვიტე, მოგახსენოთ შემდეგი: ამა წლის ივლისის თვეში, ფალიაშვილის ქუჩაზე, სადაც ცხოვრობენ **ბატონი გიორგაძის მშობლები,** ვიმყოფებოდი სტუმრად იგორ გიორგაძის დავალებით. ბინაში ყოფნის დროს სტუმრად მოვიდნენ „მაშველთა კორპუსის" თავმჯდომარე **გიგა გელაშვილი** და **თემურ ხაჩიშვილი** — თავმჯდომარის მოადგილე. ისინი შევიდნენ დიდ ოთახში, ზალაში... იქვე ვიმყოფებოდი მეც. საუბრის დროს **გელაშვილმა და ხაჩიშვილმა** თქვეს, რომ მათ განზრახული აქვთ, ჩაატარონ შეიარაღებული აქცია არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. მათ მთხოვეს, რომ მიმეყვანა სპეციალისტი, რომელიც ერკვეოდა ასაფეთქებელ ნივთიერებებში. **იგორ გიორგაძემ** მათ უთხრა — ეგ ჩემი საქმე და ჩემი პრობლემა არ არისო, თქვენ საქმეს თქვენ მიხედეთო! ცოტა ხნის ლაპარაკის მერე იგორ გიორგაძემ მითხრა — მიეცი ერთი კაცი და გამანებეთ მე თავიო! შევპირდი, რომ კაცს მეორე დღისთვის გავუგზავნიდი. ამის შემდგომ მე დიდხანს აღარ გავჩერებულვარ და გამოვედი ოთახიდან. ამის შემდეგ სამივე ერთად არ მინახავს! კონკრეტულად რა საქმისთვის იყო საჭირო, მე საქმის კურსში არ ვიყავი. 29 აგვისტოს აფეთქების შემდეგ დამებადა აზრი, ხომ არ იყო დაკავშირებული ეს ყველაფერი ტერორისტულ აქტთან, რის გამოც მოგახსენებთ პატაკით!"*

აი, სულ ეს არის... ისევ და ისევ ვიმეორებ: **„პატაკი" სინამდვილეში დაწერილია 1995 წლის 22 სექტემბერს, მაგრამ რიცხვი შეცვლილია და დათარიღებულია 2 სექტემბრით.**

**— საინტერესოა, გელა პაპუაშვილი იმაზე რას ამბობს,**

# „ედუარდს ჩააწვეთეს ასეთი ფრაზა – „იქნებ, გიორგაძე არჩევნებში ჩარევაზე იმიტომ არ დაგთანხმდათ, რომ თავად გეგმავს გაპრეზიდენტებას?“ აი, აქ დასრულდა ყველაფერი!“



**ფალიაშვილის ქუჩაზე, იგორ გიორგაძის მშობლების სახლში, 1995 წლის ივლისის რომელ რიცხვში ვიყავიო?**

— **გელა პაპუაშვილი** როცა დააპატიმრეს, გამოძიებას მან ჩვენება მისცა, სადაც თქვა — იგორ გიორგაძის მშობლების სახლში 20 ივლისს ვიმყოფებოდიო! არადა, **1995 წლის 14 ივლისიდან უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე შევარდნაძის დავალებით იმყოფებოდა თურქეთში და ხვდებოდა თავის თურქ კოლეგას.** ამდენად, თურქეთში მყოფი და ოფიციალურ სამთავრობო დელეგაციის ხელმძღვანელი **იგორ გიორგაძე** ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნებოდა ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩაზე, თავისი მშობლების სახლში.

პრივატულ საუბრებში შევარდნაძის აბსოლუტურად ყველა მინისტრი მეუბნებოდა, რომ **იგორ გიორგაძე** 20 ივლისს ნამდვილად არ იყო საქართველოში, მაგრამ ამის თქმის ეშინოდათ. საბოლოოდ ყველაფერს ფარდა აეხადა მაშინ, როცა 2003 წელს, რვაწლიანი ლოდინის შემდეგ, საქართველოს უშიშროების სამინისტროდან მივიღე ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც 1995 წლის 29 აგვისტოს ე.წ. ტერაქტში **იგორ გიორგაძის** აბსოლუტური უდანაშაულობა დასტურდება!

სხვათაშორის, **გელა პაპუაშვილი** სასამართლო პროცესზე გაიძახოდა — **მოიყვანეთ შოთა კვირაია და თქვას, როგორ მიმიყვანეს ხილით გაწყობილ სუფრასთან და რა დამაწერინეს! მოიყვანეთ ავთო იოსელიანი, რომელსაც 29 აგვისტოს აეროპორტში ვაცილებდი და, ბოლოს და ბოლოს, გაირკვეს — თუ ტერაქტს ვამზადებდი, აეროპორტში რა მინდოდაო?!**

მაშინ სასამართლომ გელა პაპუაშვილის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და არც **ავთო იოსელიანი** და არც **შოთა კვირაია** სასამართლოში დასაკითხად არ მიიყვანეს, სამაგიეროდ, მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი რამ — ჩემი, როგორც გამომძიებელი ჟურნალისტის, აქტიური მეცადინეობით, **ავთანდილ იოსელიანმა** თავის კაბინეტში, თავისსავე სამუშაო მაგიდაზე, გელა პაპუაშვილის ადვოკატის **ხათუნა სალუქვაძის** სახელზე დაწერა განცხადება, რომელშიც ვკითხულობთ:

*„თქვენი შეკითხვის საფუძველზე განგიმარტავთ, რომ ვნახე რა თქვენ მიერ წარმოდგენილი* ***გ. პაპუაშვილის*** *მიერ დაწერილი „პატაკი“ ჩემ სახელზე, დათარიღებული 1995 წლის 2 სექტემბრით, მსგავსი „პატაკი“ ჩემს სახელზე 2 სექტემბერს მას არ დაუწერია! მას რომ დაეწერა ხსენებული „პატაკი“, მე პირადად ვაცნობებდი გენერალურ პროკურორს. ხსენებული „პატაკით“ მას ჩემთვის არც სხვა დროს მოუმართავს! ამავე დროს, გაცნობებთ, რომ 1995 წლის 2 სექტემბერს მინისტრი იყო* ***იგორ გიორგაძე*** *და მე მოვალეობას არ ვასრულებდი. 2 სექტემბერს პირადად მე წავიყვანე* ***გელა პაპუაშვილი*** *ბატონ* ***კვირაიას*** *მოთხოვნით შინაგან საქმეთა სამინისტროში. ჩემი რეზოლუცია თუ საიდან გაჩნდა 2 სექტემბრის რიცხვით პაპუაშვილის „პატაკზე“, ჩემთვის უცნობია.* ***23 იანვარი 1998 წელი.“***

**— ყველაფერი გასაგებია... კი მაგრამ, რატომ მოუწყო შევარდნაძემ იგორ გიორგაძეს ეს სპექტაკლი და პროვოკაცია. მისი, როგორც ახალგაზრდა, განათლებული და გავლენიანი კადრის ეშინოდა, ხელისუფლებას არ შეცილებოდა?**

— **იგორ გიორგაძის** ჩამოსაშორებლად შევარდნაძეს ბევრი მიზეზი ჰქონდა და ამის შესახებ დეტალურად შემდეგ ინტერვიუში მოგახსენებთ, მაგრამ 1995 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინ გიორგაძის ბედი მისმა ერთმა სიტყვამ გადაწყვიტა!




## ის ტოტალური გაყალბება, რომელსაც შევარდნაძე და „მოქალაქეთა კავშირი“ 1995 წლის არჩევნებში გეგმავდნენ, უშიშროების სამინისტროს აქტიური მონაწილეობის გარეშე ვერც დაიგეგმებოდა და ვერც განხორციელდებოდა.

ჩემი ინფორმაციით, უშიშროების მინისტრმა **იგორ გიორგაძემ** შევარდნაძეს უარი უთხრა, მონაწილეობა მიეღო არჩევნების გაყალბებაში. უფრო სწორად თუ ვიტყვით, გიორგაძის პოზიცია ასეთი იყო — **„უშიშროება არჩევნებში არ ჩაერევა!“** გიორგაძის ავის მოსურნეებმა, რომლებმაც შევარდნაძის ხასიათი ძალიან კარგად იცოდნენ, ედუარდს ჩააწვეთეს ასეთი ფრაზა — **„იქნებ, გიორგაძე არჩევნებში ჩარევაზე იმიტომ არ დაგთანხმდათ, რომ თავად გეგმავს გაპრეზიდენტებას?“**




# „1994 წელს გიორგაძე შევარდნაძესთან შევიდა და უთხრა – კვირაია მკვლელია და არ შემიძლია ასეთ კაცთან მუშაობა, მე უნდა წავიდეო!“

აი, აქ დასრულდა ყველაფერი! ამიტომაც იყო, 1995 წლის 26 აგვისტოს მოსკოვში, საქართველოს საელჩოში, მყოფ იგორ გიორგაძეს შევარდნაძემ თბილისისკენ წამოსასვლელი თვითმფრინავის ბილეთები უკან რომ დააბრუნებინა და თან ჰკითხა — **არჩევნებში მონაწილეობას ხომ არ გეგმავო?** გიორგაძემ მაშინ შევარდნაძეს სიტყვა ბანზე აუგდო — რა არჩევნები, რისი არჩევნები, მაგისთვის სად მცალიაო?! მაინც არ ენდო შევარდნაძე იგორ გიორგაძეს და დიდწილად სწორედ ამან გადაწყვიტა იგორ გიორგაძის ბედი. **შევარდნაძეს უკვე სჭირდებოდა ისეთი უშიშროების მინისტრი, რომელიც იქნებოდა მისი მონა-მორჩილი. საამისოდ იმ ეტაპზე საუკეთესო იყო ავთანდილ იოსელიანის კანდიდატურა, რადგან იოსელიანი შოთა კვირაიას მსგავსად თავიდან ბოლომდე კომპრომეტირებული იყო, როგორც ზვიად გამსახურდიაზე მონადირე და აფხაზეთში ჩადენილი ღალატის შესახებ ყველაფრისა და ყველა ნიუანსის მცოდნე.** შევარდნაძეს ასეთი ხალხი ახლოს უნდა ჰყოლოდა.

გარდა ამისა, იყო ერთი ფაქტორი, რაც **იგორ გიორგაძისა** და **შოთა კვირაიას** ერთად მუშაობას გამორიცხავდა — **ჩემი ინფორმაციით, გიორგაძე და კვირაია ერთმანეთს ავღანეთიდან იცნობდნენ და გიორგაძემ იცოდა, რომ შოთა კვირაია ცივსისხლიანი მკვლელი იყო.** იგი, როგორც „გრუ“-ს წარმომადგენელი, ავღანეთში დახოცილი საბჭოთა ჯარისკაცების გვამებს წვავდა, რათა საბჭოთა ხელისუფლებას მსხვერპლი დაემალა. ხოლო იგორ გიორგაძე იმით ამაყობდა, რომ მას ავღანეთში არცერთი ჯარისკაცი არ დაღუპვია. **თემურ ხაჩიშვილისგან** ვიცი, რომ 1994 წელს იგორ გიორგაძე შევარდნაძესთან შევიდა და უთხრა — **ბატონო ედუარდ, კვირაია მკვლელია და არ შემიძლია ასეთ კაცთან მუშაობა, მე უნდა წავიდეო!** შევარდნაძემ გიორგაძის თხოვნა გათავისუფლების შესახებ არ დააკმაყოფილა.

**— მაინც რა წერია იმ დოკუმენტში, რომელსაც რვა წლის განმავლობაში ელოდებოდით და რომლითაც დასტურდება, რომ 1995 წლის 29 აგვისტოს ე.წ. ტერაქტი სინამდვილეში თავად შევარდნაძის მოწყობილი იყო და იგორ გიორგაძე ამ საქმეში სრულიად უდანაშაულოა?**

## – 1995 წლის 14 ივლისს, როცა შევარდნაძის დავალებით იგორ გიორგაძე თურქეთში გაემგზავრა, სარფის საბაჟოსთან შოთა კვირაია იდგა და პირადად ამოწმებდა, გიორგაძე ნამდვილად გადავიდა თუ არა თურქეთში. ცხადია, კვირაია ამას შევარდნაძის ბრძანებით აკეთებდა!

დიახ, **1995 წლის 14 ივლისიდან 30 აგვისტომდე იგორ გიორგაძე საქართველოში არ იყო! შევარდნაძე მას თბილისში დაბრუნების საშუალებას არ აძლევდა, ნაირ-ნაირ რალაცებს ავალებდა, რათა 29 აგვისტოს სპექტაკლის მზადების შესახებ რამე არ შეეტყო და ოპერაცია არ ჩავარდნილიყო.** რაც შეეხება დოკუმენტს, რომელსაც რვა წლის განმავლობაში ველოდი, ეს გახლავთ **სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდან 2003 წლის 27 ივნისს გამოგზავნილი წერილი №6/8-800.** ამ წერილში ბევრი რამ წერია, მაგრამ მთავარს გეტყვით — უშიშროების სამინისტრო თვითონ ადასტურებს, რომ გელა პაპუაშვილის „პატაკი“ არის შეთითხნილი და ტყუილი და რომ 1995 წლის 20 ივლისს ის ფალიაშვილის ქუჩაზე, მშობლების სახლში, „სპორტულ ტანსაცმლებში გამოწყობილ“ **იგორ გიორგაძეს** ვერავითარ შემთხვევაში ვერ ნახავდა, რადგან გიორგაძე ამ დროს შევარდნაძის დავალებით ნამდვილად თურქეთში იყო. წერილში ვკითხულობთ:

*„გაცნობებთ, რომ 1995 წლის 14 ივლისს, №615 ბრძანებით, იგორ გიორგაძის საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით, 15 ივლისს სამსახურის უფროსის მოვალეობის შესრულება დაევალა მაშინდელ პირველ მოადგილეს, გენერალ-მაიორ ა. იოსელიანს! მოვალეობის შესრულების პერიოდი ბრძანებაში მითითებული არ არის!“*

როგორ მოგწონთ? **ანუ შევარდნაძემ გიორგაძე მივლინებაში გაუშვა მანამ, სანამ ე.წ. 29 აგვისტოს ტერაქტი არ დადგეს და კარგად არ შეასრულეს. თუმცა, როგორც არაერთხელ მოგახსენეთ, უამრავი შეცდომა დაუშვეს და თავი გასცეს.**

**— ამ დოკუმენტზე ხელს ვინ აწერს?**

— ამ დოკუმენტზე ხელს აწერს უშიშროების მაშინდელი მინისტრი ვალერი ხაბურძანია, რომელსაც 2003 წლის 4 ივნისს მივმართე და 27 ივნისს უკვე ეს პასუხი მივიღე! ყველაზე მთავარს გეტყვით: **ჩემი აზრით, შევარდნაძემ გიორგაძე ნიშანში მაშინ ამოიღო, როცა იგორმა გურამ შარაძესთან ერთად ხელი არ მოაწერა და არ დაეთანხმა ექსპერტიზის დასკვნას იმის შესახებ, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა!** ამას შევარდნაძე გიორგაძეს კი არა, არავის აპატიებდა და ცხადია, არც იგორს აპატია!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



# ზაურ ბედია: მე ჩემს თავს ვაძლევ ამის თქმის უფლებას, რადგან დიდი წვლილი მიმიძღვის თქვენი და თქვენი შვილების სიცოცხლის გადარჩენაში!

„ნება მომეცით, მოგმართოთ თქვენს ბიოლოგიურ შვილთან **ცოტნე გამსახურდიასთან** დაკავშირებით! **მე ვერ დავრჩები გულგრილი იმის მიმართ, რაც ხდება და რა მდგომარეობაშიც არის დღეს დიდი კონსტანტინეს შვილიშვილი, ჩვენი ქვეყნის პირველი და დღემდე განუმეორებელი, საქართველოს სულიერად აღმაშენებელი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას და თქვენი შვილი ცოტნე გამსახურდია.** მე ვერ გავჩუმდები მისი გამოჯანმრთელების ხელისშემშლელ გარემოებებზე. მთელი საქართველო, ყველა ჭეშმარიტი ქართველი დღეს ცოტნესთვის ლოცულობს. იმედია, უფალი შეისმენს ამ საყოველთაო ლოცვას, **მაგრამ ღმერთიც ვერ გვიშველის, თუ, პირველ რიგში, საკუთარი დედა არ გაუწევს დედობას განსაცდელში მყოფ შვილს.** ვერასდროს წარმოვიდგენდი ამას. დაუჯერებელია, რასაც თქვენ აკეთებთ **(დედის ვალია, გაჭირვებაში შვილის გვერდით და პირიქით, შვილი დედის გვერდით იდგეს).** ალბათ, ვინმე გიბიძგებთ ასეთი მოქმედებისკენ ან ჰიპნოზს გიკეთებთ. ისინი პირადად თქვენი და გამსახურდიების ოჯახის დაუძინებელი მტრები არიან. **მე ჩემს თავს ვაძლევ ამის თქმის უფლებას, რადგან დიდი წვლილი მიმიძღვის თქვენი და თქვენი შვილების სიცოცხლის გადარჩენაში! დიახ, თქვენ და თქვენი ღირსეული შვილები ცოცხლები რომ ხართ, ეს ჩემი დამსახურებაა.** ამას არ გაყვედრით, ჰაერში, ცაში გამანადგურებელ ბომბდამშენებს შორის შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ ეს იყო: ან სიცოცხლე ან სიკვდილი! ამიტომ თქვენი ბიოლოგიური შვილები ჩემი სულიერი შვილები არიან, თქვენ კი სულიერი და, ამიტომ, ნუ გაახარებთ ჩვენი საერთო მტრების გულს. **მე გეკითხებით: ბატონი ზვიადი ცოცხალი რომ იყოს, ცოტნეს ასე ხომ ვერ მოექცეოდით? თქვენ წინ ელობებით და სასტიკად ებრძვით ინვალიდის ეტლში მყოფი ცოტნეს მამაპაპისეულ კოშკში დაბრუნებას, იქ, სადაც დაიბადა, სიარული ისწავლა, სადაც პირველმა შვილმა პირველად „დედა" დაგიძახათ.** კოლხური კოშკი ხომ მისი მამის, დიდი ზვიადის (ანდერძით) დანატოვარია ცოტნესთვის და გიორგისთვის. მათთვის ხომ არსად არსებობს სხვა ჭერი და საცხოვრისი ამ დედამიწაზე. ამავე დროს, მინდა, გამოვაცხადო, რომ **თქვენ და ჩვენც მადლობა უნდა ვუთხრათ ქალბატონ ანა ჯაბაურს, რომ მძიმე მდგომარეობაში კი არ მიატოვა ძვირფასი ადამიანი, ძმებთან ერთად იბრძვის მისი სიცოცხლისთვის. იგი ცოტნესთვის თავდადებული მეუღლეა** (მას დედა ტერეზა დავარქვი), **რომელსაც ამოძრავებს მხოლოდ თქვენი შვილის ცოტნე გამსახურდიას სიცოცხლის შენარჩუნება და არავითარი მატერიალური დაინტერესება არ აქვს. ოფიციალურად, სასამართლოთი დაადასტურა ეს.**

მე და ყველა ჭეშმარიტ ქართველს თხოვნა გვექნება, რომ გაუხანგრძლივოთ სიცოცხლე თქვენს ბიოლოგიურ შვილს, ნუ შეუშლით ხელს ცოტნეს, თავის საყვარელ მეუღლესთან ანა ჯაბაურთან ერთად თავის ოდაბადეში შესვლას. **როგორც ექიმს, ძალიან კარგად მოგეხსენებათ, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ამას მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის** (გასაკვირია, დედას ვეხვეწებოდეთ საკუთარი შვილის გადარჩენას.) **ჩვენ, მშობლებს, რისთვის და ვისთვის გვინდა მატერიალური სიმდიდრე, თუ არა შვილებისთვის და შვილიშვილებისთვის. სად უნდა წავიდეს ცოტნე? სულ წეროვანის ჰოსპიტალში უნდა იყოს თქვენ გამო?** სანამ დროა, სასამართლოებით დავას თავი დაანებეთ. ნუ აწუხებთ მოსამართლეებს, ყოველ წუთს მნიშვნელობა აქვს ცოტნესთვის და ნუ გაგყავთ დრო!"

**დიდი პატივისცემით, სოხუმის გაერთიანებული ავიახაზის ტუ-134 ხომალდის მეთაური, საქართველოს სახალხო მფრინავი ორესტი (ზაური) ბედია".**

*ეს წერილი ორი კვირის წინ სოციალური ქსელით ფეისბუქზე გავრცელდა. წერილის ავტორს* ***ზაურ ბედიას*** *ადრესატი არ გამოხმაურებია. უცნაურია.* ***სავარაუდოდ, მას წერილი არ უნახავს ან ნახა და დატაკებას დუმილი ამჯობინა.*** *82 წლის მფრინავს კი, რომელსაც თავდაპირველი შთაბეჭდილებები* ***ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდიას*** *მიმართ თანდათან ანტისიმპათიებში გადაეზარდა, მოსაყოლი ბევრი აქვს:* ***ის, რაც აქამდე უთქვამს და ისიც, რაც აქამდე არ უთქვამს.*** *ამ საინტერესო ადამიანთან კიდევ ერთხელ გავიხსენებთ საქართველოს პრეზიდენტთან დაკავშირებულ იმ ცნობილ ამბავს, რომელშიც იგი მეორე მთავარი მოქმედი პირია.*

●

1992 წლის 6 იანვარს, სამხედრო დაპირისპირების შემდეგ, ზვიად გამსახურდია ოჯახთან და რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად თბილისს ტოვებს და სომხეთისკენ მიემართება. სომხეთში ცნობილი ხდება, რომ დევნილობაში მყოფი პრეზიდენტი იქ დიდხანს ვერ გაჩერდება. გადაწყდა მისი გროზნოში გადაყვანა, რაც სწორედ **მფრინავ ზაურ ბედიას** დაევალა. ოპერაცია, რა თქმა უნდა, ოპერატიული, საიდუმლო და საკმაოდ სახიფათო იყო. **გროზნოში ყოფნის დროს შემთხვევით შევესწარი, როგორ უთხრა დუდაევმა სომხეთის პრეზიდენტს ტერ-პეტროსიანს — ერთი ბეწვიც რომ ჩამოუვარდეს გამსახურდიას, ჟანგბადს გადაგიკეთავო.** ისე მოხდა, რომ ერევნის აეროპორტში ტრაპი არ იყო და ზვიადი გადმოსაკიდი კიბით ავიყვანეთ. მახსოვს, ერთი რუსი ჟურნალისტი როგორ ცდილობდა ამოსვლას და ზვიადთან ინტერვიუს. ვერაფრით მოვიცილეთ. ბოლოს ერთ-ერთმა კარატისტმა, რომელიც თან გვახლდა, ხელი ჰკრა. დღემდე მიკვირს, როგორ გადარჩა ცოცხალი. **ფრენის დროს თითქმის ყველა აპარატი და მაჩვენებელი სპეციალურად გამორთული მქონდა, რათა რუსებს არ მოვეძებნეთ. 16 იანვარს კიდევ ერთი გასაიდუმლოებული სვლა გავაკეთეთ. თავიდან მეც არაფერი ვიცოდი. მეგონა, იმ ღამეს ზვიად გამსახურდია გროზნოდან სოხუმში უნდა წამეყვანა.** ჩემთან ერთად ბიზნესმენი **ბივი ქობალია** და რამდენიმე სოხუმელი გამოფრინდნენ. ყურთსასმენებში მესმოდა, თბილისიდან, მოსკოვიდან, სოხუმიდან როგორ გაიძახოდნენ — **ამ თვითმფრინავით გამსახურდია მოჰყავთ და არ უნდა დაფრინდესო!** სოხუმში დილაუთენია ჩავფრინდით. ყველამ იცოდა, რომ ზვიადი უნდა ჩამეყვანა. ვფიქრობ, ახლა რა ვქნათ და მოვიფიქრეთ — **ბივი ქობალიას ჩავაცვით გროზნოდან წამოღებული ზვიადის პალტო, დავახურეთ ქუდი. ჩამოსვლისას საყელო ავუწიეთ, რომ სახე არ გამოჩენილიყო.** უცებ ტრაპთან „ზაპოროჟეცი" მოაყენეს, ვიღაცები აქეთ-იქიდან ამოუდგნენ, თითქოს დაცვის წევრები იყვნენ და მანქანაში სწრაფად ჩასვეს. შემდეგ „ზაპოროჟეცმა" ზუგდიდისკენ აიღო გეზი. სამი თვის განმავლობაში ყველას ეგონა, მათ შორის, **არძინბას,** ზვიადი სოხუმში, სტალინის აგარაკზე ცხოვრობდა. მოგვიანებით, როცა თბილისში დამიჭირეს, პოლიციის გენერალს **ბივი კვანტალიანს** დაკითხვის დროს ვუთხარი — მაშინ ზვიადი არ ჩამომიყვანია, ეს მისი ორეული იყო-მეთქი, კინაღამ გაგიჟდა — როგორ გაგვაცურეთ, ასეთი რამ ცხოვრებაში არავის არ გაუკეთებია ჩემთვისო. — იხსენებს ბატონი ზაური.

**— სიგუა და შევარდნაძე არ მალავდნენ, რომ ზვიადის ფაქტორის გამო ვერ გიტანდნენ. არადა, იმ დროს უკვე საკმაოდ პატივსაცემი მფრინავი იყავით. თვალში რომ ამოგიღეს, უთქვამთ ეს თქვენთვის პირდაპირ?**

— მე დავფრინავდი რეისით — **სოხუმი-გროზნო-მოსკოვი.** მირეკავდნენ ჯოხარი და ზვიადი და მათ დავალებებს ვასრულებდი. რა დავალებები იყო, ეს მე ვიცი. რა თქმა უნდა, ვერ მიტანდნენ. მეკითხებოდნენ — **რატომ გადაიყვანე ზვიადი, რატომ ასრულებდი მათ დავალებებს, რატომ არ ემორჩილებოდი თბილისს...** მე ვეხმარებოდი კანონიერ პრეზიდენტს — ეს იყო ჩემი პასუხი ყოველთვის. როცა მე დამიჭირეს მოსკოვში, ჩვენს ბიჭებს სოხუმში რუსების თვითმფრინავი დაუკავებიათ და შემოუთვალეს ამათ — ავაფეთქებთ, თუ ბედიას არ გამოუშვებთო. დილით სოხუმიდან ჩამოფრინდა პატარა თვითმფრინავი და დიდი პატივით გამომაცილეს. **შევარდნაძეს ჩემი მოკვლის ბრძანება ჰქონდა გაცემული — ეს ბედია მომაშორეთო.**

**— ბატონო ზაურ, ახლა ცოტა გადავუხვიოთ თემას. ვიდრე საქართველოს პრეზიდენტის სიცოცხლეზე დაგეკისრებოდათ პასუხისმგებლობა და მისი ბიოგრაფიის ნაწილი გახდებოდით, რას საქმიანობდით?**

— ერთი ობოლი ბიჭი ვიყავი, მატერიალურად უზრუნველყოფილი არასდროს ვყოფილვარ.

„მივესალმე — **გამარჯობა, ქალბატონო მანანა, როგორ ბრძანდებით-მეთქი.** ალმაცერად გამომხედა და მეუბნება: **შენისთანა მფრინავები ხუთი მყავდა მეო!"**



## „რატომ მოკვდა სტალინის ცოლი? ის ჩაერია სახელმწიფო საქმეებში და ამას შეეწირა!"

## კვირგვინოსნები

**ფატმა ჯეჯრენ იაზგანი**
*თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში*



ვიცი, როგორი მნიშვნელოვანია ოშკი საქართველოს ისტორიის, რელიგიის თვალსაზრისით, **მაგრამ მასზე პასუხისმგებელი თურქეთია.** იგივე შემიძლია ვთქვა **ახალქალაქის ციხესთან** დაკავშირებით. იმ მოტივით, რომ ახალქალაქში საქმე არ კეთდება, შემიძლია **ოშკის რეაბილიტაციის შეჩერება?** რა თქმა უნდა, არა!

„კვირის პალიტრა"

**უჩა ნანუაშვილი**
*ყოფილი სახალხო დამცველი*



ჩვენც გვინდა, რომ **აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ჩადენილი დანაშაულების გამო მსოფლიომ ქართველების გენოციდიც აღიაროს,** მაგრამ სერიოზული წინაღობა გვაქვს: 1990-იან წლებში ჩადენილი დანაშაულების გამოძიება არ დაწყებულა. საქმე საერთაშორისო სასამართლომდე არც კი მისულა.

„კვირის პალიტრა"

**ზურა ყიფშიძე**
*მსახიობი*



**პოლიტიკა მაღიზიანებს,** არადა, პოლიტიკა ყოფილა ყველაფერი. უცნობთან ხმა ამოვიღე და ატეხეს ერთი ამბავი, **კარგი ტიპი გვეგონა და თურმე მიშას სიკვდილი უნდაო.** არავის სიკვდილი არ მინდა. მშვიდობიან და ბედნიერ საქართველოში რომ იცხოვრონ ჩემმა და თქვენმა შვილიშვილებმა, ეს მინდა მხოლოდ.

„კვირის პალიტრა"

**გიორგი გობრონიძე**
*საერთაშორისო საკითხების ექსპერტი*



**უკრაინისთვის იმაზე მეტი გავაკეთეთ, ვიდრე შეგვეძლო ან ვიდრე ეკუთვნოდა.** მაინტერესებს, **მეგობარი ქვეყნიდან ძებნილი კაცის თანამდებობაზე დანიშვნა დიპლომატიაში როგორ იკითხება? იანუკოვიჩი რომ ღარიბაშვილის თანაშემწედ დანიშნონ, რა რეაქცია ექნებათ უკრაინელებს?!** ალბათ, ძალიან ცუდი!

„კვირის პალიტრა"



# „შევარდნაძეს ჩემი მოკვლის ბრძანება ჰქონდა გაცემული – ეს ბედია მომაშორეთო!“

ჯარის შემდეგ ერთი წელი ვიმუშავე. ერთხელაც გაზეთში ვნახე განცხადება, რომ რუსეთის საავიაციოში სასწავლებლად ოცდახუთ ქართველს გზავნიდნენ. ოცნებად კი მქონდა, მაგრამ ვიცოდი, რომ იქ მოხვედრა ძალიან რთული იყო. სამასამდე კაცმა გაიარა ჯანმრთელობის შემოწმება, მათ შორის, მეც და ამიყვანეს, მაგრამ რუსული არ ვიცოდი. კარნახით წერა თვითონ რუსებსაც კი უჭირდათ. მამაჩემის ბიძა მეხმარებოდა. ისიც მფრინავი იყო. ყველას თავის დისშვილად გააცნო ჩემი თავი და უთხრა — მინდა, ჩემი საქმე ამან გააგრძელოსო. გამოცდაზე ერთი სომეხი ლექტორი იყო, გაივლიდა, გამოივლიდა. შემატყო, რომ ვერ ვწერდი. მომიახლოვდა. მაგიდაზე ხელები დამიკაკუნა და ჩურჩულით მეუბნება: საღამომდე თუ მოიტან 2 000 მანეთს, გადაგაწერინებო. მე არ დავიბენი და ვუთხარი, კი-მეთქი. არადა, გზის ფულიც ძლივს მქონდა. დამსვეს ცალკე, გადავწერე. მივიღე ოთხი. ახლა არ გინდა ამ 2 000 მანეთის მოტანა?! საღამოს შევხვდი რაღაც შენობასთან. გარეთ ვიღაც კაცზე მანიშნა — მამაშენიაო? მე თავი დავუქნიე — კი-მეთქი. მე სადარბაზოს შესასვლელში ვდგავარ შიგნით. თვითონ არ შემოვიდა, რაღაც პორტფელი ეჭირა, გაიხედგამოიხედა და შემომაწოდა — აქ ჩადეო. რომ დავავლე ქეჩოში ხელი... შევათრიე სადარბაზოში... ვეუბნები: მამაჩემმა სამშობლოს შესწირა თავი, შენ კი აქ ქრთამს იღებ სტუდენტებისგან და არ გრცხვენია? იცი, რა? შენ თუ სომეხი ხარ, მე მეგრელი ვარ-მეთქი. პანღური ამოვარტყი და გავაგდე. დამემუქრა: შენ თუ არ გაგრიცხო... ოცდაათი წელია, აქ ვმუშაობ და ასეთი რამ ჩემთვის არავის გაუბედავსო. მერე, სწავლა რომ დავამთავრე, სოხუმში გამანაწილეს. თავიდან პატარა თვითმფრინავზე — AH-2-ზე დამსვეს. შიდა ფრენებს ვახორციელებდი — სოხუმი-მესტია, ფოთი-ზუგდიდი. ხომალდის მეთაურად რომ დაენიშნე, კომკავშირელი უნდა ყოფილიყავი. ერთი სვანი მეგობარი მყავდა, **ჯოხაძე.** ორივენი დიდი ხულიგნები ვიყავით. კომკავშირში არ შევედით. სხვები, ჩლუნგები შევიდნენ და ისინი ხომალდის უფროსები გახდნენ, ჩვენ კი — მფრინავები.

**— დავუბრუნდეთ ზვიადის საქართველოდან გაყვანის თემას, ვგრძნობ, რომ აქ კიდევ ბევრი ისეთი დეტალია, რამაც არ შეიძლება, არ დაგაინტერესოს. როგორ მოახერხეთ კონცენტრაცია, რომ ზვიადის ევაკუაციის სპეცოპერაცია მშვიდობიანად დაგესრულებინათ?**

— საქართველოს საზღვარზე რომ შემოვედით, **ოთარ შენგელია,** მეორე მფრინავი მეუბნება — **ზაურ, მეზობლები გვაცილებენო** (მეზობელს ჩვენ სამხედრო ვერტმფრენს ვეძახდით.) მერე რა-მეთქი... გავიხედე, მარცხნივ მიდგას და მაძლევს ნიშანს — უნდა დავჯდე ალექსეევკაში ან თბილისის აეროპორტში. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ: კაცი აიძულეს, საკუთარი ქვეყანა დაეტოვებინა, თვითმფრინავში მიზის პრეზიდენტი, პრეზიდენტის დაცვის ცხრამეტი ბიჭი, პრეზიდენტის ცოლშვილი, ოთხი კარატისტი, რომლებიც ჯოხარმა გამოგზავნა, შინაგან საქმეთა მინისტრი, ასევე ჯოხარის დაცვის უფროსი და ჩვენ, ეკიპაჟის წევრები, ვიმყოფებით ხომალდზე. სულ 30 კაცამდე ვიყავით. მე იმიტომ წავედი და იმიტომ გამაგზავნა ჩემმა ერმა, რომ ვიხსნა ჩემი პრეზიდენტი და როგორ ჩავუგდებდი მათ ხელში. როგორ, ჩემი სიცოცხლე უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე პრეზიდენტის? წუთებიც არ არის იქ, წამებია და ამ წამებში უნდა განსაზღვრო სიტუაცია და მერე იმოქმედო, იმიტომ რომ, ჰაერში ვერ შეეკითხები ჯოხარს და ვერც ვერავის — არიქა, მიშველეთ, როგორ მოვიქცე!..

**— არ მიწყინოთ, მაგრამ გისმენთ და თან, ცოტა პროვოკაციული შეკითხვებიც მომდის თავში. თქვენი გადაბირების მცდელობას არ ჰქონია ადგილი? კაცის ბუნება ხომ იცით, მაინც როგორია. ზოგი შეიძლება, ადვილად შეაცდინონ, ზოგი — რთულად. ეს ორმაგი აგენტობა კი სულაც არ არის ჩვენს რეალობაში რთულად წარმოსადგენი.**

— ვხედავ, მაიძულებდნენ დაჯდომას და ვფიქრობ — დავჯდები ალექსეევკაში ან თბილისში და ამათ ჩავაბარებ ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს? ეს ხომ ღალატი გამოდის ჩემგან? ასეთები ძალიან იშვიათად თუ მოდიან ჩვენი ქვეყნის სათავეში... მოკლედ, წავედი ტარანზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მიდიხარ ცეცხლზე, პირისპირ დაჯახებაზე. თუ არ დაემორჩილები, შეიძლება ჩამოგაგდონ... ვიფიქრე — მე თუ ჩამომაგდებენ, გამოვა, რომ ისინი **შარაშენიძის** დავალებას შეასრულებენ. არა. ეს არ მინდა. მე დავიღუპები, მაგრამ ამათაც ხომ გავიყოლებ? მოკლედ, წავედი საჰაერო ტარანზე და მალე ისინი გაუჩინარდნენ. ალბათ, იფიქრეს — ვერაა დაწყობილი ჭკუისო და შემეშვნენ. ხუთბალიანი ღრუბელი იყო, იმწუთას აგონიაში ვიყავი. რეებს ვაკეთებდი, აღარც კი მახსოვს... მე და ჯოხარმა დავამუშავეთ ხუთი შესაძლო ვარიანტი, როგორ უნდა მემოქმედა ჰაერში.

**— პარაშუტით დაშვება არ შედიოდა ამ ხუთ შესაძლო ვარიანტში?**

— კარი რომ გააღო, სამი ათასი კაცის ძალა მაინც უნდა. მეორე — წნევას თუ დაუწევ, გაიღება, მაგრამ იქ აღარავინ დარჩება... ჰაერი ყველას კარში გაყრის. თანაც — მე ხომ არ მივდიოდი ნორმალურად, თვითმფრინავს ჰაერში ვატრიალებდი! მოკლედ, როცა ასეთ საქმეს ჰკიდებ ხელს, თუ პროფესიონალი არ ხარ, ღალატის ტოლფასია. მე კი თითქმის ორმოცი წელი ვიფრინე. ჩემი „კლიჩკა“ სოხუმში იყო **„საჰაერო ხულიგანი“,** ხოლო თეორია პრაქტიკასთან 180 გრადუსით განსხვავდება. შემდეგ დაიწყო დისპეტჩერებთან ჭიდილი. როცა ღილაკს აჭერ თითს, ლოკატორი ირთვება, რომელიც აჩვენებს მიმართულებას და საიდან მოდის სიგნალი. მე კი ეს სიგნალი გამორთული მაქვს. მეკითხებიან — რატომ არაა მწყობრში თქვენი კაბინაო? ვეუბნები — ეს ტექნიკური საკითხია, ახლა ჩრდილოეთისკენ მივფრინავ-მეთქი, არადა, დასავლეთისკენ მქონდა გეზი აღებული. ვემშვიდობები თბილისის დისპეტჩერს, რომელიც უცებ გაგიჟებული მეკითხება: **მოიცათ! თქვენ ხომ მუხრანის გასახვევთან ხართ და იალგუზზე როგორ აღმოჩნდითო?** ვპასუხობ: მეორე მფრინავი ახალგაზრდაა და შეცდა-მეთქი. მერე ეკიპაჟს ვეკითხები: სად არიან ეს „ისტრებიწელები“-მეთქი... ისევ დისპეტჩერი: თქვენ გეძებენ და სად გინდათ, დაჯდეთ? ორ აეროდრომს გთავაზობთ — **როსტოვს ან მინვოდსო.** როსტოვი ცოტა შორს იყო, ჰოდა, მე მინდა დროის გაჭიანურება, რომ გადავიდე მთებზე და ვეუბნები — როსტოვი-მეთქი... გაფრთხილებული ვიყავი ჯოხარისგან, როდესაც გასცემ დეზინფორმაციას, იცოდე, ამა და ამ საათზე დაგიწყებენ ძებნასო! აი, სწორედ ეს იყო ერთ-ერთი ვარიანტი იმ ხუთიდან, რომელზეც გითხარით, **მოკლედ, მათ იცოდნენ, რომ მე ვჯდები როსტოვში და დავამთავრე კავშირი.** მესმის მხოლოდ მათი ყვირილი, ჩემი სახელი და გვარი, ხმას არ ვცემ. ჩავედი და დავჯექი გროზნოში.. იმ ღამეს გამოაცხადეს — **ხომალდის მეთაური ბედია ამა და ამ ნომრით გაქრაო..**

## „ყურთსასმენებში მესმოდა, თბილისიდან, მოსკოვიდან, სოხუმიდან როგორ გაიძახოდნენ: ამ თვითმფრინავით გამსახურდია მოჰყავთ და არ უნდა დაფრინდესო!“



ზაურ ბედია, ზვიად გამსახურდია და ჯოხარ დუდაევი

## „მირეკავდნენ ჯოხარი და ზვიადი და მათ დავალებებს ვასრულებდი. რა დავალებები იყო, ეს მე ვიცი!“

ასე იყო თუ ისე, ჩემი დავალება პირნათლად შევასრულე. ჯოხარმა აიღო თავისი ცილინდრი და მაჩუქა.

**— ზვიად გამსახურდიას მეუღლეზეც მინდა, გკითხოთ. ის თქვენ თვითმფრინავში გეჯდათ, მთელი დღეების მანძილზე, ისმენდით მის საუბარს? ცხადია, გარკვეული შეხედულება თქვენც ჩამოგიყალიბდათ...**

— პროვოკაციული შეკითხვაა ეს?

***— როგორც გინდათ, ისე ჩათვალეთ.***

— რატომ მოკვდა სტალინის ცოლი? ის ჩაერია სახელმწიფო საქმეებში და ამას შეეწირა. აი, ჩემი მიმართვა ხომ წაიკითხეთ, კიდევ რბილად ვწერ იქ. მოსაყოლი საერთოდ ბევრი მაქვს, მაგრამ... ერთი რამ მინდა, ვთქვა: მაგალითად, ქორი მოფრინავს. კრუხს უნდა წაართვას წიწილა, როგორ იქცევა ამ დროს კრუხი?! როგორ? დედა ხარ! ვის შეუძლია, დედობის უფლება წაგართვას, მხოლოდ სასამართლოს, ხომ? და სასამართლოს მისთვის არ წაურთმევია შვილები. რატომ არ უშვებ თავის სახლში მძიმე მდგომარეობაში მყოფ ცოტნეს? იმ სახლში, სადაც ფეხი აიდგა, სადაც დედა დაგიძახა? ან შენს შვილს ასეთ ვითარებაში რომ უვლის ქალი, კიდევ ბევრი მადლობა უნდა უთხრა!

ერთსაც ვიტყვი: მარჯანიშვილზე ვმუშაობდი, ლტოლვილთა განსახლების სამინისტრო რომ იყო. გამოვდივარ სამსახურიდან. ვხედავ იქვე დგას, სახეზე რაღაც ბადე აქვს ჩამოფარებული. ხალხი ჩურჩულებს ერთმანეთში... გავუარე გვერდით. მივესალმე — **გამარჯობა, ქალბატონო მანანა, როგორ ბრძანდებით-მეთქი.** ალმაცერად გამომხედა და მეუბნება: **შენისთანა მფრინავები ხუთი მყავდა მეო.** ისე უხერხულად ვიგრძენი თავი, იმწამსვე წამოვედი, არადა, რა დავაშავე ასეთი?!

*ესაუბრა*
***ეკატერინე პატარაია***

## კვირგვინოსნები

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“, ერთ-ერთი ლიდერი*



**ნაციონალური მოძრაობის სახელით** ნებისმიერ იდეაზე აქციის დაგეგმვა **სახელის გატეხაა.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



იმ რეჟიმს **ყავარჯნიანი კაცი** ჰყავდა, რომელიც ახალგაზრდებს აუპატიურებდა და ამ რეჟიმის მიმართ არ ჰქონდა **ევროპარლამენტს** და **ევროკავშირს** პროტესტი.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**თორნიკე შარაშენიძე**
*საერთაშორისო ექსპერტი*



თუ სტატუსს მხოლოდ საქართველო არ მიიღებს, **აქ რუსული პოზიციები გაძლიერდება** და ეს უნდა გაითვალისწინონ!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



ოპოზიცია ცალკე უბედურებაა. **რიგგარეშე არჩევნები რომ დაინიშნოს, რას იზამს 2-პროცენტიანი პარტია?** ბაქიბუქობენ და რიგგარეშე არჩევნებს ითხოვენ, რისი იმედით?!

„ახალი თაობა“

**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**კობახიძე** გაბრაზდება თუ განაწყენდება, ეს არავის არ უნდა აღელვებდეს. თუ ეწყინება, **ცივი წყალი** დალიოს, **ცივ „ბორჯომს“** ვერ შევთავაზებ, ქარხანა დახურულია.

„ახალი თაობა“

**დავით მაღრაძე**
*პოეტი*



ქართველებში იბადება **„ლეკიანობის“** განზრახვა, სადაც **ერეკლე მეფე** მოღალატეა, **სააკაშვილი** კი — გმირი და პატრიოტი.

„კვირის პალიტრა“

პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

მიხეილ სააკაშვილი თავის მემუარებში ზურაბ ჟვანიას ბადრი პატარკაციშვილზე დამოკიდებულებაზე და იმჟამინდელი პრემიერის მიერ მილიარდერის ბიზნესინტერესების ლობირებაზე შემთხვევით არ მოგვითხრობს: **ამით ის ამზადებს ფონს ჟვანიას იდუმალებით მოცულ სიკვდილზე გადასავლელად!**

დიახ, როდესაც მემუარისტი პრემიერს ამხელს პატარკაციშვილისთვის სახელმწიფო ქონების შეღავათიანი პირობებით გადაცემაზე, ამით სწორედაც რომ პირდაპირ ზურაბ ჟვანიას დისკრედიტაციას ეწევა!

თუმცა, სანამ ჟვანიას სიკვდილის შესახებ თხრობას დაიწყებს, „რევოლუციური ტრიუმვირატის“ მესამე წევრის — პარლამენტის თავმჯდომარის **ნინო ბურჯანაძის** განქიქებისთვისაც იცლის! რატომ?! იმიტომ, რომ შექმნას შთაბეჭდილება, **„რევოლუციური სამეულიდან“ მხოლოდ მე ვიყავი ჩვილის ცრემლივით სუფთა და ანკარაო!**

აი, რას წერს სააკაშვილი ბურჯანაძეზე:

> ***„ბურჯანაძე ძალიან განსხვავდებოდა ჩვენგან. ცხოვრებაზე მას სხვა წარმოდგენები ჰქონდა. ზურგს უკან ყველა იცინოდა მის ქურქებსა და ბრილიანტებზე. მისი რაიმე შეხვედრაზე შემოსვლა და გასვლა ყოველთვის რიტუალი იყო. ჩვენგან არავის უყვარდა ასეთი რაღაცები. ის სრულიად უცხო აღმოჩნდა ჩვენთვის, თავისი ფასეულობებითა და წარმოდგენებით. რა თქმა უნდა, ეს მას აღიზიანებდა“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 92).*

როგორც ხედავთ, სააკაშვილი **ბურჯანაძის** პიროვნულ შეურაცხყოფასაც არ ერიდება და სახალხოდ დასცინის მას! თუმცა, ბურჯანაძის პიროვნული დაკნინების შემდეგ ის უკვე მისი ოჯახის კორუმპირებულობაზეც გადადის:

> ***„მისთვის დაშვებული ერთადერთი კომპრომისი იმაში მდგომარეობდა, რომ მისი მეუღლე სასაზღვრო ჯარების ხელმძღვანელად დაინიშნა. ის კორუმპირებული იყო და ეს ერთადერთი სამსახური აღმოჩნდა, რომლის რეფორმირებაც ვერ შევძელით, სანამ ბურჯანაძე არ მოვაშორეთ. მესაზღვრეები 2008 წლამდე ქრთამს იღებდნენ. ის მთასავით ედგა ქმარს. სამაგიეროდ, ლოიალობას ინარჩუნებდა და პარლამენტის ბლოკირებას არ ახდენდა“*** *(იქვე, გვ. 92).*

ბურჯანაძის უმოწყალო „გაშავების“ კვალობაზე, მემუარისტი იმ **ჟვანიასთან** თავის იდეალურ ურთიერთობებზე მოგვითხრობს, რომელსაც თავის მემუარებში, სულ რამდენიმე აბზაცის ზემოთ, ბადრი პატარკაციშვილთან კორუფციულ სქემებში მონაწილეობაში ამხელდა:

> ***„2004 წლის მიწურულისთვის მე და ჟვანია იდეალურად ვთანამშრომლობდით. ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმოდა. ის სავსებით შეეგუა იმ აზრს, რომ ქვეყანაში მეორე კაცი იყო. ჩვენ, ორივეს, კონფლიქტი გვქონდა ბურჯანაძესთან. ჟვანიასთან, პრაქტიკულად, ყოველ საათში ერთხელ ვსაუბრობდი. ძალიან ვიყავი მასზე დამოკიდებული როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ემოციურადაც“*** *(იქვე, გვ. 92).*

სააკაშვილი უცინიკურესად ცრუობს: **არანაირი „იდეალური ურთიერთობა“ მას ჟვანიასთან არ ჰქონია!** პირიქით, ყოფილი პრემიერი იმდენად დიდი ზეწოლის ქვეშ იყო, რომ საკუთარი სიცოცხლის საფრთხესაც კი გრძნობდა და, 2005 წლის დასაწყისისთვის, ანუ თებერვლის იმ ავბედით ღამემდე ცოტა ხნით ადრე, ოჯახიანად ქვეყნიდან გადახვეწასაც კი გეგმავდა! ამის შესახებ არაერთ ინტერვიუში საჯაროდ აქვს ნათქვამი **ზურაბ ჟვანიას ძმას გოგლას,** რომლის სიტყვებითაც, **ზურას ჩემთან აქვს ნათქვამი, ისეთ მძიმე დღეში ვარ, რომ საქართველოდან წასვლაზე ვფიქრობო!**

სააკაშვილი ასე იხსენებს ჟვანიას სიკვდილის დღეს:

> ***„უკანასკნელად 2005 წლის 3 თებერვალს, საღამოს 10 საათზე, შევხვდით ერთმანეთს. ის შესანიშნავ ხასიათზე იყო. ერთი საათის შემდეგ მითხრა, რომ უნდა წასულიყო, ვინაიდან საშინლად სტკიოდა თავი. მისი შაკიკის არც ისე დავიჯერე, იმიტომ რომ მანამდე ცოტა ხნით ადრე მყავდა ნანახი და ცუდად ყოფნის არაფერი ეტყობოდა, თუმცა, აღარ გავაპროტესტე“*** *(იქვე, გვ. 93).*

როგორც ხედავთ, სააკაშვილი თავად აღიარებს, სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე ვნახე ჟვანიაო! ამ შაკიკზე ყურადღების გამახვილება და, პრაქტიკულად, ჟვანიას თვალთმაქცობასა და სიმულანტობაში დადანაშაულების დეტალს თავი რომ დავანებოთ **(თუმცა, ესეც ყოფილი პრემიერის აშკარა დისკრედიტაციას ემსახურება),** სააკაშვილი არ ამბობს, იმ საღამოს 10 საათზე სად და რა ვითარებაში შეხვდა ზურაბ ჟვანიას!

ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, გავრცელებული ინფორმაციით, იმ ავბედით ღამეს **სააკაშვილი, თავის ადეიშვილ-მერაბიშვილებთან ერთად,** პრემიერს ეგრეთ წოდებული **„ბორის ძნელაძის კომკავშირული ქალაქის“ ტერიტორიაზე განთავსებულ, ცნობილი ღამეული შეხვედრებისთვის განკუთვნილ ოფისში შეხვდა და ხმაურიანი გარჩევის დროს საფერფლე ესროლა და ასე შემოაკვდა!**

მემუარისტი ჟვანიასთან უკანასკნელი შეხვედრის აღწერის შემდეგ, ასე აგრძელებს თხრობას:

> ***„იმ ღამით გვიანობამდე არ დავწოლილვარ, ვინაიდან ბუშის კონგრესისადმი ყოველწლიური მიმართვის ტრანსლაციის ყურებას ვაპირებდი. მაშინ პარლამენტის გვერდით სამოთახიან ბინაში ვცხოვრობდით. ღამის ოთხი საათი იყო დაწყებული, როცა დაცვამ კარზე დარეკა, ტელეფონი გადმომცა. ეკრანზე ჟვანიას ნომერმა გამოანათა. ყურმილი ავიღე: „გისმენ, ზურიკო“.*** *„ზურიკო არ ვარ. კობა ვარ ხარშილაძე“. კობა ხარშილაძე მისი პირადი მცველი იყო. მან სამჯერ გამიმეორა:* ***„ბატონი ზურაბი ცოცხალი აღარაა და ძალიან უხერხული სიტუაციაა, საქმე ის არის, რომ მეორე გარდაცვლილი მამაკაცია“ — მართალი გითხრათ, დიდხანს ვერ მივხვდი, რაზე მელაპარაკებოდა“*** *(იქვე, გვ. 93).*

დააკვირდით, სააკაშვილი როგორ გადმოსცემს **კობა ხარშილაძის** სიტყვებს: თითქოს ჟვანიას პირადი მცველი **(რომელმაც, ოფიციალური ვერსიით, პირველმა აღმოაჩინა გარდაცვლილი ყოფილი პრემიერი კონსპირაციულ ბინაში)** იმას კი არ ეუბნება ტელეფონზე სააკაშვილს, ჟვანია ცოცხალი აღარ არის, გაზით გაიგუდაო, არამედ, რატომღაც სამჯერ, ზედიზედ, პირდაპირ ასე ამბობს — **აქ ძალიან უხერხული სიტუაციაა, აქ მეორე გარდაცვლილი მამაკაციაო!** და სააკაშვილიც „დიდხანს ვერ ხვდება“, რაზეა საუბარი!

დიახ, **მემუარისტმა აბსოლუტურად შეგნებულად და მიზანმიმართულად, პირდაპირ ასე გააჟღერა ვითომდაც, პრემიერის პირადი დაცვის წევრის კობა ხარშილაძის მიერ ტელეფონში ნათქვამი სიტყვები, გარდაცვლილი პრემიერი ძალიან უხერხულ სიტუაციაში აღმოაჩინესო!**

ამის შემდეგ სააკაშვილი ჟვანიას გარდაცვალების ასეთ დეტალებსაც იხსენებს:

> ***„ყველაფერი იმ ბინაში მოხდა, რომელსაც ჟვანია პირადი შეხვედრებისთვის ქირაობდა. მან გაუშვა დაცვა, რომელიც იმ ცვლაში მუშაობდა და წავიდა კობასთან ერთად, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობოდა.*** *ჩვეულებრივ, კობა ბინაში ტოვებდა ჟვანიას, შემდეგ კი დათქმულ დროს აკითხავდა წამოსაყვანად.* ***ამჯერად მცველმა ზარი დარეკა, მაგრამ არავინ უპასუხა. ეს ბელეტაჟი იყო, ამიტომ მან ქუჩიდან შეიხედა ფანჯარაში და დაინახა, რომ ყველაფერი ცუდად იყო, ხელით გამოანგრია ცხაური, ფანჯარა ჩაამტვრია და ოთახში გადაძვრა“*** *(იქვე, გვ. 93).*

ანუ სააკაშვილი გვიმტკიცებს, რომ ჟვანია იმ კონსპირაციულ ბინაში, თავის **„უხერხულ შეხვედრას“** ისე ფარდებმოღიავებული ატარებდა, რომ ნებისმიერ გამვლელს შეეძლო, შიგნით თავისუფლად შეეჭვრიტა?! აკი, სწორედ ამას წერს მემუარისტი: **კობა ხარშილაძემ** „ქუჩიდან შეიხედა ფანჯარაში და დაინახა, რომ ყველაფერი ცუდად იყო, ხელით გამოანგრია ცხაური, ფანჯარა ჩაამტვრია და ოთახში გადაძვრაო“!

შემდეგ სააკაშვილი იხსენებს, რომ „ძლივს აზრზე მოსულმა“ სასწრაფო განკარგულებები გასცა:

> ***„როდესაც აზრზე მოვედი, ვთხოვე, ხელი არაფრისთვის ეხლო და შინაგან საქმეთა მინისტრსა და გენერალურ პროკურორს დავურეკე, რათა ისინი სასწრაფოდ გამგზავრებულიყვნენ შემთხვევის ადგილას“*** *(იქვე, გვ. 93).*

ყველაზე ამაზრზენი ის არის, რომ სააკაშვილს, ჟვანიას გარდაცვალების ამბის უბინძურესი დეტალების ამღიარებლებად **ყოფილი პრემიერის მეუღლე** და, არც მეტი, არც ნაკლები, **პატრიარქიც** კი გამოჰყავს:

> ***„ჟვანიას მეუღლე იმ ბინაში მიიყვანეს, მან იქაურ სიტუაციას თვალი შეავლო და, როგორც მითხრეს, უსიტყვოდ შეტრიალდა და გავიდა. შემდეგ პატრიარქმა დარეკა და თქვა: „მე მაცნობეს, რომ ის იქ იყო, სადაც არ უნდა ყოფილიყო“*** *(იქვე, გვ. 93).*

ანუ სააკაშვილის მტკიცებით, პატრიარქმა მწუხარება კი არ გამოთქვა ახალგაზრდა კაცის სიკვდილის გამო, პირდაპირ ჟვანიას განქიქება დაიწყო, სადაც იყო, იქ არ უნდა ყოფილიყოო!

და მემუარისტი, ვითომდაც მწუხარებისაგან ტანჯული, ამის შემდეგაც აგრძელებს ზურაბ ჟვანიას მოულოდნელი და თავზარდამცემი გარდაცვალების ამბის **„უხერხული დეტალების“** პედალირებას:

> ***„სრულ შოკში ვიყავი. მე და ზურაბი 15 წელზე მეტხანს ვიცნობდით ერთმანეთს, არა მხოლოდ თანამოაზრეები ვიყავით, არამედ — ახლო მეგობრებიც. მის შესახებ გავრცელებულ უამრავ ჭორს არასოდეს ვაქცევდი ყურადღებას და, საერთოდაც, ვისწავლე, ყურადღება არ მიმექცია არავითარი ჭორისთვის, ვისზეც არ უნდა ყოფილიყო ის გავრცელებული“*** *(იქვე, გვ. 93).*

სააკაშვილი მხოლოდ ამ ყველაფრის შემდეგ პირველად ახსენებს გაზით მოწამვლის თემას, აქაოდა, საქართველოში ჩამოსულმა ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს ექსპერტიზამ დაადგინა გაზით მოწამვლაო!

თუმცა, სააკაშვილი საერთოდ არ ახსენებს იმას, რომ იმ ღამეს ჟვანიას კონსპირაციული ბინის უბანში გაზი საერთოდ გათიშული იყო და არც იმას, რომ პრემიერთან აღმოჩენილ მამაკაცს — **რაულ უსუპოვს** ცალ ფეხზე ფეხსაცმელი არ ეცვა და ის ვერსად ვერ იპოვეს! იმიტომ, რომ ეს ახალგაზრდა კაცი იქ უკვე მკვდარი მიიტანეს და ფეხსაცმელი მისი ცხედრის გადატანისას დაკარგეს!

და კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც ადასტურებს სააკაშვილის უკიდურეს ზნედაცემულობას — **მემუარისტი საკუთარ უდანაშაულობაში ჟვანიას მეუღლეს იმოწმებს და პრემიერის ქვრივის უმოწყალო დისკრედიტაციასაც ახდენს:**

> ***„გარკვეული დროის შემდეგ პატარკაციშვილმა დაიწყო იმ ვერსიის გაპიარება, თითქოს ჟვანია მოკლული იყო. ერთხელ ჩემთან ჟვანიას ცოლი მოვიდა და მეუბნება: „მე თქვენ არ გადანაშაულებთ, მაგრამ ვიცი, რომ ზურაბს, როგორც ყველა პოლიტიკოსს, ჰქონდა ფული და მე დაბრუნება მინდა ფულის ნაწილის მაინც“. ვუპასუხე, რომ მეც პოლიტიკოსი ვიყავი, მაგრამ ფული არ მქონდა. ამაზე მითხრა, რომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ჟვანიას რამდენიმე მილიონი დოლარი მისცეს. ეჭვი მაქვს, რომ ეს ამბავი მას პატარკაციშვილმა უთხრა. იაფფასიანი ტრიუკი იყო, მაგრამ მან დაიჯერა და მცველზე მიიტანა ეჭვი. ამის შემდეგ ნინო ჟვანიასთან ურთიერთობის სურვილი გამიქრა და, მგონი, აღარც შევხვედრივარ“*** *(იქვე, გვ. 93).*

აი, ეს არის სააკაშვილი!




***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***




# მცხეთის სალობიე 55 წლისაა!

***ზუსტად 55 წლის წინათ, 1967 წლის 19 ივნისს, მცხეთაში გახსნილი სახელდახელო წასახემსებელი ობიექტი სულ მალე იქცა ცნობილ „სალობიედ“ და ადგილობრივთა თუ საქართველოში ჩამოსულ სტუმართა საყვარელ ადგილად. აქაური სამზარეულო სულ უბრალოა: ლობიო, მჭადი, ყველი, იდეალურად მომზადებული სხვა კერძები და კეთილი გული. გახსნის დღიდან, უკვე 55 წელიწადია, აქაურობას ხელმძღვანელობს ქართული სუფრის დიდოსტატი, სტუმარმასპინძლობის მადლით აღვსილი დიმიტრი ალავიძე, რომელიც ყოველ მიმსვლელს პატივისცემით ეგებება და თანამშრომელთა გუნდსაც ერთ ოჯახად კრავს. 19 ივნისს 81 წლის მხცოვანმა ხელმძღვანელმა მცხეთის კულტურის სახლში „სალობიეს“ 55 წლის იუბილე აღნიშნა და ქართული სუფრის სიკეთე კიდევ ერთხელ დალოცა:***

## დიმიტრი ალავიძე: ჩვენი პირველი ღვეზელი ვასილ მჟავანაძემ დააგემოვნა!

— 55 წელია, რაც ამ დიდ ოჯახს ვხელმძღვანელობ და ყოველ დილას ისეთი ენერგიითა და სიხარულით მოვდივარ, როგორც პირველ დღეს — **1967 წლის 19 ივნისს.** როდესაც ცხონებულმა **ვასილ მჟავანაძემ** კვების ეს ობიექტი გახსნა, 26 წლის ბიჭი ვიყავი. პირველი ღვეზელი დიღმელ **ვანო შიოშვილთან** ერთად მე გავაკეთე და ის პირველი ღვეზელიც **ვასილ მჟავანაძემ** დააგემოვნა. იმ დღის შემდეგ დაიწყო ხალხმა აქ სიარული და მთელმა საქართველომ გაიგო ჩვენი არსებობა. ის ისტორია კი ყველამ იცის, რომ ობიექტი აშენდა იმ ადგილას, სადაც საქართველოში სამოგზაუროდ ჩამოსულმა **ალექსანდრე პუშკინმა** წყალი დალია!

**— ლობიოს მომზადება ვისი რეკომენდაცია იყო?**

— რეკომენდაცია არავის მოუცია, ობიექტის გახსნიდან ორ-სამ თვეში, დედისეული რეცეპტით ჩემი ინიციატივით გავაკეთე. გაჭირვებისა და ომის დროს საქართველო ლობიომ გადაარჩინა. ჩემი ჩანაფიქრი ძალიან მარტივი გახლდათ — მშიერი კაცი დამეპურებინა და კმაყოფილი წასულიყო. შევარჩიე მინდვრის წითელი ლობიო, შესაკაზმად სხვადასხვა მწვანილი, წიწაკა, სუნელები, ზეთში მოშუშული ხახვი, ნიგოზი... თავიდან ლობიოს 3-4-კილოიანი თიხის ქოთნებით ვხარშავდით, მართალია, ახლა ნიგოზს აღარ ვუმატებთ, მაგრამ მაინც იდეალურ გემოს ვინარჩუნებთ. ლობიო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერძია არამარტო ქართულ სამზარეულოში, არამედ ქართულ პოლიტიკაშიც — გასულ კვირას **გია გაჩეჩილაძემ** (უცნობი) განაცხადა — მხოლოდ ლობიო რომ დაგვრჩეს, იმას გავიყოფთ, ქართველებს არავისი არაფერი გვინდაო... „სალობიე“ ყოველთვის იყო სტუდენტების თავშესაფარი, სამსახურებიდანაც შესვენებაზე ჩვენთან მოდიოდნენ თბილისელები და მიუხედავად ქალაქში არსებული საცობებისა, ახლაც მოდიან, გული მაინც ჩვენსკენ მოუწევთ.

**— ვინ არის შეფმზარეული?**

— ორი სამზარეულო გვაქვს — სალობიე და სახინკლე. სახინკლეს შეფმზარეულია **გია მგელიაშვილი,** ხოლო სალობიესი — **ბუჯა ალავიძე.** მათ კარგად იციან თავიანთი საქმე, თუმცა, რაიმე რომ არ გამოგვრჩეს, ხარისხის კონტროლს ახორციელებენ **ია შავიშვილი** და **ირინა ფოჩხუა.** კერძები მომზადებული უნდა იყოს უმაღლეს დონეზე, უნდა იყოს სისუფთავე და სტუმრებს სათანადო მასპინძლობა გაეწიოთ. ამ ყველაფერზე კი ჩვენი მენეჯერები **შორენა სოლოღაშვილი, ლინდა ჯინჭარაძე და მარინა მანჯგალაძე** ზრუნავენ.




დილიდან „სალობიეში“ ვარ და რაც კი აქ ხდება, ყოველივეს საქმის კურსში ვარ. 100-მდე თანამშრომელი მყავს, მეგობრული კოლექტივია, ერთმანეთს ყოველთვის მხარში ვუდგავართ. ვეხმარები ჩემი ყოფილი თანამშრომლების ოჯახებს, ვისთანაც ერთადაც წამოვიწყე ეს საქმე, სამწუხაროდ, დღეს ბევრი გარდაცვლილია. ადრე აქ მხოლოდ მუხათგვერდელები მუშაობდნენ, ახლა არიან მცხეთელებიც და თბილისელებიც. ჩემს ამჟამინდელ კოლექტივთან ერთად წამოვიწყე ახალი პროექტი.

**— რა პროექტი?**

— **თანამშრომლების სტომატოლოგიური მომსახურების დაფინანსება** (იცინის). **მინდა, ყველა თანამშრომლის ღიმილი იყოს ბედნიერი. მასპინძლის კარგი განწყობა სტუმარს დადებითად განაწყობს და თუკი ამას გემრიელი კერძებიც დაემატება, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე იდეალურად გაკეთდება.** 55 წელია, ჩემი გზისთვის არ გადამიხვევია და ამ გზითვე გააგრძელებს ჩემი შვილიშვილი — უმცროსი დიმიტრი ალავიძე.

**— ბატონო დიმიტრი, რაშია თქვენი წარმატების საიდუმლო?**

— ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები კაცთმოყვარე.

**ჯუმბერ ტოგონიძე,** ***საჭაშნიკე „სალობიეს“ დირექტორი:*** — ყველაფერი, რაც კი „სალობიეს ტერიტორიაზე კეთდება, **დიმიტრი ალავიძის** დამსახურებაა. მთელი საქართველო დამემოწმება. ორი კაციც რომ შემოსულიყო, არ გკითხავდნენ, რისი დაგემოვნება გსურდა, თავიანთი ასორტიმენტიდან მოგართმევდნენ საუკეთესო კერძებს და ისეთი ფასს გეტყოდნენ, გადახდა არ გაგიჭირდებოდა.

**მთელ საქართველოში უნდოდათ, გაეხსნათ კვების მსგავსი ობიექტები, მაგრამ არ გაამართლა, მხოლოდ ეს „სალობიე“ იყო ის შესანიშნავი ადგილი, სადაც ხალხს მოსვლა უხაროდა.** ლობიო, მჭადი, ღვეზელი — ყველაფერი გემრიელია, ნატურალურ წვენებზე აქ კეთდებოდა უგემრიელესი ლიმონათები. ჯერ კიდევ 90-იან წლებში, როდესაც საქართველოში ყველაფერი გაჩერებული იყო, ეს „სალობიე“ მუშაობდა. უშუქობის დროს სამხედრო ნაწილისაგან გენერატორი მოვიტანეთ, ამ ნაწილის ხელმძღვანელმა **დიმიტრი ალავიძეს** თანხა არ გადაახდევინა, მაგრამ, როცა ის კაცი რუსეთში გაემგზავრა, გენერატორის ფული ბატონმა დიმიტრიმ მას იქ გაუგზავნა. მისი მსგავსი ადამიანები ძალიან ცოტანი არიან, ის არის კაცი, რომელიც უანგაროდ აკეთებს ქველმოქმედებას, სოლიდურ თანხებს დებს და მას ეს სიამოვნებას ანიჭებს. დიმიტრი ალავიძის მონდომებით გაკეთდა მტკვარზე ბორანიც. პროფესიით ინჟინერი ვარ, რა იდეაც უნდა შევთავაზო, მაშინვე გრძნობს, წარმატებული იქნება თუ არა, უნიჭიერესი ადამიანია. მადლობელი ვართ მცხეთელების, რომლებიც ყველანაირად მხარში გვიდგანან და დაუბრკოლებელი მუშაობის საშუალებას გვაძლევენ.

**შორენა შავიშვილი,** ***დირექტორის მოადგილე:*** — 22 წელია, აქ ვმუშაობ, „სალობიე“ არის ჩემი მეორე ოჯახი და ამ დიდი ოჯახის პატივისცემა, პირველ რიგში, ბატონი დიმიტრისა და შემდეგ სხვა თანამშრომლების გამო მაქვს. ჩვენს ბაბუს — **დიმიტრი ალავიძეს** — სიკეთის უანგარო მთესველს და ღირსეულ ადამიანს მინდა, საჯაროდ გულწრფელი და დიდი მადლობა გადავუხადო არსებობისთვის. თითოეული თანამშრომელი დამიდასტურებს, რომ არა მისი თავდადება და ორგანიზებული ხელმძღვანელობა, აქაურობა არ იარსებებდა. მინდა, დიდხანს იცოცხლოს და უსასრულოდ ედგეს სათავეში ხალხის საყვარელ, კოლორიტად ქცეულ მცხეთის „სალობიეს“.


შორენა შავიშვილი, დიმიტრი ალავიძე, ირინა ფოჩხუა, გუჯა ალავიძე, ჯუმბერ ტოგონიძე

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

# მინდვრის ტკიპა – ყველგან ჩასაფრებული ფარული და საშიში მტერი!

***ბოლო დროს ლისის ტბის შემოგარენში მინდვრის ტკიპებმა არაერთი ადამიანი დაკბინეს, რომლებიც საავადმყოფოში მოხვდნენ. ქართველი მეცნიერი და ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი ტკიპების მეშვეობით გავრცელებულ საშიშ დაავადებებს ასახელებს და იმ ელემენტარული წესების დაცვისკენ მოგვიწოდებს, რომელიც ამ მართლაცდა ყველგან ჩასაფრებული მავნებლებისგან დაგვიცავს:***

— ზაფხული ძალაში შედის და მოსახლეობა ქალაქგარეთ, ბუნების წიაღში დასვენებას ირჩევს. ვინც დროის გატარებას ტყეში, მდინარის ან ტბის პირას გეგმავს, ყველამ კარგად იცოდეს, რომ ყველგან ჩასაფრებულია ფარული და საშიში მტერი — **მინდვრის ტკიპა,** რომელსაც უამრავი უმძიმესი დაავადების გამომწვევი ვირუსი თუ მიკრობი გადააქვს და **არც ის არის გამორიცხული, რომ ტკიპას ნაკბენის შედეგად ადამიანი სამუდამოდ დაინვალიდდეს!**

**— ბატონო კახა, ტელევიზიით იყო გადაცემა, სადაც საუბრობდნენ, რომ ლისის ტბის შემოგარენში ხშირია ტკიპებისგან დაკბენის შემთხვევები, რის გამოც რამდენიმე ადამიანი საშიში სიმპტომებით საავადმყოფოშიც კი მოხვდა!**

— არამარტო ლისის ტბის მიდამოები, არამედ ნებისმიერი ტყე, წყალსატევი, ტბა და მდინარის ნაპირი ზაფხულში ტკიპების ბუდეა. როგორც ცნობილია, ტკიპები ძირითადად ადამიანის, ცხოველისა და ფრინველის სისხლით იკვებებიან. აქედან გამომდინარე, ზაფხულის ცხელ ამინდებში, როცა ზამთრის „შიმშილის“ შემდეგ ტკიპები სამალავიდან გამოდიან და საკბილოს ეძებენ, სწორედ წყალსატევები და, ზოგადად, მტკნარი წყლის დიდი მოცულობაა ის ადგილი, რომლის სიახლოვესაც ტკიპებს ცოცხალი ორგანიზმები, მათ შორის, ადამიანებიც ეგულებათ. რაც შეეხება ზღვის სანაპიროს, იქ, როგორც წესი, ტკიპები არ ბინადრობენ, რადგან მათ მარილიანი წყალი არ უყვართ! **შესაძლოა, დღეში ასმა ტკიპამ გიკბინოს და არაფერი დაგემართოს, მაგრამ საკმარისია, ამ ასიდან ერთი იყოს ენცეფალიტის გამომწვევი ვირუსის, ანდა ბორელიას მიკრობის გადამტანი, რომ ადამიანი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდება!**

**— მაინც რით არის საშიში ტკიპისმიერი ენცეფალიტი და ბორელიოზი?**

— როცა ტკიპა ადამიანს კბენს, კანში შეჰყავს ხორთუმი, რომელსაც ნაჭდევები აქვს და კანიდან მისი სუფთად ამოღება ძალიან ძნელია. **კბენის შემდეგ ტკიპა ხორთუმის მეშვეობით წოვს სისხლს, მაგრამ იმავე ხორთუმის მეშვეობით ადამიანის სისხლში შესაძლოა, მოხვდეს ენცეფალიტის ვირუსი, რომელიც თვითონ ტკიპას არ ვნებს, მაგრამ ადამიანისთვის ძალიან სახიფათოა.** ენცეფალიტის ვირუსი სისხლის მეშვეობით აღწევს თავის ტვინში და იწვევს უმძიმეს პათოლოგიას — **თავის ტვინის ანთებას, ანუ ენცეფალიტს!** თუ ასეთ დროს მკურნალობა დროზე არ იქნება ჩატარებული, ადამიანი შესაძლოა, დაიღუპოს ანდა სამუდამოდ დაინვალიდდეს — **დაემართოს დამბლა!** ვიდრე ვირუსული ენცეფალიტი საზიფათო ნიშნულს მიაღწევდეს, ახასიათებს ზუსტად ის სიმპტომები, რაც გაციებით მიმდინარე დაავადებებისგან ძნელად გასარჩევია. ეს ნიშნებია: თავის ტკივილი, მაღალი ტემპერატურა, ძლიერი სისუსტე, ოფლიანობა, ცხვირიდან გამონადენი, ღებინება, გულისრევა, ძლიერი ინტოქსიკაცია და ა.შ.

რაც შეეხება **ტკიპისმიერ ბორელიოზს,** რომელსაც სხვაგვარად **ლაიმის დაავადებასაც** უწოდებენ, ამ საშიშ სენს იწვევს მიკრობი **ბორელია,** რომელიც ტკიპას ორგანიზმში თავს შესანიშნავად გრძნობს. ეს დაავადება პირველად 1976 წელს აღწერა დოქტორმა **ალენ სპინმა.** ქალაქ ლაიმში, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მდებარეობს, 70-იან წლებში კატასტროფულად იმატა იმ ადამიანების რიცხვმა, რომლებსაც რევმატული ართრიტი აწუხებდათ. პარალელურად, მათ კანზე ჰქონდათ გაწითლებული უბნები — მიკროერითემები. დოქტორმა ალენ სპინმა დაადგინა, რომ კანის ერითემები თანდართული რევმატული ართრიტით იყო გამოწვეული მინდვრის ტკიპას ნაკბენის შედეგად. 1982 წელს შვეიცარიული წარმოშობის ამერიკელმა ბიოლოგმა **ვილი ბურგდორფერმა** დაადგინა, რომ ქალაქ ლაიმში ამ ყველაფრის გამომწვევი მიზეზი იყო მინდვრის ტკიპაში ჩაბუდებული მიკრობი **ბორელია.**






## კახა საბახტარიშვილი:

## თუ ტკიპამ გვიკბინა, აუცილებლად მივმართოთ მხოლოდ და მხოლოდ ინფექციონისტს, ტკიპა თერაპევტის კომპეტენცია არ არის!

**— რა გართულებებს იწვევს ბორელიოზი?**

— ტკიპას ნაკბენის ადგილზე ჯერ ჩნდება **წითელი ლაქა,** რომელიც იზრდება და შესაძლოა, 20 სანტიმეტრსაც მიაღწიოს. კბენის დროს ტკიპას ხორთუმის მეშვეობით ადამიანის კანში შეჰყავს ტკივილგამაყუჩებელი, ანუ ანესტეტიკი, რის გამოც ადამიანმა ტკიპას ნაკბენი შესაძლოა, ვერც იგრძნოს. **წითელი ლაქის გაჩენის შემდეგ ბორელიას მიკრობი 2-6 თვეში გადადის სისხლში და აზიანებს თითქმის ყველა ორგანოს, განსაკუთრებით სახსრებსა და ნერვულ სისტემას.** სახსრების დაზიანება გამოიხატება სახსრების ანთებით, ანუ ართრიტით. პირველ რიგში მუხლის სახსარი ზიანდება, შემდეგ მას შესაძლოა, მოჰყვეს კოჭის, იდაყვის, მხრის და სხვა სახსრების ანთება.

ბორელიას მიკრობმა შესაძლოა, დააზიანოს ნერვული სისტემა და გამოიწვიოს სახის ნერვის ან სხეულის სხვა ნაწილების დამბლა. **სხვათაშორის, ბორელიოზის დიაგნოზს ხშირად ზუსტად ვერ სვამენ და ადამიანს გაფანტული სკლეროზის დიაგნოზით მკურნალობენ.** ერთ ასეთ პაციენტს დღესაც ვმკურნალობ, რომელსაც მთელი ხუთი წლის განმავლობაში გაფანტული სკლეროზის საწინააღმდეგო მედიკამენტებით ჭყიპავდნენ.

**— ტკიპას ნაკბენი მხოლოდ ენცეფალიტსა და ბორელიოზს იწვევს?**

— ტკიპა უამრავი სხვა ვირუსის ან მიკრობის გადამტანი შეიძლება იყოს, მაგრამ **ტკიპისმიერი ენცეფალიტი და ბორელიოზი** მათ შორის ყველაზე საშიშია. ბორელიას მიკრობი შესაძლოა, ადამიანის ორგანიზმში წლობით დარჩეს და დააზიანოს სახსრები, ნერვული სისტემა, გული, კანი და ა.შ. ხშირია შემთხვევები, როცა ასეთი ადამიანები წლობით მკურნალობენ გულზე, ნერვულ სისტემაზე, კანზე, სახსრებზე, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ აღწევენ, რადგან დაავადების მიზეზი სულ სხვაგან არის! **ამიტომ ჩემი რჩევაა, ასეთმა ადამიანებმა აუცილებლად ჩაიტარონ სისხლის გამოკვლევა და გამორიცხონ ბორელიოზი, რომელიც შესაძლოა, 15-20 წლის წინათ ტკიპას ნაკბენის შედეგად შეეყარათ!**

**— რით იკურნება ტკიპისმიერი ბორელიოზი?**

**— ტკიპისმიერი ბორელიოზის განსაკურნებლად საუკეთესო საშუალება ტეტრაციკლინის, პენიცილინისა და ცეფლოსპორონის ჯგუფის ანტიბიოტიკებია!**

**— როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ტკიპამ არ გვიკბინოს?**

— ზაფხულში მინდორსა და ტყეში სეირნობის ან ხეტიალის დროს აუცილებლად ჩავიცვათ დახურული ტანსაცმელი ისე, რომ შარვლის ტოტები წინდებში იყო ჩატანებული! სახლში მისვლის დროს შიშველი სხეული გულდასმით დავათვალიეროთ! **თუ ტანზე ტკიპას აღმოვაჩენთ, მექანიკურად არავითარ შემთხვევაში არ მოვიშოროთ, რადგან ასეთ დროს დიდია იმის ალბათობა, რომ სხეულში ტკიპას ხორთუმი ჩაგვრჩეს.** ტკიპას ხორთუმი ფრთხილად, წრიული მოძრაობით, პინცეტით უნდა ამოვიღოთ, ხოლო ჭრილობის ადგილი დავამუშაოთ წყალბადის ზეჟანგით ან იოდით! **მოცილებული ტკიპა აუცილებლად მოვათავსოთ შუშაში და შევამოწმებინოთ ლაბორატორიაში — ხომ არ შეიცავს რომელიმე საშიშ ვირუსს ან მიკრობს!** ცნობისათვის მოგახსენებთ, რომ ტკიპისმიერი ენცეფალიტისა და ბორელიოზის გადამტანი ტკიპების რაოდენობა პოპულაციაში 10-15 პროცენტს შეადგენს, რაც საკმაოდ საშიში მაჩვენებელია.

**— რა ქნას იმ ხალხმა, რომელსაც მუდმივად ტყე-ღრეში უწევს ცხოვრება?**

**— ალპურ ზონაში, სადაც ტყე არ არის, ტკიპა ვერ მრავლდება!** რაც შეეხება თქვენ შეკითხვას, ასეთმა ადამიანებმა აუცილებლად უნდა აიცრან. სამწუხაროდ, ტკიპისმიერი ბორელიოზი არ იცრება, მაგრამ ტკიპისმიერ ენცეფალიტზე, რომელიც ბევრად უფრო ვერაგი დაავადებაა, ამის საშუალება არსებობს და აცრის შემდეგ სამი წლის განმავლობაში ადამიანი დაზღვეულია! **ტკიპა, როგორც წესი, ყოველთვის მაღლა მიცოცავს... მითია ის, რომ ტკიპა შესაძლოა, ხიდან ჩამოვარდეს და გვიკბინოს. მითია ისიც, რომ, თუ ტკიპას შევამჩნევთ, მას ზეთი უნდა დავასხათ, რის შედეგადაც ის მოგვშორდება.** ეთერზეთებმა შესაძლოა, კოღო დააფრთხოს, მაგრამ ტკიპებზე არ მოქმედებს. მითია ისიც, რომ ტკიპისმიერი ენცეფალიტი და ბორელიოზი გადამდებია. **თუ ტკიპამ გვიკბინა, აუცილებლად მივმართოთ მხოლოდ და მხოლოდ ინფექციონისტს, ტკიპა თერაპევტის კომპეტენცია არ არის!**

**— ტკიპები ქალებს უფრო ემტერებიან თუ კაცებს?**

— ქალები გამოყოფენ ფერომონებს, რომლითაც ისინი მამაკაცებს იზიდავენ. ეს გახლავთ ცხიმოვანი მჟავები, რომლებიც გარკვეულ არომატებს ქმნიან. **ტკიპები ამ ფერომონებს 4-5 მეტრიდან გრძნობენ და ქალებისკენ მიიწევენ, მაგრამ რაც გინდა, უცნაურად მოგეჩვენოთ, კაცებს უფრო კბენენ!** საქმე ის გახლავთ, რომ კაცებში ნივთიერებათა ცვლა უფრო გაძლიერებულია, ვიდრე ქალებში. ტკიპებს სწორედ ნივთიერებათა ცვლის შედეგად გამოყოფილი პროდუქტები იზიდავთ და კაცებს კბენენ. ასე რომ, მამაკაცებო, თუ ქალთან ერთად მინდორში ან ტყეში წახვალთ, დისტანცია დაიცავით — ტკიპა შესაძლოა, ქალს გამოეკიდოს, მაგრამ თქვენ გიკბინოთ! *(იცინის).*

*ესაუბრა*
**დიტო ჩუბინიძე**

## ქვირგვინოსნები



**ვატო შაქარიშვილი**
*საზოგადოებრივი მოძრაობა „აი ის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი*

პრეზიდენტის ინსტიტუტის ნაცვლად, შეგვრჩა **კიდევ ერთი უცხო ქვეყნის საელჩო** და კიდევ ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა.

„პირველი არხი“



**ხათუნა ხოფერია**
*ყოფილი პარლამენტარი*

ამერიკისთვის **უკრაინასაც და საქართველოსაც საზარბაზნე ხორცზე მეტი ფასი არა აქვს,** რას მოუტანს მეორე ფრონტი საქართველოს, ეს მათ საერთოდ არ აღელვებთ.

„პირველი არხი“



**ზურა ჯაფარიძე**
*„გირჩი — მეტი თავისუფლების“ ლიდერი*

ყოველ ჯერზე, როცა **სალომე ზურაბიშვილი** რაღაც სიმართლის მარცვალს გაისვრის, ჩნდება მღელვარება, რომ **აი, რაღაც ახლა გვეშველება,** მერე ყველა ჯერზე ეს მთავრდება ცივი შხაპით.

„პირველი არხი“



**ანდერს ფოგ რასმუსენი**
*ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი*

დიდი შეცდომა იყო, რომ **უკრაინასა და საქართველოს** არ მივეცით მაპი, განსაკუთრებით **საფრანგეთი და გერმანია** იყვნენ წინააღმდეგი, ამ შეცდომით **პუტინს** გავუგზავნეთ სიგნალი ნატოში განხეთქილებაზე.

„პირველი არხი“

# რა გათვალა ვახტანგ გორგასალმა და რა ვერ გათვალა ევროპამ?



ვახტანგ გორგასალი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი და გამორჩეულად საყვარელი მეფეა, რომელსაც, რაოდენ გასაკვირიც უნდა, იყოს, არცერთი დიდი ბრძოლა არ მოუგია. პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი სწორედ იმ მიზეზებს ასახელებს, რის გამოც ვახტანგ გორგასალი ქართველმა ერმა დავით აღმაშენებელთან და თამარ მეფესთან ერთად ყველაზე უფრო გამორჩეულ ქართველ გვირგვინოსანთა ტრიადაში შეიყვანა:

## სვიმონ მასხარაშვილი:

# ეს შედეგები გამოიღო ვახტანგ გორგასლის მიერ დარიალის კარის დაკეტვამ!

## „ვახტანგ გორგასლის შემდეგ მხოლოდ დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს ერგოთ პატივი, საქართველოს სამხედრო დროშას დარქმეოდა მათი სახელი!“

ვახტანგ გორგასლის პიროვნება დიდწილად არის მითოლოგიზებული, მაგრამ არის რამდენიმე უტყუარი ისტორიული ფაქტი, რის გამოც მან საქართველოს უდიდეს მეფეთა შორის სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი. უფრო მეტიც, **ვახტანგ გორგასლის შემდეგ მხოლოდ დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს ერგოთ პატივი, საქართველოს სამხედრო დროშას დარქმეოდა მათი სახელი.** მოგეხსენებათ, მე-12 საუკუნის მიწურულსა და მე-13 საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფო დროშას ერთხელ და სამუდამოდ ეწოდა **„გორგასლიან-დავითიან-თამარიანი“**. ამ ტრიადაში ვერ მოხვდა და ვერ ჩანაცვლდა ვერცერთი სხვა დიდი ქართველი მეფე — ვერც გიორგი ბრწყინვალე, ვერც ალექსანდრე დიდი, ვერც ლუარსაბ პირველი, ვერც სოლომონ დიდი, ვერც სვიმონ პირველი, ვერც ერეკლე მეორე და ვერც ვახტანგ მეექვსე.

**— ცნობილია, რომ ვახტანგ გორგასალს არცერთი დიდი ბრძოლა არ მოუგია. აქედან გამომდინარე, რატომ არის ის საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი და გამორჩეული მეფე?**

— ვახტანგ გორგასალმა წლებში მას ორი დიდი ომი ჰქონდა სასანიდურ სპარსეთთან და ორივეში დამარცხდა. ეს ომი ატყდა მას შემდეგ, რაც 482 წელს ვახტანგმა მოღალატე **ვარსქენ პიტიახში** სიკვდილით დასაჯა. ბოლო ომი მან სპარსელების წინააღმდეგ გადაიხადა, სავარაუდოდ, 502 ან 503 წელს, დაიჭრა და ციხე-ქალაქ უჯარმაში ჭრილობისგან გარდაიცვალა.

ვახტანგი არ ყოფილა არც მთელი საქართველოს მეფე, რადგან ბიზანტიური წყაროებით უტყუარად დასტურდება, რომ დასავლეთ საქართველოს ვახტანგ გორგასლის ეპოქაში ნიკოფსიიდან ტრაპიზონამდე მართავენ ეგრისის მეფეები — **გუბაზ პირველი** და **წათე პირველი.** ვახტანგის ხსენება არ არის „შუშანიკის წამებასა“ და 494 წლით დათარიღებულ ბოლნისის სიონის წარწერაში. ორივეგან ნახსენებია მხოლოდ **შაჰი პეროზი** და არა ვახტანგი. მაშ, **რატომ არის ვახტანგ გორგასალი უდიდესი მეფე? უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ 451 წელს ქალკედონის საეკლესიო კრების მიერ განწესებული რომის, ალექსანდრიის, იერუსალიმის, კონსტანტინოპოლიო საპატრიარქომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა სწორედ ვახტანგის მიერ გამოცხადებული ავტოკეფალიის საფუძველზე აღიარა. მე-19 საუკუნემდე „საქართველო“ იყო აბსოლუტურად საეკლესიო ტერმინი და ქართველი და ქრისტიანი გახლდათ განუყოფელი ცნებები. არსებობდა ტერმინი „საქართველოებიც“, რაც ნიშნავდა იმ ქვეყნებს — უმეტესწილად ჩრდილოეთ კავკასიის მხარეებს, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად სრულდებოდა.**



**— კიდევ რით არის ვახტანგ გორგასალი დიდი?**

— ვახტანგმა დააარსა ქალაქი **არტანუჯი,** რომლითაც „ქართველთა სამეფოს“ ჩაეყარა საფუძველი. რომისა და ბიზანტიის იმპერატორებისგან განსხვავებით, რომლებმაც გუთები, ალანები და ჰუნები ევროპაში შეუშვეს და მიწები დაუთმეს, ვახტანგ გორგასალი მიხვდა, რომ, თუ ამ ბნელ ძალას სპარსეთს დაუპირისპირებდა და კავკასიონის გადმოსასვლელებს გახსნიდა, ის მოახერხებდა სასანიდების ალაგმვას, მაგრამ საქართველო მერე ამ გუთებს, ალანებსა და ჰუნებს ვეღარ გააკონტროლებდა, როგორც რომმა ვერ გააკონტროლა ისინი. მოგეხსენებათ, 410 წელს სწორედ ვესტგოთების ლიდერმა ალარიხმა ისტორიაში პირველად აიღო რომი. ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთსა და გერმანიაში გუთებმა, ალანებმა და ჰუნებმა მოსახლეობაზე გენეტიკური დომინაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინეს, სამაგიეროდ, მოიტანეს მრავალსაუკუნოვანი სიბნელე და ნგრევა. ამის საპირისპიროდ გორგასალმა საკუთარი ტახტიც კი საფრთხის ქვეშ დააყენა და სპარსელებს ეს ველურები არ შეუსია, რადგან გააკეთა ცივილიზებული არჩევანი. ალანების, გუთებისა და ჰუნების წყალობით, მე-7-8 საუკუნეებში საფრანგეთში სახლის გადახურვა არ იცოდნენ და კარლოს დიდმა აახენში თავისი სასახლე ხისგან ააშენა. როცა ჩვენ ატენის სიონში ქანდაკებებს ვდგამდით, ევროპაში ქანდაკების ოსტატი არ არსებობდა. ვახტანგ გორგასლის ბრძნული და შორსმჭვრეტელური პოლიტიკის წყალობით, საქართველო კულტურულ ოაზისად იქცა, სადაც მე-7 საუკუნეში გოთების ეპისკოპოსი იოანე მცხეთაში აკურთხეს! გოთიკის მთავარი პრინციპები ტამპლიერებმა სწორედ ქართული არქიტექტურიდან წაიღეს. ევროპა მხოლოდ რენესანსის ხანაში მიხვდა, რომ ქანდაკების დადგმა ცოდვა არ იყო მაშინ, როცა ჩვენ ეს მე-7-8 საუკუნეებში ვიცოდით. აშოტ დიდი კურაპალატის ქანდაკება გვაქვს, ბოლოს და ბოლოს... აი, ეს შედეგები გამოიღო ვახტანგ გორგასლის მიერ დარიალის კარის დაკეტვამ და ალან-გუთური სიბნელისგან საქართველოს დაცვამ.

**— ბაგრატიონების აღზევებაც ვახტანგ გორგასლის ქალიშვილის ელენეს სახელთან არის დაკავშირებული...**

— 523-572 წლებში აღმოსავლეთ საქართველო, სამწუხაროდ, ირანის პროვინციად იქცა, რომელსაც მარზპანები მართავდნენ. მარზპანები, როგორც წესი, ირანის შაჰების უახლოესი ნათესავები იყვნენ. ერთ-ერთი მარზპანი საქართველოში გახლდათ **ფირან გუშნასპი** — სასანიდური სპარსეთის უმაღლესი წრის წარმომადგენელი. გორგასალმა დარიალის ჩაკეტვით იმდენად გადაარჩინა და დაიცვა თვითმყოფადი ქართული ქრისტიანული კულტურა, რომ გუშნასპი თბილისელმა ქართველებმა დაარწმუნეს, მონათლულიყო. უმაღლესი ირანელი მოხელე საქართველოში ფირან გუშნასპი თბილისში არათუ მოინათლა, არამედ მთელი ორი წელი ემბაზში იჯდა, ჩემი წინაპრების ცოდვები უნდა გამოვისყიდოო! სწორედ ფირან გუშნასპის უახლოესი კაცი იყო ჩვენი უდიდესი წმინდანი, ეროვნებით სპარსი **ევსტათი მცხეთელი.** აი, სწორედ ამიტომ არის ვახტანგ გორგასალი უდიდესი ქართველი მეფე!

— მე-11 საუკუნის საქართველოში ძალიან პოპულარული იყო **„თქმულება ბაჰრამ ბაჰლაუნდზე“,** რომელიც ჩვენს ქვეყანაში სპარსეთიდან გავრცელდა. ბაჰლაუნდი იყო პართიელთა ლეგენდარული წინამძღოლი. ივანე ჯავახიშვილმა და ნიკო მარმა დაამტკიცეს, რომ **ჯუანშერის** თხზულებაში **„ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა“** ძალიან ბევრი რამ არის აღებული სწორედ ბაჰრამ ბაჰლაუნდის თქმულებიდან. მაგალითად, ეს ეხება გორგასლის ნადირობის, მილიონიანი სპარსული არმიის დამარცხებისა და ოს გოლიათებთან შებრძოლების სცენებს. მილიონიანი არმია მაშინ მსოფლიოში არავის ჰყავდა, ეს ზღაპარია... ზღაპარია ისიც, რომ გორგასალს ეხურა ოქროს მუზარადი. **ოქროს მუზარადი, რაც გინდა, მსუბუქი იყოს, ბრძოლაში გამოუსადეგარია, რადგან ოქრო ცხრამეტჯერ უფრო მძიმეა, ვიდრე რკინა.** ოქროს მუზარადი, სულ მცირე, 30 კილოგრამზე მეტი მაინც იქნებოდა და ასეთი სიმძიმის თავზე დადგმა და ომში შესვლა აბსურდია. რაც შეეხება იმას, რომ გორგასლის მუზარადზე მგლის თავი იყო გამოსახული, ეს ნაღდია. ამდენად, **ოსები ნამდვილად გადარეკა, დარიალის კარი ნამდვილად ჩაკეტა და პეროზ მეფეს, ირანის შაჰს, ნამდვილად ახლდა ინდოეთში ლაშქრობის დროს.** გარდა ამისა, უტყუარი ფაქტია ისიც, რომ ვახტანგ გორგასალი იყო გოლიათური აღნაგობის, რასაც მე-9 საუკუნეში მოღვაწე **არსენ საფარელიც** ადასტურებს. გეთანხმებით, რომ არცერთი დიდი ომი ვახტანგ გორგასალს არ მოუგია, მაგრამ საუკუნეები რომ გავიდა, ჩვენს ერს გაუჩნდა ვახტანგ გორგასლის განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით შემკობის სურვილი.

**— რატომ?**

— ბიზანტიასთან ვახტანგის ომი არ დასტურდება, რაც შეეხება სპარსელებს, 483 და 484 **ლისა და ანტიოქიის პატრიარქების გვერდით ვახტანგ გორგასალს შემოაქვს ქართლის კათალიკოსის ტიტული, რომელსაც აძლევს თავის უახლოეს მეგობარსა და თანამებრძოლს პეტრეს.** პეტრეს შემდეგ კათალიკოსი ხდება **სამოელი,** რომელიც „შუშანიკის წამებაშია“ მოხსენიებული. ვახტანგის მეცადინეობითა და რუდუნებით ქართლში წირვა-ლოცვა მკვიდრდება ქართულ ენაზე და პეტრე იბერისა და მითრიდატე ლაზის მიერ ითარგმნება საეკლესიო ლიტერატურა. ვახტანგი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის განმტკიცების მიზნით, მცხეთას აცხადებს საეკლესიო დედაქალაქად და „მეორე იერუსალიმად“. მე-20 საუკუნის 90-ან წლებში მსოფ-

ესაუბრა
**დიტო ჩუბინიძე**

## კვირგვინოსნები

**ედიშერ გვენეტაძე**
*ექსპერტი*



პარტიული დროშის მქაჩავი **ჩომახიძე** ამ განია ომის დროს **რუსეთის წყალბურთელთა გუნდის მწვრთნელად რომ დაინიშნა,** არის თუ არა ეს იმის დასტური, რომ **ნაცმოძრაობისათვის სულერთია უკრაინა, იქ დაღუპული ხალხი და მათი ბედი?**

„იმედინიუსი“

**ლევან ქოტორლიშვილი**
*გერმანიაში მოღვაწე ქართველი ფიზიკოსი, პროფესორი*



თუ ბიძინა ივანიშვილს დაასანქცირებენ, პირველი ადამიანი გახდება, რომელსაც **ევროკავშირი საქართველოს ერთგულებისთვის დაუწესებს სანქციებს.** ქართველისთვის დღეს დასავლეთი **ღირებულებების ნაცვლად ასოცირდება ცინიზმთან, ეგოიზმთან** და გეოპოლიტიკურ ინტერესებთან.

„იმედინიუსი“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



**ბიძინასთან** დაპირისპირების გამწვავება იწვევს **ხელისუფლების გარშემო კონსოლიდაციის ზრდას** და არა მის ჩამოშლას.

„იმედინიუსი“

**დავით ქართველიშვილი**
*ექსპერტი*



**სალომე ზურაბიშვილი,** რომელიც **ბიძინა ივანიშვილმა** გახადა ჯერ დეპუტატი და შემდეგ — პრეზიდენტი, **30 ვერცხლად გაიყიდა** და ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ დაუპირისპირდა.

„იმედინიუსი“

**თორნიკე რიჟვაძე**
*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარე*



**ბიძინა ივანიშვილი** ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, გაბედული და პატრიოტი ქართველი გახლავთ, ვისაც ოდესმე შევხვედრივარ. **სანქციებით და ფინანსური ზეწოლით ვერავინ დაგვაშანტაჟებს.**

„„ინტერპრესნიუსი““

***ცნობილ ფოტოხელოვანთან იური მეჩითოვთან საუბრებს ვიწყებთ 1981 წლის 15 მაისს მთაწმინდაზე, ზაალ ქიქოძის (ყოფილი თხინვალის) ქუჩაზე, გადაღებული ფოტოს ისტორიით, სადაც აღბეჭდილია მიწიდან ამხტარი და ჰაერში აფრენილი დიდი რეჟისორი სერგო ფარაჯანოვი. იგი სწორედ ამ ქუჩის სიახლოვეს, კოტე მესხის შესახვევის №10-ში ცხოვრობდა, რომელსაც გასულ კვირას, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, სერგო ფარაჯანოვის სახელი მიენიჭა.***



იური მეჩითოვის „გაფრენა მთაწმინდაზე". ქეთევან ხამიტაშვილის ფოტო. 2022 წლის 16 ივნისი



სერგო ფარაჯანოვის „გაფრენა მთაწმინდაზე". იური მეჩითოვის ფოტო. 1981 წლის 15 მაისი

## იური მეჩითოვი:

# სერგო ფარაჯანოვის ფოტო „გაფრენა მთაწმინდაზე" თბილისის სიმბოლოდ მიმაჩნია!

*იური მეჩითოვს მაშინ შევხვდი, როდესაც თბილისის საკრებულოს წევრები კოტე მესხის ქუჩის შესახვევში არსებულ შენობებზე ძველ აბრებს ხსნიდნენ და ახალს ათავსებდნენ წარწერით —* ***სერგო ფარაჯანოვის ქუჩა.*** *ბუმბერაზი რეჟისორი ამ პატარა ქუჩის ბოლოს, ეზოიანი სახლის მესამე სართულზე ცხოვრობდა. „ამიერიდან თბილისში უკვე არსებობს სერგო ფარაჯანოვის ქუჩა და, ალბათ, კოტე მესხის სულს არ ეწყინება, ამ შესახვევს ფარაჯანოვის სახელი რომ უწოდეს. კოტე მესხის ქუჩა ისედაც არსებობს და ის ამ ქუჩის პარალელურია, სერგოს სახლს იქიდანაც აქვს შესასვლელი", —* ***ამბობს იური მეჩითოვი და ერთად ვეშვებით ზაალ ქიქოძის ქუჩაზე იმ ადგილის სანახავად, სადაც ამ 41 წლის წინათ თავისი უფროსი მეგობარი, დიდი ხელოვანი, ჰაერში აფრენილი სერგო ფარაჯანოვი გადაიღო:***

— 1981 წლის 15 მაისს დილის 11 საათი იქნებოდა, როცა სერგოსთან მივედი. მასთან სტუმრად იყო „ლენფილმის" ორი თანამშრომელი ქალბატონი, ე. წ. ფერის დამყენებლები, რომლებიც მის ფილმზე **„საიათნოვაზე"** მუშაობდნენ. სერგომ ფოტოს გადაღება მოისურვა, ყველა ერთად სახლიდან გამოვედით, არსენას ქუჩას დავუყევით და თხინვალის — ახლანდელი ზაალ ქიქოძის ქუჩაზე შევუხვიეთ.

**— რატომ ამ ქუჩაზე?**

— ამ ქუჩაზე ფოტოს გადაღებისთვის სერგო დიდხანს ფიქრობდა. მითხრა — აქედან მთაწმინდისკენ ყველაზე კარგი ხედია, კარგი კადრი გამოვაო. მართლაც შესანიშნავი ხედი იყო, თბილისური ქუჩა, ძველი შუშაბანდი, უკან მთაწმინდა და მამადავითის ეკლესია. სერგომ იმ ადგილზე დამაყენა, საიდანაც კადრი უნდა გადამეღო. შემდეგ ერთმანეთის მოშორებით ჩვენი თანმხლები ლენინგრადელი ქალბატონები დააყენა და თავისი ადგილიც მონახა. დავიწყე გადაღება, უცებ საოცარი სიმსუბუქით ჰაერში ახტა, ერთხელ, მეორედ, მესამედ — ოთხი დუბლი გადავიღე, მესამე დუბლი ყველაზე საუკეთესო აღმოჩნდა.



სერგო ფარაჯანოვის ძეგლი თბილისში, შარდენის ქუჩაზე. მოქანდაკე ვაჟა მიქაბერიძე. ბრინჯაო. 2004 წელი.

**— ფარაჯანოვს ფოტო მოეწონა?**

— მოეწონა, საუკუნის კადრი უწოდა, მე კი — **„შავი ყვავის აფრენა".** ფარაჯანოვს 1978 წლის ნოემბრიდან ვიცნობდი, ყოველთვის მეუბნებოდა — გადამიღე, შორს წახვალო. დიდი მადლობა მას, რომ დღესაც მიადვილებს ცხოვრებას! მისი წყალობით, ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი, სამუშაო არ მელევა. ქიქოძის ქუჩაზე გადაღებული ფოტო მართლაც შედევრი გამოვიდა, მსოფლიოში გახდა ცნობილი და ამ ფოტოდან შეიქმნა ფარაჯანოვის ქანდაკება, რომელიც თბილისში დგას.

**— რომელი აპარატით გადაიღეთ?**

— ყველაფერი შემთხვევით მოხდა. ვილაცისგან ნათხოვარი მქონდა 37-მილიმეტრიანი, ფართოკუთხიანი ფოტოაპარატი **„ზენიტი".** აპარატს ასეთი მაჩვენებლები რომ არ ჰქონოდა, მთაწმინდას ვერ ჩავტევდი. მიუხედავად იმისა, რომ გადაღების დროს კადრის მხოლოდ ნაწილს ვხედავდი, კომპოზიციურად მაინც სწორი გათვლა გამოვიდა. სერგო მაშინ 57 წლის იყო, მე — 31-ის. ზაალ ქიქოძის ქუჩაზე დღეს უკვე ბევრი რამ შეიცვალა, აღარც ის შუშაბანდია, აღარც მთაწმინდა მოჩანს. ქალაქის ცხოვრებაშიც ბევრ რამეს დაეკარგა ფასი. აღარ იგრძნობა თბილისის სული, ისეთი გაფრენა, როგორიც ამ ფოტოზეა აღბეჭდილი... სწორედ „გაფრენა მთაწმინდაზე" თბილისის სიმბოლოდ მიმაჩნია, ხოლო ისეთი არტისტული ადამიანი, როგორიც სერგო ფარაჯანოვი იყო, მხოლოდ თბილისში შეიძლებოდა, დაბადებულიყო! ერთი რამ აღმოვაჩინე — ვინც კი სერგო ფარაჯანოვს ვიცნობდით, ისე შეგვიცვალა ცნობიერება, რომ ყველა ერთმანეთთან უცნაური ძაფებით ვართ დაკავშირებული.

**— ბოლოს როდის შეხვდით სერგო ფარაჯანოვს?**

— ბოლო შეხვედრა მასთან

**„ქიქოძის ქუჩაზე გადაღებული ფოტო მართლაც შედევრი გამოვიდა, მსოფლიოში გახდა ცნობილი და ამ ფოტოდან შეიქმნა ფარაჯანოვის ქანდაკებაც, რომელიც თბილისში დგას!**

## ქვირგვინოსნები

**ნელი ბერაია**
*მხატვარი*



გარეგნობის გარდა **ოდრი ჰეპბერნთან** საერთო კიდევ ის მქონდა, რომ მასავით მეც **სამჯერ გავთხოვდი, სამჯერვე სიყვარულით. რომანტიკული ვიყავი, უსიყვარულოდ არ გავთხოვდებოდი. მინდა, ჩემი სახელობის მუზეუმი არსებობდეს.** თუ ვინმე ითავებს ამ საქმეს, ჩემს ნამუშევრებს გადავცემ. **სანამ ცოცხალი ვარ, მეც იქ ვიცხოვრებ,** უფლებამოსილება მისი იყოს და სურათებიც მის საკუთარებაში გადავიდეს.

„სარკე"

**იულონ გაგოშიძე**
*არქეოლოგი, მეცნიერი*



ხანდახან მგონია, რომ **ცოლიანი დავიბადე,** რადგან ძალიან ადრე შევირთე ცოლი. 21 წლის ვიყავი. **ქალს უნდა შეეკითხო აბსოლუტურად ყველაფერი** და, როგორც აღმოსავლელი ბრძენი ადამიანები ამბობენ, **საწინააღმდეგო უნდა გააკეთო,** ხანდახან მართლა ასე ვიქცევი.

„სარკე"

**ირაკლი კავსაძე**
*მსახიობი, კახის კავსაძის ვაჟი*



**კახის** ეწყინა, როცა გაიგო, რომ შვილს **ბელა** არ დავარქვი.

„სარკე"

**ამიკო ჩოხარაძე**
*იუმორისტი, სცენარისტი*



დედამიწაზე **თავისუფლება არ გამოდის,** სულ ვიღაცაზე ან რაღაცაზე ხარ დამოკიდებული.

„თბილისელები"

**ბაბი კირკიტაძე**
*მომღერალი*



სოფელში რომ ჩავდიოდით, **ყველა შვილიშვილს გვქონდა ჩვენი სიმაღლის შესაბამისი პატარა თოხი,** დაგვაყენებდა ბაბუა ყანაში და ერთი მწკრივის გათოხნა ათი ლარი ღირდა.

„თბილისელები"

იყო ძალიან სევდიანი — **1990 წლის 15 მარტს.** შემდეგ ერევანში ვინახულე 18 აპრილს, ძალიან ცუდად იყო, საშინელი ტკივილები ჰქონდა...

გეტყვით სიახლეს — **მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე მოაწყონ სერგო ფარაჯანოვის მუზეუმი, სადაც იქნება ბიბლიოთეკა, საგამოფენო დარბაზი, მოეწყობა ხელოვნების ცენტრი. სხვათაშორის, ჩემი სტუდიაც აქ განთავსდება.**

**ბოლოთქმა**

მე და იური მეჩითოვი სერგო ფარაჯანოვის ქუჩიდან, არსენას ქუჩის გავლით, ჩავდივართ ზაალ ქიქოძის ქუჩაზე და მისივე ფოტოაპარატით — ფარაჯანოვისეული ფრენის ვარიანტით, 41 წლის შემდეგ, ჰაერში ამხტარს ფოტოს ვუღებ. არ ვიცი, ცნობილი ფოტოხელოვანი რას დაარქმევს შემდეგ ამ ფოტოს და როგორი იქნება მისი ისტორია ...

*ესაუბრა* ***ქეთევან ხამიცაშვილი***




**სერგო ფარაჯანოვის მეზობელი გივი ამაყობს, რომ ამიერიდან დიდი რეჟისორის ქუჩაზე იცხოვრებს**

# სერგო ფარაჯანოვი თბილისში დაბრუნდა: მთაწმინდაზე პატარა ქუჩას დიდი რეჟისორის სახელი მიენიჭა!




## ქვირგვინოსნები

**დავით ნარმანია**
*ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე*



ამ გადმოსახედიდან, **გაზსა და დენზე ტარიფების ზრდის საფუძველი არ არსებობს!**

„პირველი არხი"

**დიმიტრი ნადირაშვილი**
*ფსიქოლოგი*



ჩვენი საზოგადოება იოლად ხდება **სასტიკი ნაციონალების, ან უსახო მმართველი ძალის, ან უსუსური და გონებაჩლუნგი ბავშვის მსგავსი ოპოზიციის** მხარდამჭერი.

„თბილისელები"

**ივანე ჩხაიძე**
*„იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს" სამედიცინო დირექტორი*



2020-2021 წელს საქართველოში, როგორც ბავშვებში, ისე მოზრდილებში **გრიპის 2 შემთხვევა იყო,** წელს მარტო იაშვილის კლინიკაში, 1 იანვრიდან 1 ივნისამდე, **გრიპის 44 შემთხვევა გვაქვს** დადასტურებული.

„ინტერპრესნიუსი"





# რატომ ემართება ჯანმრთელ ადამიანსაც კი ფეხის კრუნჩხვები და როგორ დავაღწიოთ თავი მწვავე ტკივილს 10 წამში

**თითოეულ ადამიანს, თვით ჯანმრთელსაც კი და ზომიერად ზარმაცს, სიცოცხლეში ერთხელ მაინც გაკავებია ფეხი კრუნჩხვებისგან, თანაც ეს ხდება მოულოდნელად. ტკივილი ისეთი მწვავე და ძლიერია, თითქოს კუნთი დაძაბულობისგან სკდება. კრუნჩხვები ზოგჯერ იწყება ღამით, ძილში და რამდენიმე უსიამოვნო წამს განგვაცდევინებს ხოლმე. რა არის ამის მიზეზი და რით უნდა ვუმკურნალოთ?**

## ფეხის კრუნჩხვები

***კრუნჩხვები, მათ შორის, ფეხებშიც — ეს არის კუნთების უნებლიე შეკუმშვა, რომელსაც, როგორც წესი, ახლავს მწვავე ტკივილი. თანაც, სპაზმები განსხვავდება გამოვლენის ტიპის მიხედვით და შეიძლება განვითარდეს არამხოლოდ ფეხებში.***

ყველაზე მძიმე და სიცოცხლისთვის სახიფათოა, როცა იკუმშება, პრაქტიკულად, ყველა კუნთი, ამას გენერალიზებულ კრუნჩხვას უწოდებენ და ასეთ შემთხვევაში აუცილებელია სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

ფეხებში კრუნჩხვების ყველაზე გავრცელებული მიზეზი სისხლის ბიოქიმიური და ელექტროლიტური შემადგენლობის დარღვევაა. **დისბალანსი შეიძლება წარმოიქმნას ორგანიზმში კალციუმის, მაგნიუმისა და კალიუმის,** აგრეთვე D ვიტამინის ნაკლებობით, ყველა ეს ნივთიერება ხელს უწყობს კუნთების აქტივობისა და ნერვული იმპულსების მართვას. **რატომ ვკარგავთ აუცილებელ მიკროელემენტებს?**

ზოგიერთი პრეპარატის მიღებამ, მაგალითად, გულმარვის სამკურნალო წამლების, შეიძლება, ხელი შეუშალოს **მაგნიუმისა** და **კალციუმის** ათვისებას, შარდმდენებმა კი — **კალიუმისა** და **მაგნიუმის.**

მაგნიუმისა და კალციუმის ნაკლებობა, როგორც წესი, ვითარდება **ორსულობის პერიოდში,** როცა მომავალ დედას მიკროელემენტები ორჯერ მეტი რაოდენობის სჭირდება. **პროტეინების დიდი რაოდენობით მიღებამაც** შეიძლება გამოიწვიოს კალციუმის ნაკლებობა.

**ოფლის ძლიერად გამოყოფისას** ორგანიზმი კარგავს კალიუმს, ამიტომ ადამიანს კრუნჩხვები უფრო ხშირად ცხელ ამინდში ან მაღალი ინტენსიურობის სპორტული სავარჯიშოების შესრულებისას ემართებათ.

D ვიტამინის დეფიციტს იწვევს მზის სხივების ნაკლებობა, რაც კალციუმის ცუდად ათვისების წინაპირობაა.

სხვა მიზეზებს შორის, რომლებიც იწვევს ფეხის კრუნჩხვებს, შეიძლება გამოიყოს:

- ვენების ვარიკოზული გაფართოება;
- სისხლის მიმოქცევის დარღვევა ქვედა კიდურებში;
- ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები;
- შაქრიანი დიაბეტი;
- ფეხის ტრავმები და კუნთის დაზიანებები;
- მეტისმეტი ფიზიკური დატვირთვა.

**სასწრაფო დახმარება ფეხის კრუნჩხვების დროს:** ზოგიერთი გრძნობს კრუნჩხვების დაწყებას და, თუ თქვენ ასეთ ადამიანებს განეკუთვნებით, სწრაფად მოადუნეთ ფეხი. **თუკი სპაზმები მაინც დაიწყება, ფეხის თითები წვივისკენ გადახარეთ, შემდეგ მოადუნეთ და კვლავ გაიმეორეთ. თუ კრუნჩხვები არ შეწყდა, ადექით და გაიარ-გამოიარეთ, სასურველია, იყოთ ფეხშიშველი.**

კრუნჩხვების მოხსნაში დაგეხმარებათ მსუბუქი მასაჟი და გამახურებელი მალამო. თუ სპაზმებმა მაინც არ გაიარა, უჩქმიტეთ კუნთს ან იჩხვლიტეთ ნემსი. მას შემდეგ, რაც კრუნჩხვები გაივლის, ცოტა ხნით უნდა დაწვეთ მაღლა აწეული ფეხებით, რათა სპაზმები ხელახლა არ დაიწყოს.

**თუ სიარულისას დაგეწყოთ კრუნჩხვები, გამოიყენეთ უბრალო ხერხი — ფეხის თითები გადახარეთ წვივისკენ და ასე გააჩერეთ 10 წამის განმავლობაში.**




## პროფილაქტიკა და მკურნალობა

ფეხებში კრუნჩხვების განვითარების თავიდან აცილება შეიძლება კალციუმით, მაგნიუმით, კალიუმითა და D ვიტამინით მდიდარი საკვების მიღებით.

**მაგნიუმით** მდიდარია **კამა, ოხრახუში, მწვანე ხახვი, ზღვის კომბოსტო, ლობიო, ფინიკი, ლეღვი, შავი ქლიავი.**

**კალციუმი** ბევრია **რძეში, ხაჭოში, ყველში,** აგრეთვე, ყველანაირ **კომბოსტოში.** D ვიტამინით მდიდარია **ვირთევზას ღვიძლი, კარაქი, კვერცხის გული.**

**სწორად შევარჩიოთ ფეხსაცმელი.** ჩაიცვით ისეთი ფეხსაცმელი, რომელსაც არ ექნება 4 სანტიმეტრზე მაღალი ქუსლი და არ მოგიჭერთ.

ფეხების თვითმასაჟი რთული არ არის. დაჯექით მოხერხებულად. ფეხები ოდნავ მოხარეთ მუხლებში. ხელის მოძრაობა მიმართული უნდა იყოს პერიფერიიდან ცენტრისკენ. თავდაპირველად გააკეთეთ რამდენიმე ასეთი მოძრაობა, შემდეგ ხელი დაირტყით იმ ადგილებში, რომლებიც გიკავდებათ ხოლმე.







# მიხეილ ცაგარელი:
# ზოდიაქოს ყველაზე საიმედო ოჯახური წყვილები

*— რა მოსწონს ენაწყლიან ტყუპს, რისი უნარი შესწევს გონიერ სასწორს და რისი მაგალითია მათი იდეალური ურთიერთობა? რატომ თვლიან გონებას პარტნიორის ყველაზე სექსუალურ ნაწილად? ერთმანეთი რის გამო უყვარდებათ, რა არაჩვეულებრივ, იშვიათ შემთხვევასთან გვაქვს საქმე და რა არის ამ ერთგული და ხანგრძლივი კავშირის კიდევ ერთი მაჩვენებელი? ლომისა და მშვილდოსნის წყვილი რატომ არის ესოდენ კაშკაშა და მხიარული, ხოლო მათი კავშირი ზოდიაქოს ნიშანთა შორის ყველაზე ცხელი და ვნებიანი? ერთურთს როგორ ეხმარებიან, მათი ბედნიერი თანაცხოვრების შანსს რა ზრდის და იმედს და სურვილს რა უძლიერებთ? კუროსა და თხის რქას რომელი საფუძვლიანი და საიმედო ძალა აერთიანებთ? თხის რქა მუდამ რით არის დაკავებული და რას ახსენებს მას პერიოდულად კომფორტის მოყვარული კურო? რა არის სწორედ მათზე ნათქვამი და რატომ ყალიბდება მათ შორის ისეთი ძლიერი ქიმია, როგორიც სხვა წყვილებს შორის არ შეიმჩნევა? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*



**— განვაგრძოთ საუბარი, მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილი რვა ყველაზე საიმედო ოჯახური წყვილის შესახებ. ამგვარად, რა განაპირობებს მათი თანაცხოვრებისას ძლიერ ურთიერთმიზიდულობას, ჰარმონიასა და ბედნიერებას?**

**3.** **ტყუპი და სასწორი. ორივე ეს ნიშანი ჰაერის სტიქიას მიეკუთვნება, რითიც აიხსნება კიდეც მათი ინტელექტუალური მოთხოვნილებანი და მუდმივად ლაპარაკის სურვილი.** ნიშანდობლივია, რომ **ენაწყლიან ტყუპს** მოსწონს გარშემო მყოფთათვის გამძლეობაზე ერთგვარი გამოცდის ჩატარება, ამიტომ ცდილობს, კამათი უმიზეზოდ დაიწყოს, კონფლიქტის პროვოცირება მოახდინოს და ა.შ. ამგვარ საქციელს დიდხანს ბევრი ჩვენგანი ვერ გაუძლებთ. თუმცა, **გონიერ სასწორს** დიპლომატიური უნარის მეოხებით ძალუძს ყველაზე უხერხული და დაძაბული სიტუაციებიც სამშვიდობო საზღვრებში მოაქციოს და გაანეიტრალოს. ორივე ეს ნიშანი მეტად მობილურია, ამიტომ მუდამ ცდილობენ, ახალ-ახალი ინფორმაცია მიიღონ და ერთმანეთს გაუზიარონ, რათა ინტერესი გააღვივონ, ცოდნის დაგროვების სურვილი გაზარდონ და ახალი მიზნების მიღწევის სტიმულირება მოახდინონ. **ტყუპსა და სასწორს შორის იდეალური ურთიერთობა გახლავთ ძლიერი ინტელექტუალური კავშირის საუკეთესო მაგალითი. ნიშანდობლივია, რომ მათი აზრით პარტნიორის ყველაზე სექსუალური ნაწილი გონებაა, ამიტომ გონებრივი თამაშები ყველაზე მეტად აღვივებს ერთმანეთისადმი ინტერესს, სურვილებსა და ვნებებს.** ამ ორ ნიშანს ერთმანეთი უყვარდებათ არა გარეგნობის (თუმცა, ორივე საკმაოდ მომხიბვლელია) ან ნატიფი აღნაგობის გამო, არამედ იმ შეუდარებელი ქარიზმისა და იუმორის გამო, რომელიც მათთვის ესოდენს აუცილებელი და დასაფასებელია. ამასთან ერთად, **ეს სწორედ ის არაჩვეულებრივი და იშვიათი შემთხვევაა, როდესაც სასიყვარულო ურთიერთობა ეფუძნება ძლიერ მეგობრობასა და ურთიერთგაგებას და როდესაც შესაძლებელია, პარტნიორს გულახდილად ესაუბრო, არაფერი დაუმალო, გულწრფელად გაანდო საიდუმლოებები, განცდები თუ ოცნებები.** ამგვარად, უზარმაზარი ნდობა ამ ერთგული და ხანგრძლივი კავშირის კიდევ ერთი გამორჩეული მაჩვენებელია.

**4.** **მშვილდოსანი და ლომი. ამ ორი ცეცხლოვანი ზოდიაქოს ნიშნის წარმომადგენელთა შორის ყველაზე ცხელი და ვნებიანი კავშირი ვითარდება. ამ ურთიერთობის ხანგრძლივობის საფუძველს ვნება წარმოადგენს. ორივე ნიშანმა იცის, ცხოვრებით როგორ დატკბეს და შეიყვაროს ის, ვინც სამყაროს ანალოგიურად შეიგრძნობს.** მათ მშვენივრად უწყით, თუ რისი მიღება სურთ ცხოვრებისგან და ნებისმიერი მიზნისა და ოცნების მიღწევაში ერთმანეთს ეხმარებიან. **მშვილდოსანი** ცდილობს, ლომის წინსვლის სტიმული მისი შთაგონების წყარო გახდეს, რათა მან მუდმივად ახალ-ახალი სიმაღლეები დაიპყროს. **თავად მშვილდოსანი კი ლომის** ფართო ნატურის დახმარებით უფრო პოზიტიურად იწყებს სამყაროს აღქმას. ნიშანდობლივია ისიც, რომ **ისინი პარტნიორის მოთხოვნილებებს სიღრმისეულად გრძნობენ, რამეთუ ორივე ცეცხლის სტიქიის წარმომადგენელია. ეს ძალზე კაშკაშა და მხიარული წყვილია, რომლის გვერდით არავინ მოიწყენს.** მათი სასიყვარულო ურთიერთობა ირგვლივ მყოფ ყველაზე უგრძნობ და ცინიკურ ადამიანებსაც კი ხიბლავთ და შთააგონებთ. **ამ წყვილის ბედნიერი თანაცხოვრების შანსი დიდია იმის გამოც, რომ არცერთს არ ახასიათებს წყენის დამახსოვრება და გააჩნია პატიების უნარი.** გარდა ამისა, **ლომსა და მშვილდოსანს** ყოფიერ ცხოვრებაში ერთმანეთთან შეგუება არ უჭირთ, რადგან თითქმის ერთნაირი გემოვნებითა და პრინციპებით ხელმძღვანელობენ, რაც კიდევ უფრო უძლიერებთ ბედნიერი და ხანგრძლივი თანაცხოვრების იმედსა და სურვილს.

**5.** **თხის რქა და კურო. ამ ზოდიაქოს ნიშნის წარმომადგენლებს აერთიანებთ საფუძვლიანი და საიმედო ძალა, რომელსაც საერთო სტიქია — მიწა უბოძებს. სწორედ მათზეა ნათქვამი „მონათესავე სულებიო“. თხის რქის** გონება მუდმივად დაკავებულია სხვადასხვა გეგმით, განრიგით, კორპორატიული მიზნით და იმ ადამიანს აფასებს, ვინც მის კარიერულ ამბიციებს შეაფასებს და გაუგებს. **კურო** კი პერფექციონისტია, მშვიდად და შეუფერხებლად მოქმედებს, კომფორტი უყვარს და პერიოდულად ახსენებს **თხის რქას,** რომ აუცილებელია დასვენება. **ამ ორ ნიშანს შორის ისეთი ძლიერი ქიმია ყალიბდება, როგორიც არცერთ სხვა ასტროლოგიურ წყვილში არ შეიმჩნევა.** ნიშანდობლივია ისიც, რომ **არც კურო და არც თხის რქა** ზედმეტი რომანტიკულობით არ გამოირჩევა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანს სასიამოვნო სიურპრიზები და მოფერება მოაკლდება. ამ წყვილის ორივე წარმომადგენელი საკმაოდ პრაქტიკული, გონიერი, დიდი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანია, ერთმანეთის იდეალებს იზიარებს და საერთო მიზნებს ისახავს, რომლისკენაც ერთად ისწრაფვიან და საჭიროების შემთხვევაში ერთურთს ეხმარებიან. **კუროსა და თხის რქას** შორის იმდენად ძლიერი გრძნობა ყალიბდება, რომ ბევრისათვის შესაძლოა, შესაშურიც კი გახდეს. **ამ ორ ადამიანს სიცოცხლის ბოლომდე ერთმანეთი სიბერემდე უყვართ და მუდამ გვერდში უდგანან.**

*რუბრიკას უძღვება*
*მარინა მერკვილაძე*

## 20 – 26 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებისთვის გავლენიან ადამიანებთან დაახლოება და ახალი ჩანაფიქრების ხორცშესხმაა საჭირო. საკამათო საკითხებში გარკვევა, უთანხმოების მოგვარება და წარმატების მიღწევა გაგიადვილდებათ. ენერგობალანსი დაქვეითებულია, რაც ტრავმის ალბათობას ზრდის. ადამიანებთან ურთიერთობისას გარისკვას მოერიდეთ, ძველი სასიყვარულო პრობლემა თავს შეგახსენებთ, რაც ამჟამინდელი სასიყვარულო კავშირის პრობლემის მიზეზი გახდება.**

**კურო** (21.04-20.05)
**ფანტაზიის უნარი და გონებრივი შესაძლებლობები გაგიძლიერდებათ. შესაძლოა, ახალი იდეა დიდი გამოგონების საფუძველი გახდეს. საზოგადოებრივ ცვლილებებს ინტუიციურად იგრძნობთ. ინფორმაციას იოლად აითვისებთ, მაგრამ მის გამოსაყენებლად მოქნილი აზროვნება და ქცევა დაგჭირდებათ. პროვოკაცია რომ აირიდოთ, კრიტიკისა და წინააღმდეგობების მიმართ მოთმინება გმართებთ. ახლო მანძილზე მოგზაურობა განწყობას გამოგისწორებთ.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**ამაღლებული განწყობა ჩანაფიქრების სწრაფად და უპრობლემოდ განხორციელებაში დაგეხმარებათ. მატერიალური საკითხის გადაწყვეტისას კომერციულად საინტერესო ადამიანებთან კონტაქტს ადვილად დაამყარებთ. ფინანსურ საკითხში მეტი სიდინჯე და დაკვირვება გმართებთ. პირად თუ საოჯახო სფეროში ტყუილსა და ფარულ საქმიანობას მოერიდეთ, რათა დიდი სირთულე არ შეგექმნათ, გზებზე და გადაადგილებისას ეცადეთ, ყურადღება არ მოადუნოთ.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**საკმაოდ ენერგიული, ამბიციური და იღბლიანი იქნებით, ამიტომ შეგიძლიათ ახალი, მეტად მომგებიანი საქმე წამოიწყოთ. თქვენი პრიორიტეტები შეიცვლება და საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაც მოგიწევთ. სასურველია, ამ დროს იხელმძღვანელოთ არა ლოგიკითა და ინტუიციით, არამედ სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციით. შესაძლოა, შორეულ ქვეყნებში მოგზაურობა ანდა ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დაწყება მოისურვოთ.**

**ლომი** (23.07-23.08)
**ცოდნა-გამოცდილების ნაკლებობისას პროფესიონალების შეწუხებას ნუ მოერიდებით, ოღონდ კითხვები მარტივად დაუსვით, რათა გულახდილი პასუხები მიიღოთ იმ საკითხებზე, რომლის გადაწყვეტაც გევალებათ, კარგი პერიოდია დასვენებისა და საჭირო მკურნალობის ჩასატარებლად. მოგზაურობა ბევრ სიამოვნებას გიქადით. შესაძლოა, პირადი ცხოვრების დიდი ნაწილი შეგნებულად გარშემო მყოფებს დაუმალოთ. ამით ზედმეტ ყურადღებასა და მითქმა-მოთქმას აირიდებთ.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**სახლის საქმეები თქვენს აქტიურად ჩარევას მოითხოვს. ოჯახის წევრებისგან სულიერი და შემოქმედებითი მხარდაჭერით თქვენი თავდაჯერება გაიზრდება. მეგობართა წრეში სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი, რაც შესაძლოა, თქვენს პროფესიულ საქმიანობასა და სოციალურ სტატუსზე აისახოს. სასიყვარულო სფეროც გააქტიურდება, თუმცა, უფრო ეჭვიანი და მგრძნობიარეც გახდებით. საქმიანი ურთიერთობა კი შესაძლოა, რომანტიკულში გადაიზარდოს.**

## 20 – 26 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**მხიარული განწყობა თქვენს ურთიერთობებს სასიამოვნოს გახდის. კონტაქტების რიცხვიც გაიზრდება. საქმეს შემოქმედებითად მიუდგებით და სირთულეებსაც ადვილად დაძლევთ. სტრატეგიული აზროვნება, ინტელექტი და ტაქტის შეგრძნება პროფესიულ წინსვლას განაპირობებს. შესაძლოა, დროებით მეუღლეზე ან მასთან დაკავშირებულ გარემოებაზე გახდეთ დამოკიდებული, რაც კონფლიქტის საბაბი გახდება. მოგზაურობა კი ყველა სირთულეებს დაგავიწყებთ.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**ადრე ნაღვაწი თავის შედეგს მოიტანს, რაც ფინანსურ და სოციალურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. კარგი პერიოდია ახალი საქმის დასაწყებად. თქვენი ხიბლი და საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის უნარი მოიმატებს. ჯანმრთელობისა და გარეგნობის გაუმჯობესების სურვილი გაგიჩნდებათ. დასახული მიზნისკენ სვლა ჯობს, გეგმაზომიერად გააგრძელოთ, რაშიც საყვარელი ადამიანებისგან დიდ მხარდაჭერას იგრძნობთ. მოგზაურობა კი ახალ პერსპექტივებს დაგისახავთ.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**შეზღუდვა მოიხსენით და ყველაზე თამამი ფანტაზიების ხორცშესხმა დაიწყეთ, მაგრამ უცნობებს ზედმეტად ნუ მიენდობით, რათა არ მოგატყუონ. ოჯახის წევრთა დახმარებით თქვენი შემოსავალი გაიზრდება. პირად ურთიერთობაში იმპულსური და ემოციური იქნებით. მოგზაურობას მოერიდეთ და საჭის მართვისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. ასევე მოერიდეთ ძალების ფუჭ ხარჯვას. ეცადეთ, ხშირად დაისვენოთ. გაციების ალბათობაც არსებობს.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**სამსახური ბევრ დროს წაგართმევთ. ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესებას დაიწყებს. შესაძლოა, თანამშრომლებთან მცირე პრობლემა შეიქმნას. ოჯახში კი შესაძლოა, დიპლომატის როლში ყოფნა მოგიწიოთ. ფულადი საკითხის მოგვარებისას ნათესავები დაიხმარეთ. ჯანმრთელობისა და განწყობის გაუმჯობესება განაპირობებს ახალი გეგმების განხორციელებას. უეცრად განვითარებული სასიყვარულო გრძნობა ხანმოკლე იქნება. შესაძლოა, უცხოეთში გამგზავრება გახდეს აუცილებელი.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**ეს პერიოდი დაგამახსოვრდებათ სასიამოვნო შეხვედრებით, კოლეგებთან წარმატებული თანამშრომლობითა და მეგობრებთან გატარებული გართობით. ნებისმიერ საზოგადოებრივ შეკრებას თქვენი დასწრება დაამშვენებს. ახალ იდეებს, ცოდნასა და გამოცდილებას სიამოვნებით გაუნაწილებთ თანამოაზრეებს. მოგზაურობა ამ პერიოდში თქვენს წინსვლასა და ფინანსურ ზრდას მოემსახურება. შესაძლოა, უცხოელთან ან უცხოეთში მცხოვრებთან სასიყვარულო ურთიერთობა ჩამოგიყალიბდეთ.**

**თევზები** (19.02-20.03)
**საბანკო საქმესა და კომერციაში ბედი გაგიღიმებთ. კარგი პერიოდია სწავლისათვის და გამოცდების ჩასაბარებლად. ხელმძღვანელობასთან ან კოლეგებთან წინააღმდეგობათა გადალახვის შემთხვევაში თქვენი ორიგინალური იდეები სათანადოდ დაფასდება. შეყვარებულთან რომანტიკული დამოკიდებულება გაზრდის თქვენს თავდაჯერებულობასა და ხვალის იმედს. ახლო მანძილზე მოგზაურობა კი ახალი შთაბეჭდილებებით აგავსებთ და ახალ ადამიანებთან დაგაკავშირებთ.**

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 21, 22 და 25 ივნისი

**14 ივნისი – სავსემთვარეობა, პიკი – 15.53 საათზე;**
**29 ივნისი – ახალმთვარეობა, პიკი – 06.52 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 20 ივნისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.39 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 21 ივნისს 11.03 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 01.57 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ეცადეთ, კანონები და წესები მაქსიმალურად დაიცვათ. ინტუიცია გამახვილებულია. ურთიერთობისას მეტი თავშეკავება გმართებთ, გამოავლინეთ მოთმინება. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ანალიზის ჩაბარება, ექოსკოპიური გამოკვლევა, საიდუმლო საქმის წარმოება, ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება. აკონტროლეთ მოჭარბებული ემოციები. კარგი დღეა მგზავრობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, ქორწინებისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის, კუჭ-ნაწლავის მკურნალობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, მარჯანი, ამეთვისტო, გიშერი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 21 ივნისი, სამშაბათი

**მზე** გადაინაცვლებს (13.15) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.27 საათზე, ჩადის 19.39 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (07.38) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 00.19 საათზე, ჩადის 12.11 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 02.06 საათზე. მე-4 ფაზა იწყება 07.12 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 07.11 საათიდან 07.38 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მზის გადანაცვლება **კირჩხიბის** ზოდიაქოში გაამახვილებს ემოციებს, ინტუიციას, კოსმოსური საიდუმლოებებით დაინტერესებას, ოჯახის ინსტიტუტის, ტრადიციების პატივისცემას, ნათესაური კავშირებისკენ, ეროვნული საკითხებისკენ მიდრეკილებას, ეჭვიანობას და ხასიათცვალებადობასაც. დღეს კარგია მგზავრობა, სწრაფად გაცნობა და თავისუფალი ურთიერთობები. არ არის სასურველი კამათი, ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, ხელშეკრულების დადება, სტომატოლოგიური პროცედურები, ალკოჰოლის მიღება. თვალებს ნუ გადაღლით. ეფექტურია თირკმლებისა და შარდის ბუშტის მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 22 ივნისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.27 საათზე, ჩადის 19.39 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 00.41 საათზე, ჩადის 13.17 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 02.14 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგია ახალი საქმის დაწყება და სიახლე ურთიერთობაში ან, ზოგადად, ცხოვრებაში. პარტნიორთან ურთიერთობისას იმატებს უკმაყოფილება, კამათისკენ მიდრეკილება, ეჭვიანობა. არ არის სასურველი თვალების გადაღლა, ალკოჰოლური სასმლის მიღება, კაპიტალდაბანდება, საფინანსო ოპერაციები, ხელშეკრულების დადება. კარგი დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, მგზავრობისთვის, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების, სპორტული ინვენტარის, ავეჯის, მჭრელი საგნების, იარაღის შესაძენად. მოერიდეთ პლასტიკური ოპერაციის გაკეთებას, აგრესიულობას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, თვალები, სისხლძარღვები, ცხვირი. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 23 ივნისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.27 საათზე, ჩადის 19.39 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (15.59) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 01.02 საათზე, ჩადის 14.22 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 02.22 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 12.02 საათიდან 15.58 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს სიყვარულისა და ფინანსების, სილამაზისა და ხელოვნების მმართველი პლანეტა **ვენერა** გადაინაცვლებს **ტყუპის** ზოდიაქოში (18 ივლისამდე), რაც პარტნიორულ ურთიერთობებში გააძლიერებს მერყეობას, გრძნობათა ზედაპირულობას, გაორებას, სიყვარულის გონებრივ-ანალიზურ აღქმას, კონტაქტურობას, ხელი შეეწყობა ასევე ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ჟურნალისტიკის, რეკლამის, ტურიზმის, კომპიუტერული ტექნოლოგიის, შუამავლობის, იურიდიული საქმიანობის, საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით. დღეს არ არის სასურველი აგრესიულობა, განკითხვა, გაკიცხვა, სულსწრაფობა, კამათი, მანქანით ჯირითი, წესების დარღვევა, ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, ხელშეკრულების დადება. იმატებს ინტუიცია. კარგი დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები, ყელი, ენდოკრინული სისტემა. **ქვები:** წითელი იასპი, ლალი, იაგუნდი, ძოწი. **საღამოს** — აქატი, მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 24 ივნისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.27 საათზე, ჩადის 19.40 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 01.24 საათზე, ჩადის 15.26 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 02.31 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ადამიანთა შემოწმება მოხდება ხასიათის სიმტკიცესა და სანდოობაზე, მლიქვნელები გამოვლინდებიან. კარგი დღეა სუნთქვითი ვარჯიშებისთვის, შარდსასქესო სისტემის სამკურნალოდ, ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, შემოქმედებისთვის, მგზავრობისთვის, ვაჭრობისთვის, მშენებლობისთვის, უძრავი ქონების, ავეჯის, სამშენებლო მასალის, მუსიკალური აპარატურის, ცხოველების, ტანსაცმელ-ფეხსამცლის შესაძენად. არ არის სასურველი კისრის მკვეთრი მოძრაობა, ორპირ ქარში ყოფნა, გარისკვა, სულსწრაფი გადაწყვეტილების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, ზურმუხტი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის.

## 25 ივნისი, შაბათი

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.28 საათზე, ჩადის 19.40 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 01.49 საათზე, ჩადის 16.30 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 02.41 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.00 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ყურადღება გმართებთ! მაღალია ტრავმებისა და ავარიების ალბათობა. პარტნიორთან შესაძლებელია პრობლემის გადაჭრა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, უძრავი ქონების, სამშენებლო მასალის, ცხოველების, ავეჯის შესაძენად, მშენებლობისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის, მგზავრობისთვის. არ არის სასურველი განკითხვა და გაკიცხვა, ცივი სასმლის მიღება, კისრის მკვეთრი მოძრაობა, ორპირ ქარში ყოფნა, სარისკო ქმედებანი, სულსწრაფი გადაწყვეტილების მიღება. საფულე აკონტროლეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, ზურმუხტი, მარგალიტი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 26 ივნისი, კვირა

**მზე** იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 04.28 საათზე, ჩადის 19.40 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (03.14) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 02.17 საათზე, ჩადის 17.33 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 02.56 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 03.14 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ყველაფერი ზედმეტი მოიშორეთ. სასიკეთოა ლოცვა, მედიტაცია, სუფთა ჰაერზე სეირნობა, საკვებად ხილბოსტნეულის, ბურღულეულის მიღება. კარგი დღეა კონტაქტებისთვის, სავაჭრო გარიგებისთვის, სწავლისთვის, მიმოწერისთვის, მშენებლობისთვის. არ არის სასურველი გონების გადაღლა, სიმძიმეების აწევა, ახალი საქმის დაწყება, უჰაერო სივრცეში ყოფნა, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, კრიტიკა, კამათი ეჭვიანობის გამო. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია სასუნთქი სისტემა, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, ჰელიოტროპი, ჰიაცინტი, ამაზონიტი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## საეკლესიო კალენდარი



**25 ივნისი – ხსენება ღირსისა იოანე (თორნიკე) მთაწმიდელისა**

✝ **20 ივნისი. ორშაბათი.** მოწამისა თეოდოტე ანკვირელისა; მოწამეთა: ვალერიასი, კვირიაკიასი და მარიამის; მღვდელმოწამისა მარკელე რომის პაპისა და მოწამეთა: კლავდისი, კვირინესი და ანტონინესი.

✝ **21 ივნისი. სამშაბათი. დიდმოწამისა თეოდორე სტრატილატისა;** მღვდელმოწამისა თევდორესი, კვერთელი მღვდლისა; ეფრემისა, ანტიოქიელი პატრიარქისა; ღირსისა ზოსიმე ფინიკიელისა; მოწამეთა: ნიკანდროსი და მარკიანესი; ეპისკოპოსისა აკვილიანესი.

✝ **22 ივნისი. ოთხშაბათი. კირილე ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა;** ღირსისა იოანე შავთელგაენათელისა; მოწამეთა: თეკლასი, მართასი და მარიამისა, სპარსეთს ვნებულთა; წმიდისა დედისა პელაგიასი, რომელი ოდესმე იყო მეძავი ანტიოქია ქალაქსა შინა.

✝ **23 ივნისი. ხუთშაბათი.** მღვდელმოწამისა ტიმოთესი, პრუსიელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: ალექსანდრესი და ანტონინა ქალწულისა; ღირსისა თეოფანე ანტიოქიელისა და ღირსისა დედისა პანსემნისა; ბასიანე ლავდიელი ეპისკოპოსისა. ღირსი თამარ აღმსარებლისა.

✝ **24 ივნისი. პარასკევი.** მოციქულთა: ბართლომესი და ბარნაბასი; ღმრთისმშობლის ხატისა, რომელსაც ეწოდება „ღირს არს“. ჩინელ მოწამეთა, 1900 წელს წამებულთა.

✝ **25 ივნისი. შაბათი. ღირსისა იოანე მთაწმიდელისა, სვინგელოზისა;** ღირსისა ონოფრე დიდისა; ღირსისა ისიდორე სამთავნელისა, ცამეტ ასურელ მამათაგანისა; ღირსთა: იოანესი, ანდრიასი, ირაკლემონისა და თეოფილესი; ღირსისა პეტრე ათონელისა.

✝ **26 ივნისი. კვირა. ყოველთა ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა, ათონის წმიდა მთაზე და რუსეთს განბრწყინვებულთა.** მღვდელმოწამისა ანთიმოზ ივერიელისა, უნგროვლახეთის მიტროპოლიტისა; ქალწულმოწამისა აკვილინასი. ტრიფილე კვიპრელი ეპისკოპოსისა; ქალწულმოწამისა ანტონინასი; ანტიპატროს ბოსტრელი ეპისკოპოსისა; ღირსთა: ანასი და ძისა მისისა იოანესი.


საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა



**გიდმედი**

GIDMEDI GEORGIA - ISRAEL JOINT CLINIC

გქონდეთ ჩვენი იმედი!

ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია

თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55



## მადლობა დინარა ლაზარაშვილს!

*დინარა ლაზარაშვილის პრაქტიკაში უამრავია შემთხვევა, როცა უმძიმესი დიაგნოზით ადამიანები განიკურნენ. დაავადებას არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია, პაციენტმა პირველივე სეანსიდან იგრძნოს შვება.* ● პაციენტი მ.ს.: — „კოვიდ-19“-მდე ენერგიული, ხალისიანი და ჯანმრთელი ვიყავი. **კოვიდმა დამიტოვა ნევროზულ ფონზე განვითარებული გულის რითმის დარღვევა-ამოვარდნა, სისუსტე, დაღლილობა, უმადობა, წნევის ცვალებადობა, ხელების დაბუჟება, მუხლ-სახსრისა და წელის აუტანელი ტკივილი.** წელიწადზე მეტი ამაოდ ვმკურნალობდი პოსტკოვიდის კვლევის პროტოკოლზე დაყრდნობით დანიშნული მედიკამენტებით. 4 თვის წინათ პაციენტ რუსუდან ლ-ს რჩევით, რომელიც მწვავე ნევროზისგან განიკურნა, მოვხვდი დინარა ლაზარაშვილთან. **მე-5 სეანსიდან ტკივილის გარეშე შევძელი გადაადგილება, მომეხსნა შინაგანი შფოთი და გულის აჩქარება, დამირეგულირდა წნევა. მომიწესრიგდა ძილი, მადიანად შევექცევი. ჩავიტარე სრული კურსი. ქალბატონ დინარას უვნებელი მკურნალობის შედეგად დღეს ვარ სრულიად პროდუქტიული, ჩვეულ რიტმში განვაგრძობ მუშაობასა და ცხოვრებას. მადლობა მას!** ● პაციენტი დ.თ.: — **ვუჩიოდი ორივე თვალზე გლაუკომას და კატარაქტას. დაზიანებული იყო მხედველობის ნერვის ბოჭკოები, რის გამოც ორივე თვალზე მხედველობის ფუნქცია დარღვეული მქონდა, გუგები შევიწროებული, თვალები ჩაცვენილი, უარი ვთქვი ოპერაციაზე. აქტიური ცხოვრება თანდათან აუტანელი გახდა. უდიდესი რწმენით დავიწყე მკურნალობა ქ-ონ დინარასთან. ყოველი სეანსის მერე თვალშისაცემი ხდებოდა დადებითი დინამიკა, თანდათან მეწმინდებოდა თვალები. გამიუმჯობესდა და აღმიდგა მხედველობა. დღეს უკვე შორიდან შემიძლია დანახვა. სეანსებმა ასევე იმოქმედა ოსტეოქონდროზზე, რომლის გამო მქონდა მუდმივი ტკივილი კისრისა და ზურგის არეში.** ქალბატონი დინარას **სეანსებმა რამდენიმე წლით გამაახალგაზრდავა. მადლობა მკურნალს!**

**ქალბატონ დინარას მიმართეთ: 555-73-24-62.**



მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე.



მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.
574-73-46-96, 243-01-17
555-68-82-90



წიგნის მუზეუმის ბუკინისტი:

შეიძენს კოლექციისთვის ძველ წიგნებს 1933 წლამდე გამოშვებულს — 1500 ლარად, ჟურნალებს,
ასევე საბავშვო წიგნებს და ჟურნალებს — 1945 წლამდე გამოშვებულს, პლაკატებს, არქივებს, ავტოგრაფებს, ქაღალდის ფულს, მედლებს და ანტიკვარიატს

**591-75-35-38**


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: **1. ჭანტელი; 7. პორშე; 12. ბერმუხა; 13. ტიპია; 14. დოვლათი; 15. ნუბია; 16. ცისკარი; 17. ლორდი; 18. არიზონა; 22. კრედო; 23. ლიკინა; 26. ნინუა; 27. სმარაგდი; 28. ტიკი; 30. მაკრონი; 31. ცინი; 33. პოლემიკა; 37. ფოსტა; 38. მოკიკი; 41. ცერი; 42. რეკვიზიტი; 43. ფასი; 45. სეკუნდი; 46. კაფია; 49. ელევატორი; 53. ლია; 54. არაგონი; 56. ლასტი; 57. აგამია; 59. მენიუ; 60. ძიძია; 63. თირი; 65. შაკირა; 66. ნეო; 67. ლეი; 68. ლუი; 69. ფორდი; 70. ბილიკი; 71. სპიჩი; 72. ავარია.**

შვეულად: **1. ჭიდრა; 2. ნავოი; 3. ერატო; 4. იბიცა; 5. ტრესტი; 6. ცუნამი; 7. პანიკა; 8. რუბლევი; 9. ეტალონი; 10. სპარინგი; 11. კაპილარი; 19. რემბო; 20. ზორგე; 21. ნაგაი; 23. ლიმა; 24. კაკაო; 25. ნაომი; 28. ტიფი; 29. კასია; 31. ცაცია; 32. ნორდი; 33. პირკე; 34. ლაკმე; 35. მაინა; 36. კაირო; 38. მისია; 39. კუკია; 40. კანტონი; 43. ფილიპი; 44. სკალა; 47. ფისკი; 48. აზიზი; 50. ლეგრანი; 51. ვამპირი; 52. ტრამალი; 55. რაუნდი; 58. ინდის; 60. ძოფი; 61. ძარა; 62. ალია; 63. თივა; 64. რახი.**

**ფირმანიყვითელიანისულიკოდალაქიტონიკიბელინი**
**საბადონორისიმონიავაგონიტირადამესიასალიერი**

| ირანის შაჰის ბრძანებულება | სპექტრის ერთ-ერთი ფერი | ეთერზეთოვანი მცენარე | ხეკაკუნა ფრინველი | საბალეტო უსახელო ტანსაცმელი | ასასვლელ-ჩასასვლელი | ამერიკელი რეჟისორი |
|---|---|---|---|---|---|---|

| სავაჭრო ან სამრეწველო საწარმო | სოკოს სახეობა | თვალით დაფარული ადგილი | ა. წერეთლის ლექსი | ფიგაროს პროფესია | უალკოჰოლო გაზიანი სასმელი | იტალიელი კომპოზიტორი |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. სატანვარჯიშო იარაღი; 7. გერმანული ავტომობილი; 12. ბებერი მუხა; 13. ბეჭდვის პროცესთან დაკავშირებული სიტყვის ნაწილი; 14. ქონება, სიმდიდრე, ბარაქა; 15. ეგვიპტის ისტორიული ოლქი; 16. ყველაზე კაშკაშა პლანეტა; 17. ინგლისის თავადაზნაურთა მემკვიდრეობითი ტიტული; 18. აშშ-ის შტატი; 22. მრწამსი; 23. თონეში გამომცხვარი მჭადი; 26. ქართველი მსახიობი მამაკაცი; 27. მწვანე ფერის ძვირფასი ქვა; 28. ტყავის პარკი; 30. საფრანგეთის პრეზიდენტი; 31. ჩინეთის იმპერატორთა დინასტია; 33. კამათი, პაექრობა; 37. კავშირგაბმულობის დაწესებულება; 38. გაუმჯობესებული მოპედი; 41. ხელის მტევნის ერთ-ერთი თითი; 42. ნივთები, რომლებიც სჭირდებათ მსახიობებს წარმოდგენის დროს; 43. რისამე ღირებულება; 45. წამი (მოძვ.); 46. ექსპრომტი; 49. ტვირთის ვერტიკალურად ასაწევი მანქანა; 53. ლამი, საფლობი ტალახი; 54. ფრანგი მწერალი; 56. გემის ტვირთის წონის საზომი ერთეული; 57. დაუქორწინებლობა; 59. საჭმელების სია რესტორანში; 60. ონისეს სატრფო (ყაზბეგი); 63. ნაცრისფერი რბილი ქვა; 65. კოლუმბიელი მომღერალი ქალი; 66. რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი, ნიშნავს ახალს; 67. ფრანგი კომპოზიტორი; 68. ფრანგ მეფეთა სახელი; 69. ამერიკული მანქანა; 70. საცალფეხო გზა; 71. მოკლე სადღეგრძელო; 72. ავტოკატასტროფა.

შვეულად: 1. მრავალთავიანი წყლის გველი ბერძნულ მითოლოგიაში; 2. უზბეკი პოეტი; 3. ლირიკული პოეზიის ბერძნული მუზა; 4. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 5. კაპიტალისტური მონოპოლიის ფორმა; 6. გიგანტური ტალღები ოკეანეში; 7. პანის მიერ წარმოქმნილი შიში; 8. რუსი მხატვარი; 9. რისამე საზომი, სტანდარტი; 10. თავისუფალი საწვრთნელი ბრძოლა კრივში; 11. წვრილი სისხლძარღვი; 19. ს. სტალონეს კინოროლი; 20. საბჭოთა მზვერავი იაპონიაში; 21. იაპონელი მწერალი; 23. პერუს დედაქალაქი; 24. შოკოლადის მასალა; 25. მოდელი ... კემპბელი; 28. გადამდები დაავადება; 29. ბიზანტიელი პოეტი ქალი; 31. ადამიანი, რომელიც მარცხენა ხელს ხმარობს მარჯვენის ნაცვლად; 32. ჩრდილოეთი; 33. კანის სინჯი ჰლექზე; 34. ღელიბის ოპერა; 35. დაუშვი! — პორტის მტვირთავების ენაზე; 36. ეგვიპტის დედაქალაქი; 38. საგანგებო დავალება; 39. უბანი თბილისში; 40. მხარე შვეიცარიაში (ზოგად.); 43. ფრანგი მსახიობი მამაკაცი; 44. ციფერბლატი სხვადასხვა ხელსაწყოში; 47. სახელმწიფო ხაზინა; 48. სათუთი, ნაზი; 50. ფრანგი კომპოზიტორი; 51. ერთგვარი დიდი ღამურა; 52. ველი, მინდორი; 55. 2-3-წუთიანი მონაკვეთი კრივში; 58. ფინიკი, იგივე ... ხურმა; 60. იტალიელი ექსფეხბურთელი, მეკარე; 61. ავტომობილის კორპუსი; 62. ებრაელთა იმიგრაციის პროცესი ისრაელში; 63. მოთიბული გამხმარი ბალახი; 64. ერთნახადი, სუსტი არაყი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| მადნეულის მოსაპოვებელი ადგილი | მსახიობი ჩაკ ... | მსახიობი ჯემალ ... | მუხლის სახსრის ანთება | აიდას სატრფო (ოპერა) | ცხენის ზურგზე გადა-საფარებელი ქსოვილი | ნაცია |
|---|---|---|---|---|---|---|

| ქართული ლიტერა-ტურული პრემია | სისხლის გამცემი | საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა | მატარებლის შემადგენელი ნაწილი | პათოსით წარმოთქმული სიტყვა | ზეციური მხსნელი | იტალიელი კომპოზიტორი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

**ასავალ დასავალი**

2022 წლის 20 — 26 ივნისი №26 (1438)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

**სარედაქციო კოლეგია**

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**




THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol